

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 1
 ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 2
 ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 3
 ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 5
 2. მომზადების საფუძველი 7
 3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა..... 8
 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 16
 5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ..... 18
 6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება..... 21
 7. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში..... 22
 8. გაცემული სესხები და სხვა აქტივები 23
 9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები..... 24
 10. საკუთარი კაპიტალი..... 25
 11. ნასესხები სახსრები 26
 12. დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები 27
 13. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები..... 27
 14. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები 27
 15. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 27
 16. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი 28
 17. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება..... 28
 18. გადასახადები..... 29
 19. პირობითი ვალდებულებები 29
 20. რისკის მართვა..... 29
 21. სამართლიანი ღირებულების შეფასება 34
 22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები 35
 23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

დასკვნა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“), ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგების, ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფასის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად, რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე, და ასევე იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს. ჩვენ ამასთანავე შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



Building a better
working world

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.



Building a better working world

აუდიტის ძირითადი საკითხი

როგორ მივუდევით აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება შვილობილ საწარმოებზე გაცემული სესხებისთვის

შვილობილ საწარმოებზე გაცემული სესხები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი აქტივების მნიშვნელოვან წილს მოიცავს. გაცემული სესხები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებას ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნების შესაბამისად.

შვილობილ საწარმოებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ჩვენ მივიჩნიეთ აუდიტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად, ბალანსის არსებობისა და იმ მნიშვნელოვანი პროფესიული განსჯის გამო, რაც გამოიყენება ისეთი ძირითადი დაშვებების განსაზღვრისას, როგორცაა დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის არსებობა.

შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 და მე-8 შენიშვნებში.

ჩვენ გავერკვეით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში და შევაფასეთ კომპანიის მიერ გამოყენებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგია.

შევაფასეთ, გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი ან მოხდა თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურება სესხების გაცემის შემდეგ. გავაანალიზეთ ცვლილებები მსესხებლების ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებში და სესხის მომსახურების სტატუსი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. გარე წყაროებში მივაკვლიეთ კომპანიის მიერ გამოყენებული დეფოლტის ალბათობისა და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის საორიენტაციო მაჩვენებლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას.

გადავიანგარიშეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შესაბამისი დარიცხვები ან ამოღებები, აღიარებული 2025 წლის მოგებაში ან ზარალში.

შევაფასეთ შვილობილ საწარმოებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული განმარტებითი შენიშვნები.



**Building a better
working world**

კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.



Building a better
working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.



Building a better
working world

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ▶ ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენთ განცხადებას, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მათ ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.



Building a better
working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია დმიტრო იურგელევიჩი.

6 აპრილი, 2026 წ.

დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუას“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	31 დეკემბერი, 2025 წ.	31 დეკემბერი, 2024 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	4,494	4,699
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში	7	466,731	464,837
გაცემული სესხები და სხვა აქტივები	8	317,549	8,554
გადახდილი ავანსები	8	530	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		789,304	478,090
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები და სხვა აქტივები	8	32,280	4,415
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	21,549	1
სულ მოკლევადიანი აქტივები		53,829	4,416
სულ აქტივები		843,133	482,506
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	105,280	105,280
დამატებით შეტანილი კაპიტალი	10	341,433	331,947
დაგროვილი ზარალი		(14,520)	(372)
სულ საკუთარი კაპიტალი		432,193	436,855
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	12	9,057	-
საიჯარო ვალდებულებები	6	271	260
ნასესხები სახსრები	11	-	17,060
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	346,186	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		355,514	17,320
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	26,533	18,966
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	12,162	-
საიჯარო ვალდებულებები	6	9	41
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	12	16,208	8,964
სავაჭრო ვალდებულებები		396	360
სხვა ვალდებულებები		118	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		55,426	28,331
სულ ვალდებულებები		410,940	45,651
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		843,133	482,506

1-37 გვერდებზე წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორი

2026 წლის 6 აპრილი



ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	<i>შენიშ- ვნები</i>	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	6	4,494	4,699
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში	7	466,731	464,837
გაცემული სესხები და სხვა აქტივები	8	317,549	8,554
გადახდილი ავანსები	8	530	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		789,304	478,090
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები და სხვა აქტივები	8	32,280	4,415
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	21,549	1
სულ მოკლევადიანი აქტივები		53,829	4,416
სულ აქტივები		843,133	482,506
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10	105,280	105,280
დამატებით შეტანილი კაპიტალი	10	341,433	331,947
დაგროვილი ზარალი		(14,520)	(372)
სულ საკუთარი კაპიტალი		432,193	436,855
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	12	9,057	–
საიჯარო ვალდებულებები	6	271	260
ნასესხები სახსრები	11	–	17,060
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	346,186	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		355,514	17,320
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	26,533	18,966
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	13	12,162	–
საიჯარო ვალდებულებები	6	9	41
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	12	16,208	8,964
სავაჭრო ვალდებულებები		396	360
სხვა ვალდებულებები		118	–
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		55,426	28,331
სულ ვალდებულებები		410,940	45,651
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		843,133	482,506

1-37 გვერდებზე წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორი

2026 წლის 6 აპრილი

ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2025 წ.

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2025	2024
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	14	(6,675)	(52)
გაცემული სესხების გაუფასურება	8	(1,297)	–
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(590)	(255)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		50	–
წმინდა საოპერაციო ხარჯები		(8,512)	(307)
ცვეთა	6	(165)	(10)
საპროცენტო შემოსავალი	16	11,568	108
საპროცენტო ხარჯი	16	(16,484)	(163)
ზარალი უცხოური ვალუტიდან		(7)	–
წმინდა არარეგულარული ხარჯი		(440)	–
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე		(14,040)	(372)
მოგების გადასახადის ხარჯი	18	–	–
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		(14,040)	(372)

ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2025 წ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
17 დეკემბერი, 2024 წ.	–	–	–	–
პერიოდის ზარალი	–	–	(372)	(372)
მთლიანი სრული ზარალი	–	–	(372)	(372)
კომპანიის დაფუძნება (1-ელი შენიშვნა)	105,280	331,895	–	437,175
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	–	52	–	52
31 დეკემბერი, 2024 წ.	105,280	331,947	(372)	436,855
პერიოდის ზარალი	–	–	(14,040)	(14,040)
მთლიანი სრული ზარალი	–	–	(14,040)	(14,040)
წილობრივი ანაზღაურება (მე-17 შენიშვნა)	–	10,159	–	10,159
სხვა ცვლილებების დინამიკა	–	(673)	(108)	(781)
31 დეკემბერი, 2025 წ.	105,280	341,433	(14,520)	432,193

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2025 წ.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	<i>შენიშ- ვნები</i>	2025	2024
სხვა ცვლილების დინამიკა		1,383	-
ხელფასების და სხვა საოპერაციო ხარჯების გადახდები		(4,346)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,963)	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1)	-
მიღებული პროცენტი	8	1,440	1
გაცემული სესხები	8	(317,390)	-
სესხების დაფარვისთვის მიღებული შენატანები	8	9,913	-
დამატებითი წილის შესყიდვა შვილობილ საწარმოებში	1	(1,765)	-
სხვა საინვესტიციო საქმიანობა		(319)	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(308,122)	1
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	11	400,988	22,774
დაფარული სესხები	11	(62,585)	(22,489)
გადახდილი პროცენტი	11	(5,786)	(285)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		332,617	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		16	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		21,548	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9	1	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9	21,549	1

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) (რეგისტრაციის ნომერი 405746634) არის 2024 წლის 17 დეკემბერს დაფუძნებული სააქციო საზოგადოება. აღნიშნული თარიღი მიიჩნევა დაფუძნების თარიღად წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. 24ა. კომპანია ასევე მოიხსენიება, როგორც GHG” ან “GHG Newco”. კომპანია არის ჰოლდინგური კომპანია ინვესტიციებით შვილობილ საწარმოებში, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოების ქსელის მეშვეობით. სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ (რეგისტრაციის ნომრით 405746634) შეიქმნა იმ მიზნით, რომ ფლობდეს ინვესტიციას ჯანდაცვის ბიზნესში – სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფში“ (რეგისტრაციის ნომრით 405098399) (“GHG Oldco”), წარმოდგენილი საავადმყოფოების, კლინიკებისა და დიაგნოსტიკური სექტორებით, რომელმაც 2024 წლის დეკემბერში რეორგანიზაცია განიცადა და სახელი შეეცვალა სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფით“. რეორგანიზაციის შედეგად კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო არ შეცვლილა.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმო იყო საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“ („საქართველოს კაპიტალი“), რომელიც ინგლისში, ლონდონშია დაფუძნებული.

ჯანდაცვის ბიზნესის შვილობილ საწარმოებში ინვესტიციების გადაცემა კომპანიაზე (შეფასებული სამართლიანი ღირებულებით დაფუძნების თარიღისთვის) დასრულდა 2024 წლის 17 დეკემბერს. რესტრუქტურის ფარგლებში კომპანიას ასევე მიენიჭა წინა ჰოლდინგური კომპანიის – „GHG Oldco“-ს სხვა აქტივები და ვალდებულებები, მათ შორის 36 მილიონი ლარის ნასესხები სახსრების ვალდებულებები, სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფსა“ და სს „საქართველოს ფარმაციის ჯგუფს“ შორის გაფორმებული გამოყოფის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. რეორგანიზაციის განხორციელებამდე მოპოვებული იქნა სათანადო თანხმობები კრედიტორებისგან, როცა ამას მოითხოვდა ხელშეკრულებები სესხები და ნასესხები სახსრების შესახებ, და მარეგულირებელი ორგანოებისგან. შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში ინვესტიციებისა და სხვა აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიისთვის გადაცემა მისი დაფუძნებისთანავე განხორციელდა კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების სანაცვლოდ (მე-9 შენიშვნა).

	<i>სამართლიანი ღირებულება დაფუძნების თარიღისთვის</i>
აქტივები	
ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (მე-6 შენიშვნა)	4,709
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში (მე-7 შენიშვნა)	464,837
გაცემული სესხები და სხვა აქტივები	12,861
სულ აქტივები	482,407
ვალდებულებები	
ნასესხები სახსრები (მე-11 შენიშვნა)	35,868
საიჯარო ვალდებულებები (მე-6 შენიშვნა)	297
დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები	8,964
სავაჭრო ვალდებულებები	103
სულ ვალდებულებები	45,232
კომპანიის დაფუძნების ფარგლებში გადაცემული წმინდა აქტივები	437,175
- სააქციო კაპიტალი (105,279,519 ჩვეულებრივი აქცია, რომელთაგან თითოს ნომინალური ღირებულება 1 ლარია) (მე-10 შენიშვნა)	105,280
- დამატებით შეტანილი კაპიტალი	331,895

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

კომპანია საქართველოში დაფუძნებული შემდეგი შვილობილი და მეკავშირე საწარმოების ჰოლდინგური კომპანიაა:

	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება 31-დეკ-25	წილობრივი მონაწილეობა / ხმის უფლება 31-დეკ-24	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შემდგომი თარიღი	იურიდიული მისამართი	
პირდაპირ ფლობილი შვილობილი საწარმოები							
სს „ვიანი“	100%	100%	ჯანდაცვა	30-ნოემბ-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
სს „ევექსი“	100%	100%	ჯანდაცვა	11-იანვ.-2024	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
სს „საქართველოს კლინიკები“	100%	100%	ჯანდაცვა	1-აგვ.-2014	1-აგვ.-2014	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
სს „მეგა-ლაბი“	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	6-ივნ.-2017	არა	თბილისი, პ. ჭავჭავაძის ქ. 23	
სს „ვაბაკო“*	–	100%	პროგრამირება	9-სექტ.-2013	28-სექტ.-2018	ბოჭორიშვილის ქ. 37, თბილისი თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 123	
სს „ეკიმო“	100%	100%	პროგრამირება	14-დეკ-2021	არა	123	
შპს „აიტიფაი“	100%	100%	სხვა	1-თებ.-2023	არა	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142	
არაპირდაპირ ფლობილი შვილობილი საწარმოები							
სს „ვიანი“	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“	100%	99.8%	ჯანდაცვა	12-იანვ.-2012	30-ივნ.-2015	ქავთარაძის ქ. 23, თბილისი	
შპს „ვიან-ლოჯისტიკა“	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.-2015	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
სს „ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	5-მაის.-2003	29-ნოემბ.-2011	ჯავახიშვილის ქ. 85 ქუთაისი	
შპს „დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	15-ოქტ.-2004	29-ნოემბ.-2011	ჯავახიშვილის ქ. 83ა, ქუთაისი	
შპს „ბონო ჰელსქეარ“	100%	100%	ჯანდაცვა	15-ივნ.-2023	არა	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 123	
შპს „ვაბაკო ინთერნეიშენალ“	100%	100%	პროგრამირება	30-მარტ.-2023	არა	ლუბლიანას ქ. 13/6, კორპუსი 9, თბილისი	
სს „ემერჯენსი სერვისი“	85%	85%	ჯანდაცვა	18-ივნ.-2013	1-მარტ.-2015	თბილისი	
სს „პედიატრი“	100%	100%	ჯანდაცვა	5-სექტ.-2003	6-ივლ.-2016	უ. ჩხეიძის ქ. 10, თბილისი	
შპს „წყალტუბოს რაიონული საავადმყოფო“	66.7%	66.7%	ჯანდაცვა	29-სექტ.-1999	29-ნოემბ.-2011	ერისთავის ქ. 16, წყალტუბო თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
შპს „საქართველოს კლინიკები“	100%	100%	ჯანდაცვა	29-სექტ.-2023	არა		
სს „პოლიკლინიკა ვერე“	98.4%	98.4%	ჯანდაცვა	22-ნოემბ.-2013	25-დეკ.-2017	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142	
შპს „ნიუ დენტი“	75%	75%	ჯანდაცვა	24-დეკ.-2018	არა	თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. 142	
შპს „მკურნალი 2002“	100%	100%	ჯანდაცვა	8-აპრ.-2004	1-დეკ.-2023	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
შპს „ეკიმო აპი“	100%	100%	პროგრამირება	ბა	5-დეკ.-2023	არა	თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 24
შპს „კროლ მედიკალ ქორფორეიშენ ჯორჯია“	100%	100%	სხვა	1-მაისი-2024	1-აგვ.-2016	თბილისი, ს. ცინცაძის ქ. 24.ა	
შპს „პატჯეო“	91.98%	91.98%	ჯანდაცვა	13-იანვ.-10	1-აგვ.-2016	თბილისი, მუხიანის II მ/რ, 22/1ა	
მეკავშირე საწარმოები							
სს „დიფლექსი“	40%	40%	სხვა	29-დეკ.-2016	12-ნოემბ.-2021	თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქ. 8	

* 2025 წლის აპრილში სს „ვაბაკო“ იურიდიულად შეერწყა სს „ვიანს“, როგორც სამკურნეო ერთეული.

2025 წელს კომპანიამ შეიძინა დამატებითი წილი თავის შვილობილ საწარმოებში 1,765 ლარის ფულადი საზღაურის სანაცვლოდ, შვილობილ საწარმოებში დასაქმებულთათვის დასაქმებულთა აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში გადაცემული B ტიპის აქციების გამოსყიდვით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მომზადების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

2026 წლის 6 აპრილს კომპანიამ გამოუშვა 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვითაა მომზადებული. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისე, რომ დააკმაყოფილოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები.

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვა რამე არ იქნა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

2025 წელს კომპანიამ განიცადა 14,040 ლარის წმინდა ზარალი (2024 წ.: 372 ლარი). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 1,597 ლარით აღემატებოდა (2024 წ.: 23,915 ლარი), რისი მიზეზიც ისაა, რომ მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან 26,419 ლარს შეადგენდა (მე-11 შენიშვნა).

ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ საანგარიშგებო თარიღიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამ შეფასებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის არსებული ლიკვიდობის რესურსები, მათ შორის აუთვისებელი საკრედიტო ხაზები 12,500 ლარის ოდენობით (2024 წ.: ნული). ხელმძღვანელობამ ასევე მხედველობაში მიიღო კომპანიის შვილობილი საწარმოების ფინანსური მდგომარეობა, რომლებიც ინარჩუნებენ საკმარის ლიკვიდობას, რომ კომპანიას, საჭიროების შემთხვევაში, მხარი დაუჭირონ. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები, კონსოლიდირებულ საფუძველზე, მნიშვნელოვნად აღემატება მის მოკლევადიან ვალდებულებებს, როგორც ეს წარმოდგენილია კომპანიის 2025 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა მოელოს, რომ კომპანიას საკმარისი რესურსები ექნება, გააგრძელოს თავისი საქმიანობა განჭვრეტად მომავალში და დააკმაყოფილოს თავისი ვალდებულებები მათი ვადის მოსვლისთანავე. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მართებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მართებულია აღრიცხვა ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში

კომპანიის ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ან შშობელი საწარმოს ან საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიერ განხორციელებული ინვესტიციების შემთხვევაში, პირობითი ღირებულებით, რომელიც უდრის სამართლიან ღირებულებას ინვესტიციის განხორციელების თარიღისთვის. შესაბამისად, ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში ფასდება შესყიდვის ან გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული პირობითი ღირებულებით.

როდესაც კომპანია ახდენს ერთი შვილობილი საწარმოს გადაცემას მეორე შვილობილი საწარმოსთვის, ან ერთი შვილობილი საწარმოს შერწყმას მეორე შვილობილ საწარმოსთან, ეს გადაცემა ან შერწყმა აღირიცხება დარჩენილ შვილობილ საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაზრდით მისთვის გადაცემული ან მასთან შერწყმული შვილობილი საწარმოს საბალანსო ღირებულებით. სხვა შემთხვევაში, თუ კომპანია შეიტანს აქტივებს (მათ შორის, სხვა ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში) შვილობილ საწარმოში, მისი ინვესტიციის ღირებულება ფასდება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სხვაობა შეტანილი აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შვილობილი საწარმოებისგან და მეკავშირე საწარმოსგან დივიდენდების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გამოცხადებისას. კაპიტალზე უკუგება (როგორცაა ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების დაფარვა შვილობილი საწარმოების ან მეკავშირე საწარმოს მიერ კომპანიაში წილის შემცირების სანაცვლოდ) აღიარდება, როგორც შვილობილ საწარმოებში და მეკავშირე საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულების შემცირება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. თავისი ფინანსური აქტივების საწყისი აღიარებისას მათი კლასიფიკაციის განსაზღვრისას კომპანია მხედველობაში იღებს იმ პორტფელის ბიზნესმოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება შეძენილი აქტივები და აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური აქტივები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია გაცემული სესხებით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

კაპიტალის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წარმოდგენილია მშობელი საწარმოს საკუთარი კაპიტალის აქციებით, რომლებიც შესყიდულია კომპანიის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი აქციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე იმ კოტირების მიხედვით, რომლებიც ყველაზე ახლოსაა საანგარიშგებო თარიღთან.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა*ნასესხები სახსრები*

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება დაიფარება, გაბათილდება ან ვადა გაუვა და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების შემდეგი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	<u>წლები</u>
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	10-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. საწყისი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)****გადასახადები (გაგრძელება)**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ოპერაციები

კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა იღებს აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ GHG-ის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სქემა, რომელიც გადახდილია „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციებით, წარმოადგენს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას.

კომპანიის უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობამ შეიძლება ასევე მიიღოს აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება, კომპანიის საბოლოო მშობელი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების სახით. აქციების გამოყოფა ხდება მშობელი საწარმოს მიერ. ანაზღაურება, რომლის დაფარვის ვალდებულება კომპანიას არ აქვს, აღირიცხება, როგორც ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით (მაშინაც კი, თუ კომპანიამ შეიძლება წილობრივი ინსტრუმენტების გაცემასთან დაკავშირებული დანახარჯი დაუკომპენსიროს ანაზღაურების დამფარავ სუბიექტს, რომლის აღიარებაც ხდება გადახდის შესაბამისი თარიღისთვის კაპიტალიდან გამოქვითვის სახით). მშობელი საწარმოს აქციების გადაცემა, რომელთა ანგარიშსწორების ვალდებულებაც კომპანიას აქვს, აღირიცხება, როგორც ჯილდოები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით. ამ ვალდებულების შესასრულებლად კომპანია ყიდულობს და ფლობს მშობელი საწარმოს აქციებს თანამშრომელთა სარგებლის სატრასტო ფონდში. („სატრასტო ფონდი“). სატრასტო ფონდში თანხების ფლობის მიზანია მოახდინოს ეკონომიკური ჰეჯირება კომპანიის ვალდებულებისა, დასაქმებულებს გადასცეს აქციები ჯილდოებზე უფლების გადაცემისთანავე. სატრასტო ფონდში ფლობილი აქციები აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, ფლობილი, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (მე-8 შენიშვნა). ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოების ვალდებულების ეკონომიკური ჰეჯირების მიზნით ფლობილი აქციების გადაფასება აღიარდება, როგორც ხელფასებისა და დასაქმებულთა გასამრჯელოების შესაბამის ხარჯთან გაქვითვა კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)**

ჯილდოები, რომლებიც გაცემულია კომპანიის შვილობილი საწარმოების მიერ და დაფარულია შვილობილი საწარმოების აქციებით, აღირიცხება, როგორც ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, ვინაიდან კომპანიას განზრახული აქვს ნაღდი ფულით გამოისყიდოს ეს აქციები.

მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები, რომლებიც ასევე არიან კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრები, იღებენ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოებს საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ აქციების სახით, რომელთა ანგარიშსწორება ხდება კომპანიის მშობელი საწარმოს მიერ და კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება, როგორც ჯილდოები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით. კომპანია თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს თავის პროპორციულ წილს მთლიან აქციებზე დაფუძნებულ დანარიცხებში შესაბამისი დასაქმებულებისთვის.

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

დასაქმებულებთან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის თარიღისთვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის დასაქმებულებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით გარიგებების კუმულაციური ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც კომპანიის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების ცვლილების დინამიკას.

ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის დღეს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ოპერაციების ღირებულების აღიარება, დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხების შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის დასაქმებულებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით, აღიარებული ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით გარიგებების კუმულაციური ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც კომპანიის შეფასებით გაცემული იქნება უფლების გადაცემის თარიღისათვის. მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების ცვლილების დინამიკას. დასაქმებულ პირებზე გაცემული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოების ხარჯი იფარება კომპანიის მიერ და კაპიტალიზდება შესაბამის შვილობილ საწარმოებში ინვესტიციის ღირებულებაზე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსულობიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური შემოსავლის ნაწილში.

უცხოური ვალუტის გადაყვანა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი და სამუშაო ვალუტაა. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო, შესაბამისად, 2.6951 და 2.8068 ქართული ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ აქტივზე, 12-თვიანი პერიოდისთვის ან მათი არსებობის მთლიანი ვადისთვის. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალებს აღრიცხავს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, კომპანიამ შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი საკრედიტო ზარალი. შესაბამისად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების ნაწილში გაუფასურება არ აღიარებულა ფასს 9-ის შესაბამისად.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)****ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)***გაცემული სესხები*

კომპანია გაცემულ სესხებზე აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის წარმოიშობა დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როცა მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები ვადაგადაცილებულია 90-ზე მეტი დღით,
- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძვლეები,
- ▶ შეთანხმების დარღვევა, როგორცაა დეფოლტის ან ვადაგადაცილების შემთხვევა,
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია,
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში სავარაუდო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობა გაიზრდება ან შემცირდება, მანამდე აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდება, ეს აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც გაუფასურების გაუქმება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება, მათ შორის, იმის განსაზღვრა, მოხდა თუ არა საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ხდება ინდივიდუალურად, მსესხებლის ფაქტობრივი ან პირობითი საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რა დროსაც ასევე გაითვალისწინება მსესხებლის დაკავშირებული მხარეებისგან ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ხელმძღვანელობისთვის შეფასების თარიღით არის ხელმისაწვდომი, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაცია, რომელზეც ხელმძღვანელობას ხელი მიუწვდება გაუმართლებელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)****ჩამოწერის პოლიტიკა**

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების დასაბუთებული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაქტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. კომპანია აგრძელებს ნებისმიერი მოთხოვნების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო კომპანიას არ შეუძლია მოთხოვნების ამოღება, თუ გასულია სამი წელი კონტრაქტისთვის გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან. კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც ვადის მათი ხანდაზმულობის ვადა. ასეთი ჩამოწერების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

იჯარა – კომპანია, როგორც მოიჯარე*აქტივის გამოყენების უფლება*

აქტივების გამოყენების უფლება ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ძირითად საშუალებებში. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება საოფისე შენობების იჯარის ვადას ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმოკლესი ვადის განმავლობაში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია მიმართავს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისთვის დაშვებულ გამონაკლისებს დაბალი ღირებულების მქონედ (ანუ 5,000 აშშ დოლარზე ნაკლები) მიჩნეული საოფისე აღჭურვილობის იჯარის შემთხვევაში. მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიამ პირველად გამოიყენა სტანდარტში შესული გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს და მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (თუ სხვა რამე არ არის მითითებული). კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. არცერთ ამ სტანდარტს ან ცვლილებას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – ცვლილებები ბასს (IAS) 21-ში

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)****ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული**

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული:

- ▶ ფასს (IFRS) 19 – „შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები“
- ▶ ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში – ფასს (IFRS) 9-ისა და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილება
- ▶ ფასს-ის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – მე-11 თავი
- ▶ ბუნებაზე დამოკიდებული ელექტროენერჯის შესახებ ხელშეკრულებები – ცვლილებები ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 7-ში
- ▶ ფასს (IFRS) 18 – ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები: ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ფასს (IFRS) 18 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“

2024 წლის აპრილში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

სტანდარტი მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ ახლად განსაზღვრული საქმიანობის შედეგების შეფასების საზომებს, შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამებს და ასევე მოიცავს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირებისა და დეზაგრეგირების ახალ მოთხოვნებს, ძირითადი ფინანსური ანგარიშგებებისა და მათზე დართული შენიშვნების კონკრეტული „როლების“ შესაბამისად

გარდა ამისა, ბასს 7-ში „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ შევიდა ვიწრო მიმართულების ცვლილებები, რომლებიც მოიცავს არაპირდაპირი მეთოდით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებული ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგებაზე ან ზარალზე“ და დივიდენდებიდან პროცენტში ფულადი ნაკადების გადატანასთან დაკავშირებული არჩევითობის გაუქმებას. ამასთან, რამდენიმე სხვა სტანდარტში შევიდა სხვა ცვლილებებით გამოწვეული ცვლილებები.

ფასს 18 და სხვა სტანდარტებში შესული ცვლილებები ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება და ამის შესახებ ინფორმაცია უნდა გაცხადდეს. ფასს 18 იმოქმედებს რეტროსპექტიულად.

ამ ახალი სტანდარტების გავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასდება კომპანიის მიერ.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია საანგარიშგებო თარიღისთვის მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შეფასების სხვა ძირითადი წყაროები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტირებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების გაუფასურების ნიშნები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები შეიძლება გაუფასურებული იყოს, ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ შესაბამისად.

იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები, ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს ინფორმაციის როგორც გარე, ისე შიდა წყაროებს, მათ შორის:

- ▶ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებს;
- ▶ შვილობილი საწარმოს ფინანსური შედეგებსა და ფულადი ნაკადების წარმოქმნას;
- ▶ მნიშვნელოვან უარყოფით ცვლილებებს ეკონომიკურ, სამართლებრივ ან საბაზრო გარემოში;
- ▶ ცვლილებებს ბიზნესგეგმებში ან ინვესტიციის მოსალოდნელ გამოყენებას;
- ▶ სხვა გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლინდა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაცემულ სესხებთან მიმართებით

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გასცა სესხები შვილობილ საწარმოებზე, რომლებიც შეფასდა ამორტიზებული ღირებულებით. გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინდივიდუალურად, მსესხებლის ფაქტობრივი ან პირობითი საკრედიტო რეიტინგის მიხედვით, რა დროსაც ასევე გაითვალისწინება მსესხებლის დაკავშირებული მხარეებისგან ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა და სხვა რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ხელმძღვანელობისთვის შეფასების თარიღით არის ხელმისაწვდომი, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაცია, რომელზეც ხელმძღვანელობას ხელი მიუწვდება გაუმართლებელი დანახარჯის ან ძალისხმევის გარეშე.

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)***მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაცემულ სესხებთან მიმართებით (გაგრძელება)*

კომპანია ზარალის რეზერვებს აფასებს იმ ოდენობით, რომელიც უდრის 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს სესხის გაცემის მომენტში. გაცემული სესხები, რომლებზეც აღიარებულია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით, მიიჩნევა „1-ელი სტადის“ ანუ უფრო დაბალი რისკის კატეგორიის ფინანსურ ინსტრუმენტებად. გაცემული სესხები, რომლებიც განაწილებულია 1-ელ სტადიაზე არ განიცდის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან მატებას საწყისი აღიარების შემდეგ და არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული. იმის დადგენისას, საწყისი აღიარების შემდეგ გაცემული სესხის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს ფაქტობრივ ან ნაგულისხმევ საკრედიტო რეიტინგს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. თუ შიდა რეიტინგი არსებითად გაუარესდა, კომპანია გამოავლენს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საწყისი აღიარების შემდეგ და ეს გაცემული სესხები მიიჩნევა „მე-2 სტადის“ ან უფრო მაღალი რისკის კატეგორიის ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებისთვისაც ხდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება.

თუ კომპანიას ფლობს ინფორმაცია, რომ მსესხებელს აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები ან მოსალოდნელია, რომ მსესხებელი გაკოტრდება ან სხვაგვარ ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდის, შესაბამისი ინსტრუმენტი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულად და გადადის „მე-3 სტადის ფინანსური ინსტრუმენტის“, ანუ საკრედიტო რისკით გაუფასურებულ კატეგორიაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების ვადების სტრუქტურას:

- ▶ დეფოლტის ალბათობა
- ▶ დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში
- ▶ დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება._

გაცემული სესხების დეფოლტის ალბათობა ფასდება ინდივიდუალური მიდგომით სარეიტინგო სისტემაში. 12-თვიანი დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეესაბამება ასეთ შიდა რეიტინგს შემდეგ განისაზღვრება საკრედიტო რეიტინგის მიმნიჭებელი გარე სააგენტოების მიერ გამოქვეყნებული დეფოლტის უახლესი სტატისტიკის მიხედვით.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს შესაძლო ზარალის ოდენობას, თუ დადგება დეფოლტის სიტუაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანია იყენებს 64.3%-იანი ზარალს დეფოლტის შემთხვევაში, აღიარებული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებზე დაყრდნობით. 64.3%-იანი ზარალი დეფოლტის შემთხვევაში გამოიყენება ყველა გაცემულ სესხზე.

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა გაცემული სესხი მიკუთვნებადი იყო შვილობილი საწარმოებისთვის.

კომპანია განსჯას მიმართავს იმის დასადგენად, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი სესხის საწყისი აღიარების შემდეგ, ან გახდა თუ არა სესხი საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ასევე არსებობს თუ არა სესხის ამოღების დასაბუთებული მოლოდინი მთლიან აქტივთან ან მის ნაწილთან მიმართებით. კომპანიას არ აქვს შვილობილ საწარმოებზე გაცემულ სესხებზე საკრედიტო ზარალის საკუთარი ისტორია. ამიტომ ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად საბაზრო მონაცემებს იყენებს. სესხების გაუფასურების რეზერვი შეადგენდა 1,297 ლარს 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2024 წ.: ნული) (მე-8 შენიშვნა).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

დიდი და სპეციალიზებული საავადმყოფოების სეგმენტი მოიცავს 7 დიდ საავადმყოფოსა და საშუალო ზომის საავადმყოფოს, რომლებიც თბილისში და საქართველოს რეგიონებში მდებარეობენ და მეორე და მესამე დონის ჯანდაცვის მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს.

რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოების სეგმენტი მოიცავს 27 ჯანდაცვის ობიექტს, რომლებიც ამბულატორიულ და ძირითად სტაციონარულ მომსახურებას უწევენ მომხმარებლებს.

პოლიკლინიკების სეგმენტი მოიცავს 16 პოლიკლინიკას, რომლებიც მომხმარებლებს უწევენ ამბულატორიულ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მომსახურებას და 14 საცალო ლაბორატორიულ სივრცეს ჯიპისის აფთიაქებში.

დიაგნოსტიკური სეგმენტი მოიცავს თბილისში, საქართველოში მდებარე ლაბორატორიას.

ხელმძღვანელობა აკვირდება თავისი თითოეული სეგმენტის საოპერაციო შედეგებს განცალკევებულად, რათა გადაწყვეტილება მიიღოს სახსრების განაწილებასა და შედეგების შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობის შედეგი, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია მოცემული, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალის მსგავსად ფასდება. კორპორაციული ცენტრის დანახარჯები უნაწილდება სეგმენტებს. ჯგუფის ამონაგების 100% წარმოქმნილი იყო საქართველოში 2025 და 2024 წლებში.

ჯგუფი თავისი ამონაგების 50%-ზე მეტს სახელმწიფოსგან იღებს. თუმცა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მთავრობა ვერ ჩაითვლება ერთ კლიენტად, რადგან ჯგუფის მომხმარებლები არიან ის პაციენტები, რომლებიც იღებენ სამედიცინო მომსახურებას და არა ის კონტრაქტები, რომლებიც ამ მომსახურების ღირებულებას იხდიან. შესაბამისად, 2025 წელსა და 2024 წელს ერთ გარეშე მომხმარებელთან დადებული გარიგებებიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის მთლიანი ამონაგების 10%-ზე ნაკლებს შეადგენდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია სეგმენტის სრული შემოსავლის ანგარიშგებები:

	2025					
	დიდი და სპეციალი- ზებულო საავადმყოფოები	რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოები	პოლიკლინიკები	დიაგნოსტიკა	სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია	სულ
ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სახელმწიფოსგან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	143,676	88,970	19,073	751	-	252,470
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	98,405	28,837	45,375	12,449	-	185,066
ჯანდაცვის მომსახურების ამონაგები სადაზღვევო კომპანიებისგან	20,624	12,405	7,616	-	-	40,645
სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია	184	617	794	14,695	(16,290)	-
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(3,556)	(2,694)	(1)	(105)	-	(6,356)
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	259,333	128,135	72,857	27,790	(16,290)	471,825
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(170,105)	(80,873)	(34,698)	(17,395)	18,385	(284,686)
საერთო მოგება	89,228	47,262	38,159	10,395	2,095	187,139
სხვა საოპერაციო შემოსავალი	13,844	2,656	1,149	172	(3,174)	14,647
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(32,616)	(20,775)	(13,239)	(2,571)	-	(69,201)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,666)	(4,349)	(6,400)	(2,283)	212	(23,486)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(4,495)	(4,883)	2,220	(60)	-	(7,218)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,762)	(1,577)	(1,137)	(114)	626	(3,964)
	(49,539)	(31,584)	(18,556)	(5,028)	838	(103,869)
EBITDA	53,533	18,334	20,752	5,539	(241)	97,917
ცვტა და ამორტიზაცია	(27,186)	(12,568)	(9,553)	(1,328)	-	(50,635)
საპროცენტო შემოსავალი	14,746	428	420	202	(14,252)	1,544
საპროცენტო ხარჯი	(47,925)	(8,119)	(5,171)	(841)	14,252	(47,804)
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოურ ვალუტიდან	113	(705)	521	(9)	-	(80)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(840)	-	-	-	-	(840)
ერთჯერადი ზარალი ჯარიმების შედეგად	(685)	(1,300)	-	-	-	(1,985)
საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული პრემიები	(1,739)	-	-	-	-	(1,739)
წამყვანი სამედიცინო პერსონალის ერთჯერადი შესანარჩუნებელი კომპენსაცია	(502)	-	-	-	-	(502)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	245	(590)	(539)	(189)	-	(1,073)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(10,240)	(4,520)	6,430	3,374	(241)	(5,197)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(10,240)	(4,520)	6,430	3,374	(241)	(5,197)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

	2024					სულ
	დიდი და სპეციალი-ზებულო საავადმყოფოები	რეგიონული და საერთო პროფილის საავადმყოფოები	პოლიკლინიკები	დიაგნოსტიკა	სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია	
სახელმწიფოსგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა)	128,860	74,270	14,932	387	-	218,449
თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	84,097	22,797	38,494	7,960	-	153,348
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	16,775	11,366	5,871	-	-	34,012
სეგმენტშორისი გარიგებები და კონსოლიდაცია	133	769	8	13,870	(14,780)	-
გამოკლებული: შესწორებები და ფასჩამოკლებები	(3,217)	(2,240)	(83)	(36)	-	(5,576)
ამონაგები ჯანდაცვის მომსახურებიდან	226,648	106,962	59,222	22,181	(14,780)	400,233
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(150,576)	(70,770)	(28,672)	(14,899)	17,376	(247,541)
საერთო მოგება	76,072	36,192	30,550	7,282	2,596	152,692
სხვა საოპერაციო შემოსავალი	10,608	1,893	1,016	22	(2,931)	10,608
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(29,106)	(17,192)	(11,316)	(2,083)	-	(59,697)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(8,664)	(3,869)	(4,761)	(1,952)	336	(18,910)
ჯანდაცვის მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	(4,226)	(1,682)	(91)	-	-	(5,999)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,475)	(1,448)	(992)	(77)	(1)	(4,993)
	(44,471)	(24,191)	(17,160)	(4,112)	335	(89,599)
EBITDA	42,209	13,894	14,406	3,192	-	73,701
ცვეთა და ამორტიზაცია	(23,944)	(11,504)	(7,538)	(1,188)	-	(44,174)
საპროცენტო შემოსავალი	797	5,998	333	146	(6,349)	925
საპროცენტო ხარჯი	(27,712)	(11,752)	(3,161)	(804)	6,349	(37,080)
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა უცხოურ ვალუტიდან	(807)	519	(1,150)	50	-	(1,388)
ზარალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაციიდან	(1,300)	(565)	(394)	-	-	(2,259)
ზარალი მარაგების ჩამოწერიდან და ვადაგასული ან შეწყვეტილი ერთჯერადი პროექტებიდან	(722)	(266)	(72)	-	-	(1,060)
გაცემულ ფინანსურ გარანტიებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	(270)	-	-	(270)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)	(116)	(155)	(383)	(48)	-	(702)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე	(11,595)	(3,831)	1,771	1,348	-	(12,307)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(11,595)	(3,831)	1,771	1,348	-	(12,307)

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები და აქტივების გამოყენების უფლება მოიცავდა შემდეგს:

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
ძირითადი საშუალებები (i)	4,259	4,389
იჯარები – აქტივის გამოყენების უფლება (ii)	235	310
სულ ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება	4,494	4,699

(i) ძირითადი საშუალებები

2025 წელსა და 2024 წელს ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა ასეთი იყო:

	<i>მიწა და შენობა- ნაგებობები</i>	<i>ავიჯი და მოწყობი- ლობები</i>	<i>კომპიუ- ტერები</i>	<i>საიჯარო ქონების გაუმჯო- ბესება</i>	<i>სატრან- სპორტო საშუალებები</i>	<i>სულ</i>
თვითღირებულება						
17 დეკემბერი, 2024 წ.	-	-	-	-	-	-
დაფუძნების დროს შენატანი (1-ელი შენიშვნა)	3,483	20	45	785	61	4,394
31 დეკემბერი, 2024 წ.	3,483	20	45	785	61	4,394
შემოსვლები	-	5	11	-	-	16
31 დეკემბერი, 2025 წ.	3,483	25	56	785	61	4,410
დაგროვილი ცვეთა						
17 დეკემბერი, 2024 წ.	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	1	-	1	2	1	5
31 დეკემბერი, 2024 წ.	1	-	1	2	1	5
ცვეთის ხარჯი	2	4	26	99	15	146
31 დეკემბერი, 2025 წ.	3	4	27	101	16	151
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება:						
31 დეკემბერი, 2024 წ.	3,482	20	44	783	60	4,389
31 დეკემბერი, 2025 წ.	3,480	21	29	684	45	4,259

კომპანია მიწას ტვირთავს გირავნობით თავისი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უზრუნველსაყოფად. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაგირავებული მიწის საბალანსო ღირებულება 3,480 ლარი იყო (2024 წ.: 3,482 ლარი).

(ii) იჯარები

კომპანიას თავისი სათავო ოფისი იჯარით აქვს აღებული. იჯარა გამოხატულია აშშ დოლარში. ქვემოთ მოცემულია კომპანიის აქტივის გამოყენების უფლებებისა და საიჯარო ვალდებულებების ცვლილების დინამიკა პერიოდის განმავლობაში:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

	აქტივის გამოყენების უფლება	საიჯარო ვალდებულებები
2024 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით		
დაფუძნების დროს შენატანი (1-ელი შენიშვნა)	315	297
ცვეთის ხარჯი	(5)	-
საპროცენტო ხარჯი	-	5
უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	-	(1)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	310	301
ცვეთის ხარჯი	(19)	-
საპროცენტო ხარჯი	-	8
გადახდები	-	(25)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან	-	4
სხვა	(56)	(8)
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	235	280
<i>გრძელვადიანი</i>	<i>235</i>	<i>271</i>
<i>მოკლევადიანი</i>	<i>-</i>	<i>9</i>

7. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
სს „ვიანი“	283,926	282,500
სს „ევექსი“	105,068	104,750
სს „საქართველოს კლინიკები“	55,046	55,000
სს „მეგა-ლაბი“	21,718	21,614
სულ ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	465,758	463,864
სს „დიფლექსი“	973	973
მთლიანი ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	973	973
მთლიანი ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში	466,731	464,837

კომპანიის ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში თავდაპირველად აღიარდება პირობითი ღირებულებით, რომელიც უდრის სამართლიან ღირებულებას ინვესტიციის განხორციელების თარიღისთვის — 2024 წლის 17 დეკემბრისთვის. შვილობილ საწარმოებში ინვესტიციების შეფასება ხელმძღვანელობამ ჩაატარა დამოუკიდებელი მესამე მხარე საშემფასებლო ფირმის მიერ განსაზღვრული სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე. დამოუკიდებელ საშემფასებლო კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს შესაბამის დარგსა და განვითარებად ბაზრებში. შეფასება ჩატარდა შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენებით, მათ შორის შემოსავლის მეთოდით, რომელიც ძირითადად ეყრდნობა დისკონტირებულ ფულად ნაკადებს და საბაზრო მეთოდით, რომელიც ძირითადად ეყრდნობა კოტირებული მსგავსი კომპანიების კოეფიციენტებს (დისკონტირებული ფულადი ნაკადებისა და კოტირებული მსგავსი კომპანიების კოეფიციენტების გამოყენებული მეთოდები აღწერილია ქვემოთ პორტფელის სხვა კომპანიებისთვის). სხვადასხვა შეფასების მეთოდი შეიწონება სამართლიანი ღირებულების დიაპაზონის მისაღებად, სადაც შემოსავლის მეთოდს უფრო მეტი წონა ენიჭება, ვიდრე საბაზრო მეთოდს. ხელმძღვანელობა ირჩევს, მისი აზრით ყველაზე მიზანშეწონილ ერთეულს საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოდგენილ სამართლიანი ღირებულების დიაპაზონში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

7. ინვესტიციები შვილობილ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოში (გაგრძელება)

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია შვილობილ საწარმოებში კაპიტალის ინვესტიციების მე-3 დონის შეფასებების მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების აღწერა კომპანიის დაფუძნების თარიღისთვის:

	<i>შეფასების მეთოდი</i>	<i>არაემპირიული მონაცემები</i>	<i>დიაპაზონი (ნაგულისხმევი კოეფიციენტი)</i>
სს „ვიანი“	დისკონტირებული ფულადი ნაკადები, საწარმოს ღირებულება/EBIDTA	საწარმოს ღირებულება/EBIDTA კოეფიციენტი დისკონტირების განაკვეთი გრძელვადიანი ზრდის ტემპი ამონაგების ზრდის ტემპი	6.4x–12.9x [10.5x] 16.5% - 18.5% [17.5%] 2.5% - 3.5% [3.0%] [11.2%-დან 3.7%-მდე]
სს „ვევესი“	დისკონტირებული ფულადი ნაკადები, საწარმოს ღირებულება/EBIDTA	საწარმოს ღირებულება/EBIDTA კოეფიციენტი დისკონტირების განაკვეთი გრძელვადიანი ზრდის ტემპი ამონაგების ზრდის ტემპი	11.7x–12.9x [10.4x] 17.0% - 19.0% [18.0%] 2.5% - 3.5% [3.0%] [16.9%-დან 4.8%-მდე]
სს „საქართველოს კლინიკები“	დისკონტირებული ფულადი ნაკადები, საწარმოს ღირებულება/EBIDTA	საწარმოს ღირებულება/EBIDTA კოეფიციენტი დისკონტირების განაკვეთი გრძელვადიანი ზრდის ტემპი ამონაგების ზრდის ტემპი	6.4x–12.9x [10.1x] 17.5% - 19.5% [18.5%] 2.5% - 3.5% [3.0%] [12.9%-დან 4.1%-მდე]
სს „მეგა-ლაბი“	დისკონტირებული ფულადი ნაკადები, საწარმოს ღირებულება/EBIDTA	საწარმოს ღირებულება/EBIDTA კოეფიციენტი დისკონტირების განაკვეთი გრძელვადიანი ზრდის ტემპი ამონაგების ზრდის ტემპი	4.8x–12.9x [10.2x] 18.0% - 20.0% [19.0%] 2.5% - 3.5% [3.0%] [9.5%-დან 3.0%-მდე]

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გამოუვლენია გაუფასურების ნიშნები ყველა თავისი შვილობილი საწარმოსა და მეკავშირე საწარმოსთვის (მე-4 შენიშვნა).

8. გაცემული სესხები და სხვა აქტივები

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით*	30,721	7,694
შვილობილ საწარმოებზე გაცემული სესხები	320,211	2,888
სხვა მოთხოვნები	194	2,387
	351,126	12,969
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,297)	–
სულ გაცემული სესხები და სხვა აქტივები	349,829	12,969
გრძელვადიანი	317,549	8,554
მოკლევადიანი	32,280	4,415

* კაპიტალის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წარმოდგენილია საბოლოო მშობელი საწარმოს საკუთარი კაპიტალის აქციებით, რომლებიც შესყიდულია კომპანიის აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ასეთი აქციები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, ლონდონის საფონდო ბირჟაზე იმ კოტირებების მიხედვით, რომლებიც ყველაზე ახლოსაა საანგარიშგებო თარიღთან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. გაცემული სესხები და სხვა აქტივები (გაგრძელება)

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი
17 დეკემბერი, 2024 წ.	-
გაცემული სესხების გაუფასურების დანარიცხი	-
31 დეკემბერი, 2024 წ.	-
გაცემული სესხების გაუფასურების დანარიცხი	1,297
31 დეკემბერი, 2025 წ.	1,297

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები მოიცავს შვილობილი საწარმოებისთვის გამოყოფილ სესხებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით. 317,051 ლარის გაცემულ სესხს აქვს ცვალებადი კუპონის განაკვეთი, რომელიც მიზნულია თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთზე (არაკუმულაციური ნაზარდი დღიური TIBR) + 450 საბაზისო პუნქტი, ხოლო დაფარვის ვადა ეწურება 2030 წლის სექტემბერში. 3,160 ლარის სესხები გაცემულია სეზ-ის რეფინანსირების განაკვეთით + 6% და დაფარვის ვადა ეწურება 2026 წლის 2026 სექტემბერში.

2025 წელს კომპანიამ შვილობილ საწარმოზე გაცემული სესხები გაქვითა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს ნასესხებ სახსრებთან 267 ლარის ოდენობით (22-ე შენიშვნა).

ქვემოთ მოცემულია გაცემული სესხების ცვლილების დინამიკა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით:

	გაცემული სესხები
17 დეკემბერი, 2024 წ.	2,780
საპროცენტო შემოსავალი	108
31 დეკემბერი, 2024 წ.	2,888
გაცემული სესხები	317,390
მიღებული სესხის ძირითადი თანხა	(9,913)
საპროცენტო შემოსავალი	11,553
მიღებული პროცენტი	(1,440)
გაქვითული შვილობილი საწარმოსგან ნასესხებ სახსრებთან	(267)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,297)
31 დეკემბერი, 2025 წ.	318,914

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და გამოხატულია ლარში.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	21,549	1
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	21,549	1

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 21,549 ლარის ოდენობით (2024 წ.: 1 ლარი) განთავსებული იყო ბანკებში, რომელთაც აქვთ Standard & Poor's-ისგან მინიჭებული „BB-“, Moody's-ისგან მინიჭებული „Ba3“ და Fitch Ratings-ისგან მინიჭებული „BB-“ რეიტინგი. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებობდა იყო შეფასებული.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი გამოხატულია ლარში და აქციონერებს აქვთ დივიდენდების ლარში მიღების უფლება.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმოქცევაში გაშვებული აქციების (A და B ტიპის აქციები ერთობლივად) ჯამური რაოდენობა იყო 105,984,128 (2024 წ.: 105,943,729). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარს შეადგენდა:

<i>აქციების რაოდენობა</i>	<i>A ტიპი</i>	<i>B ტიპი</i>	<i>სულ</i>
გამოშვებული და განადგურებული სააქციო კაპიტალი	105,279,519	–	105,279,519
გამოშვებული და გაუნადგურებული სააქციო კაპიტალი	–	704,609	704,609

თითოეული A ტიპის აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. B ტიპის აქციის მფლობელებს უფლება აქვთ დივიდენდი მიიღონ ლარში, მაგრამ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება.

დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოდგენილია იმ თანხით, რომლითაც კომპანიის დაფუძნების ფარგლებში გადაცემული აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება აღემატება მის სააქციო კაპიტალს. აქციებთან დაკავშირებული გარიგებების გავლენა (აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ჩათვლით) ასახულია დამატებით შეტანილ კაპიტალში.

კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება სააქციო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი. კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ▶ კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით აქციონერებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს.
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და აქციონერების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკაში 2025 წელს ცვლილებები არ შესულა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. ნასესხები სახსრები

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	26,419	5,758
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები	114	13,208
მთლიანი მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	26,533	18,966
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		
ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	-	17,060
მთლიანი გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	17,060
ნასესხები სახსრები, სულ	26,533	36,026

2025 წლის სექტემბერში კომპანიამ დაფარა ნასესხები სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მოპოვებული ფულადი სახსრებით (მე-13 შენიშვნა). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ერთი სესხი ადგილობრივი ბანკისგან. სესხი ექვემდებარება ფინანსური და არაფინანსური პირობების შესრულებას, რაც მოიცავს მოზიდული სახსრების წილის ლიმიტებს, მომგებიანობის კოეფიციენტებსა და სხვა მოთხოვნებს. 2025 წელს, ადგილობრივი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 13.6% იყო (2024 წ.: 12.5%), ხოლო საშუალო ვადა - 273 დღე (2024 წ.: 1,529 დღე). 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო იმ პირობებთან, რომლებიც ვრცელდებოდა კომპანიის ნასესხებ სახსრებსა და გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 12,500 ლარის აუთვისებელი საკრედიტო ხაზები (2024 წ.: ნული).

2025 წელს კომპანიამ შვილობილ საწარმოზე გაცემული სესხები გაქვითა შვილობილი საწარმოსგან ნასესხებ სახსრებთან 267 ლარის ოდენობით (22-ე შენიშვნა).

ცვლილება საფინანსო საკმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში:

	ნასესხები სახსრები	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	სულ
17 დეკემბერი, 2024 წ.	-	-	-
არაფულადი ვალდებულებების აღება დაფუძნების დროს (1-ელი შენიშვნა)	35,868	-	35,868
მიღებული სესხები	22,774	-	22,774
ნასესხები სახსრების დაფარვა	(22,489)	-	(22,489)
საპროცენტო ხარჯი	158	-	158
გადახდილი პროცენტი	(285)	-	(285)
31 დეკემბერი, 2024 წ.	36,026	-	36,026
აღებული სესხები და გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	54,802	346,186	400,988
ნასესხები სახსრების დაფარვა	(62,585)	-	(62,585)
საპროცენტო ხარჯი	4,314	12,162	16,476
გადახდილი პროცენტი	(5,786)	-	(5,786)
გაქვითული შვილობილ საწარმოზე გაცემულ სესხებთან	(267)	-	(267)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი	29	-	29
31 დეკემბერი, 2025 წ.	26,533	358,348	384,881

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. დასაქმებულთა კომპენსაციის დანარიცხები

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
ხელფასებისა და პრემიების დარიცხვები	1,108	1,893
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების დარიცხვები, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით (მე-17 შენიშვნა)	24,157	7,071
სავაჭრო ვალდებულებები, სულ	25,265	8,964
<i>გრძელვადიანი</i>	<i>9,057</i>	<i>–</i>
<i>მოკლევადიანი</i>	<i>16,208</i>	<i>8,964</i>

13. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

2025 წლის სექტემბერში კომპანიამ წარმატებით გამოუშვა 350 მილიონი ლარის უზრუნველყოფილი სოციალური ობლიგაცია ქართულ ბაზარზე. ობლიგაციებს აქვთ 5-წლიანი ერთჯერადად დაფარვის ვადა და აქვთ ცვალებადი კუპონის განაკვეთი, რომელიც მიზნულია თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთზე (არაკუმულაციური ნაზარდი დღიური TIBR) + 375 საბაზისო პუნქტი. შემოსული თანხა ძირითადად მოხმარდა არსებული გრძელვადიანი სესხების რეფინანსირებას, ხოლო ნაწილი გამოიყო სამომავლო კაპიტალური დანახარჯებისთვის.

კომპანია გირავნობით ტვირთავს თავისი შვილობილი საწარმოების საავადმყოფოებსა და კლინიკებს და გარკვეულ სამედიცინო აღჭურვილობას თავისი გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უზრუნველსაყოფად.

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
მოკლევადიანი	12,162	–
გრძელვადიანი	346,186	–
სულ გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	358,348	–

14. ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
წილობრივი ანაზღაურება (მე-17 შენიშვნა)	(3,905)	(52)
ხელფასები და სხვა გასამრჯელოები	(2,707)	–
პრემიები ფულადი სახით	(63)	–
სულ ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(6,675)	(52)

15. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	<i>2025</i>	<i>2024</i>
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხარჯი	(20)	(243)
პროფესიული მომსახურება	(311)	–
კომუნიკაციები	(17)	–
უსაფრთხოება	(26)	–
წარმომადგენლობითი ხარჯები	(56)	–
მარკეტინგი და რეკლამა	(23)	–
სხვა	(137)	(12)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(590)	(255)

2025 წელს კომპანიის მიმდინარე წლის ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში გადასახდელი აუდიტის გასამრჯელო იყო 311 ლარი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	15	-
გაცემულ სესხებზე საპროცენტო შემოსავალი	11,553	108
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	11,568	108
საპროცენტო ხარჯი		
ნასესხები სახსრების საპროცენტო ხარჯი	(4,314)	(158)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო ხარჯი	(12,162)	-
საპროცენტო ხარჯი იჯარაზე	(8)	(5)
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	(16,484)	(163)

17. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება

2025 წლის აპრილში მშობელი საწარმოს, „საქართველოს კაპიტალის“, დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა „საქართველოს კაპიტალის“ 87,466 ჩვეულებრივი აქციის გაცემა კომპანიის გენერალურ დირექტორზე. აქციები გადაიცა უფლების გადაცემის სამ და ხუთ წლიანი ვადით, რომლის ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა ვრცელდება დისკრეციულ აქციებზე, ხოლო უფლების გადაცემის ხუთ წლიანი პერიოდი – გარანტირებულ აქციებზე. კომპანია გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2025 წლის 20 აპრილს. კომპანიის შეფასებით, „საქართველოს კაპიტალის“ გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის 40.1 ლარი იყო. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის საბაზრო ფასის საფუძველზე. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქციებზე უფლების გადაცემა არ მომხდარა.

	2025	2024
„საქართველოს კაპიტალის“ აქციების გადაცემა	3,604	-
„საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ აქციების გადაცემა	301	52
სულ აქციებზე დაფუძნებული ხარჯი	3,905	52
- აქედან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ხარჯი	1,452	52
- აქედან ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ხარჯი	2,453	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოები ვალდებულება, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-17 შენიშვნა)	24,157	7,071

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეკონომიკური ჰეჯირების მიზნით ფლობილი აქციების სამართლიანი ღირებულება გაუტოლდა 30,721 ლარს (2024 წ.: 7,694 ლარი) (მე-8 შენიშვნა). 2025 წელს გადაფასებით განპირობებული შემოსულობა ასეთ აქციებზე, რომელიც გამოყენებული იქნა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ჯილდოებზე გადაფასებით განპირობებული ზარალის გადასაფარად, გაუტოლდა 15,800 ლარს (2024 წ.: ნული).

2025 წელს კომპანიამ აღიარა მშობელი საწარმოსთვის მიკუთვნებადი, 8,707 ლარის წილობრივი ინსტრუმენტები, ფლობილი, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რათა დაეკმაყოფილებინა კომპანიის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ჯილდოები მშობელი საწარმოს აქციების სახით, რაც აღირიცხა პირდაპირ ინდივიდუალურ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. გადასახადები

2025 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი. საქართველოში იურიდიულმა პირებმა ინდივიდუალური საგადასახადო დეკლარაციები უნდა წარადგინონ. 2025 წლის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენდა გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-ს – განაწილებულ მოგებაზე. კომპანიის მიერ განაწილებულ დივიდენდებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ გამოუწვევია საგადასახადო შედეგები, ვინაიდან სხვა ქართული იურიდიული პირების მიმართ განაწილებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. 2025 და 2024 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გაუნაწილებია მშობელ საწარმოზე.

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მტკიცე პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო შეიძლება დაირიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება მართებულია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

20. რისკის მართვა

შესავალი

რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის და კომპანიაში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობისა და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები. რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნესრისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და დარგობრივი ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება კომპანიის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო მფლობელების წინაშე პასუხისმგებელია კომპანიის შვილობილი საწარმოების საქმიანობის მართვით მათთვის მდგრადი ღირებულების შექმნასა და მიწოდებაზე. მის მოვალეობებში შედის კომპანიის სტრატეგიის დასახვა და მისი განხორციელება რისკის ეფექტური მართვის და შიდა კონტროლების გათვალისწინებით, ეთიკურობის დემონსტრირება და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისი პრინციპების, საფუძვლების, პოლიტიკის და ლიმიტების დანერგვასა და გატარებაზე, რაც უკავშირდება ზოგადი კონტროლის გარემოს, მანუალური და პროგრამული კონტროლის პროცედურებს, გამიზნული თუ უნებლიე უზუსტობების რისკებს, თაღლითობის ან აქტივების მითვისების რისკს, ინფორმაციის უსაფრთხოებას, საინფორმაციო ტექნოლოგიის რისკებს და ა.შ. შიდა აუდიტის დეპარტამენტი ხელს უწყობს კომპანიის გარე აუდიტორების საქმიანობას.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაქტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აწესებს და რეგულარულად აკონტროლებს კრედიტის ვადებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო ხარისხის მიმოხილვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაქტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვის და მოთხოვნების ხანდაზმულობის სისტემატურ ანალიზს. კონტრაქტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად. საკრედიტო ხარისხის მიმოხილვის პროცესი კომპანიას საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი კომპანიის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა და საკრედიტო ხარისხი აქტივის კლასის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>ზარალის დონე</i>	<i>მთლიანი საბალანსო ღირებულება</i>	<i>მოსალოდნელი ზარალი</i>	<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>
გაცემული სესხები და სხვა აქტივები				
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	0.6%	320,211	1,297	318,914
სხვა მოთხოვნები	–	194	–	194
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები		320,405	1,297	319,108

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2024 წ.	ზარალის დონე	მთლიანი საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი ზარალი	წმინდა საბალანსო ღირებულება
გაცემული სესხები და სხვა აქტივები				
გაცემული სესხები (1-ელი სტადია)	-	2,888	-	2,888
სხვა მოთხოვნები	-	2,387	-	2,387
მთლიანი სხვა ფინანსური აქტივები		5,275	-	5,275

გაცემულ სესხებს არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგი და არ არის უზრუნველყოფილი. 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები არ არის ვადაგადაცილებული. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდოდა. გაცემული სესხების და ფინანსური გარანტიების დეფოლტის საკუთარი ისტორიული სტატისტიკის არარსებობის გამო, კომპანიამ მნიშვნელოვანი განსჯა გამოიყენა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის საორიენტაციო მაჩვენებლებთან მიმართებით, აღიარებული სარეიტინგო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით. მნიშვნელოვანი განსჯა გახდა ასევე საჭირო კონტრაქტების სავარაუდო საკრედიტო რეიტინგის დასადგენად სავარაუდო დეფოლტის ალბათობის გამოყენების მიზნით. ამ განსჯის გამოყენებისას კომპანიამ მხედველობაში მიიღო მსოფლიოს მასშტაბით ჯანდაცვის სექტორის საკრედიტო რეიტინგების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია. 2025 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიამ თავის გაცემულ სესხებთან მიმართებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი შეაფასა 1,297 ლარით (2024 წ.: ნული).

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს.

კომპანია მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ყველაზე დიდი ლიკვიდობის რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას, არის ნასესხები სახსრების ვადიანობა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. კომპანია ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
სავაჭრო ვალდებულებები	396	–	–	–	396
ნასესხები სახსრები	1,018	28,285	–	–	29,303
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	20,563	20,563	514,500	–	555,626
საიჯარო ვალდებულებები	9	28	151	28	216
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	21,986	48,876	514,651	28	585,541

<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>	<i>3 თვეზე ნაკლები</i>	<i>3-დან 12 თვემდე</i>	<i>1-დან 5 წლამდე</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
სავაჭრო ვალდებულებები	360	–	–	–	360
ნასესხები სახსრები	14,854	5,007	24,477	–	44,338
საიჯარო ვალდებულებები	10	29	157	235	431
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	15,224	5,036	24,634	235	45,129

კომპანია მოელის, რომ შეძლებს ყველა მომავალი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას თავისი ოპერაციებიდან შემოსულობის, შვილობილ საწარმოებზე გაცემულ სესხებზე პროცენტისა და ძირი თანხის დაფარვების გამოყენებით (რომელთა გადახდის გრაფიკი მორგებულია კომპანიის მიერ გაცემული სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდის გრაფიკებთან) ან მშობელი საწარმოსგან დამატებითი დაფინანსების მოპოვებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ცვლილების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. კომპანია მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს კომპანიის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის საბაზრო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიას აქვს სეზონ-ის მოკლევადიანი სესხის რეფინანსირების განაკვეთებზე მიმდრეკილი ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი.

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის მგრძობელობა არის საპროცენტო განაკვეთის დასაშვები ცვლილების ეფექტი წლის საპროცენტო ხარჯზე. 2025 წელს მგრძობელობის ანალიზმა არ გამოავლინა რაიმე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენა კომპანიის კაპიტალზე. მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მოგების ან ზარალის მგრძობელობას საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც სხვა ცვლილებები უცვლელია:

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

ვალუტა	31 დეკემბერი, 2025 წ.		31 დეკემბერი, 2024 წ.	
	სავალუტო კურსის		სავალუტო კურსის	
	საბაზისო პუნქტებში	მოგება-ზარალის მგრძობელობა	საბაზისო პუნქტებში	მოგება-ზარალის მგრძობელობა
ლარი	-1.50%	5,646	-2.50%	900
ლარი	1.50%	(5,646)	2.50%	(900)

სავალუტო რისკი

კომპანიის ფულადი აქტივები და ვალდებულებები ძირითადად ლარშია გამოხატული, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს სავალუტო კურსების მერყეობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც კონტროლის მექანიზმები ეფექტურად არ ხორციელდება, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგითა და მათზე რეაგირებით, კომპანია ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომლების განათლებისა და შეფასების პროცესებს და შიდა აუდიტის გამოყენებას.

საოპერაციო გარემო

კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ეს მოიცავს ახალი კანონმდებლობის მიღებას (ახალი საგადასახადო კოდექსის და საპროცესო კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესრისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისის და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი (ემპირიული), და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან ემპირიულ საბაზრო მონაცემებს.

ქვედა ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მათში ასევე შესულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღრიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. დაფუძნების თარიღიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

31 დეკემბერი, 2025 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ		აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)
				სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	30,721	–	–	30,721	30,721	–
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	–	318,914	318,914	318,914	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	26,533	26,533	26,533	–
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	358,348	–	358,348	358,348	–
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	396	396	396	–

31 დეკემბერი, 2024 წ.	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ		აუღიარებელი შემოსულობა (ზარალი)
				სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	7,694	–	–	7,694	7,694	–
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
სხვა აქტივები: გაცემული სესხები	–	–	2,888	2,888	2,888	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	36,026	36,026	36,026	–
სავაჭრო ვალდებულებები	–	–	360	360	360	–

*(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***21. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)****სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: კომპანიამ გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, მისი აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), მათ შორის, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების, საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს. ეს დაშვება ეხება ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საწყისი აღიარების დროს დაფიქსირებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ცვალებადი განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულებები უახლოვდებოდა მათ საბალანსო ღირებულებებს, ვინაიდან ხდება განაკვეთების რეგულარულად განსაზღვრა და სხვაობები უკავშირდება ყოველი მომდევნო საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრის თარიღამდე პერიოდს, ვინაიდან ამ თარიღისთვის, ცვლადი (ანუ საპროცენტო განაკვეთი), რომელიც იწვევს სხვაობებს, საბაზრო განაკვეთებით განისაზღვრება.

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2025 წ.			31 დეკემბერი, 2024 წ.		
	მშობელი საწარმო*	სხვა საწარმოები**	შვილობილი საწარმოები	მშობელი საწარმო*	სხვა საწარმოები**	შვილობილი საწარმოები
აქტივები						
გაცემული სესხები და სხვა აქტივები: გაცემული სესხები	-	-	320,211	-	-	2,888
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	-	-	(1,297)	-	-	-
გაცემული სესხები და სხვა აქტივები: კაპიტალის ინვესტიციები, ფლობილი სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	30,721	-	-	7,694	-	-
გაცემული სესხები და სხვა აქტივები: სხვა მოთხოვნები	-	127	11	-	1,710	-
	30,721	127	318,925	7,694	1,710	2,888
ვალდებულებები						
სავაჭრო ვალდებულებები	-	-	125	-	-	30
ნასესხები სახსრები	-	-	114	-	-	13,208
სხვა ვალდებულებები	-	41	-	-	-	-
	-	41	239	-	-	13,238

შვილობილი საწარმოები**შემოსავალი და ხარჯები**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
გაცემული სესხების გაუფასურება
საპროცენტო შემოსავალი
საპროცენტო ხარჯი

	2025	2024
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(11)	-
გაცემული სესხების გაუფასურება	(1,297)	-
საპროცენტო შემოსავალი	11,553	108
საპროცენტო ხარჯი	(1,689)	(111)
	8,556	(3)

* 2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მშობელი საწარმო მოიცავს უშუალო მშობელ საწარმოს – სს „საქართველოს კაპიტალს“ და საბოლოო მშობელ საწარმოს – საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალს“.

**საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი საწარმოები.

2025 წელს კომპანიამ შვილობილ საწარმოზე გაცემული სესხები გაქვითა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოს ნასესხებ სახსრებთან 267 ლარის ოდენობით (მე-8 და მე-11 შენიშვნები).

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

2025 წელს კომპანიამ შეიძინა დამატებითი წილი თავის შვილობილ საწარმოებში 1,765 ლარის ფულადი საზღაურის სანაცვლოდ, შვილობილ საწარმოებში დასაქმებულთათვის დასაქმებულთა აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში გადაცემული B ტიპის აქციების გამოსყიდვით (1-ელი შენიშვნა).

ობლიგაციები გარანტირებულია კომპანიის შვილობილი საწარმოების მიერ. კომპანია მიიჩნევს, რომ გარანტია არის ობლიგაციების პირობების განუყოფელი ნაწილი და ამიტომ მას ცალკე არ აღრიცხავს ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შვილობილ საწარმოებს წარმოდგენილი აქვთ ძირითადი საშუალებები კომპანიის ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად (მე-11 შენიშვნა).

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	<i>2025</i>	<i>2024</i>
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება	3,668	52
ხელფასები და ფულადი პრემიები	2,441	–
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	6,109	52

დასაქმებულთა დარიცხვები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის მოიცავდა შემდეგს:

	<i>31 დეკემბერი, 2025 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2024 წ.</i>
ხელფასებისა და პრემიების დარიცხვები – გრძელვადიანი	1,027	–
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების დარიცხვები, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით – მოკლევადიანი	3,398	2,025
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების დარიცხვები, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით – გრძელვადიანი	7,319	–
სულ	11,744	2,025

* უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს წევრებით.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2026 წლის თებერვალში კომპანიის მშობელმა საწარმომ – „საქართველოს კაპიტალმა“, კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოს – სს „საქართველოს რეგიონული კლინიკების“ აქციების 100% გადასცა კომპანიას კომპანიის მიერ გამოშვებული A ტიპის 2,371,504 აქციის სანაცვლოდ, რომელთაგან თითოეული ნომინალური ღირებულება 1 ქართული ლარი იყო. სს „საქართველოს რეგიონული კლინიკები“ ფლობს 100%-იან წილს შპს „გორმედის“ კაპიტალში, რომელსაც ეკუთვნის საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე სამი საავადმყოფოს რეგიონული ქსელი. აქციების შეტანის შემდეგ, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა გადაწყვეტილება კომპანიის სხვა შვილობილი საწარმოსთვის, სს „საქართველოს კლინიკებისთვის“, სს „საქართველოს რეგიონული კლინიკების“ აქციების 100%-ის მიყიდვის შესახებ, 10,818 ლარის ოდენობის საზღაურის სანაცვლოდ.



საქართველოს
ჯანდაცვის
ტბუფი



მმართველობის
ანგარიშგება

2025

შინაარსი

საქმიანობის მიმოხილვა



სტრატეგია

ჩვენი ბიზნეს მოდელი	23
ჩვენი სტრატეგია	30
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	33
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა	36

კორპორაციული მმართველობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები	46
კომპანიის ხელმძღვანელ პირთა ბიოგრაფიები და ძირითადი მოვალეობები	47

აღნიშნული მმართველობის ინდივიდუალური ანგარიშგება ეუთვნის სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს“, თუმცა ანგარიშგებაში განხილული ფინანსური და სხვა სახის ინფორმაცია ასევე მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ შედეგებს.





საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნე

საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა




საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა

2025 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკამ ზრდის მაღალი ტემპი შეინარჩუნა. წლის პირველ კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9.8% შეადგინა, ხოლო მეორე კვარტალში საშუალოდ 7.1% დაფიქსირდა. ივლისის მონაცემებით ეკონომიკური აქტივობა 6.5%-ით გაიზარდა, რის შედეგადაც 2025 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 8.0%-ს გაუტოლდა. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობის მიმართულებით დაფიქსირებულმა დადებითმა ტენდენციებმა. კერძოდ, 2025 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტი წლიურად 9.0%-ით გაიზარდა და 3.8 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი (რეექსპორტის გამორიცხვით) 2.7%-ით გაიზარდა. ტურიზმის სექტორშიც დაფიქსირდა ზრდა.

2025 წლის მეორე კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1,145.0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 5.0%-იანი ზრდის მაჩვენებელია და აღნიშნული პერიოდისთვის რეკორდულ მოცულობას წარმოადგენს. ამასთან, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდა 9.4%-ით განისაზღვრა, რაც ქვეყანას მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკებს შორის აყენებს. ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზე იყო. 2025 წელსაც ეკონომიკური აქტივობის მაღალი დინამიკა შენარჩუნდა. ივლისში ეკონომიკურმა ზრდამ 6.5% შეადგინა, ხოლო წლის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი 8.0%-ს გაუტოლდა.

დიაგრამა 1. საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტენდენცია



საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებს სტაბილურობასა და გამძლეობას, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თანმიმდევრული და გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 2025 წლის აპრილში გამოქვეყნებული განახლებული ეკონომიკური პროგნოზების მიხედვით, გლობალური ეკონომიკის, მათ შორის წამყვანი ეკონომიკებისა და ევროპის ქვეყნების უმრავლესობისთვის ზრდის მოლოდინები შემცირდა.

აღნიშნული ტენდენციის მიუხედავად, საქართველოში განხორციელებული მისიის შედეგების საფუძველზე სავალუტო ფონდმა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2025 წლისთვის 6.0%-დან 7.2%-მდე გაზარდა, რაც მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის შედარებით მაღალ მდგრადობასა და ადაპტაციის უნარზე საგარეო ეკონომიკური შოკების მიმართ.


2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ ძლიერი ზრდის ტემპი შეინარჩუნა და წლიურმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 9.5% შეადგინა (2023 წლის 7.8%-ის შემდეგ), რაც განპირობებული იყო როგორც შიდა ეკონომიკური აქტივობის მაღალი დონით, ისე სტაბილური სავალუტო შემოდინებებით. ზრდას მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მშენებლობის, განათლების, საჯარო ადმინისტრირებისა და ფინანსური სექტორებმა.

ტურიზმის ადღგენა გაგრძელდა და საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4.4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც პანდემიამდელი 2019 წლის დონეს 35%-ით აღემატება. ექსპორტი ზომიერად, 7.8%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის 8.6%-იანი ზრდის ფონზე სავაჭრო დეფიციტი გაფართოვდა.


ფისკალური პოლიტიკა ექსპანსიური დარჩა — ბიუჯეტის შემოსავლები 16%-ით გაიზარდა, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები 18%-ით.

საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა

დიაგრამა 2. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტენდენცია




დიაგრამა 3. მშპ ერთ სულზე, 2024



დიაგრამა 4. მშპ სექტორების მიხედვით (2024 წელი)


- ვაჭრობა
- მრეწველობა
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა
- მშენებლობა
- სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა
- სახელმწიფო მმართველობა
- ტრანსპორტი და დასაწყობება
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- განათლება
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
- ზელოვნება, გართობა და დასვენება
- განთავსების საშუალებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
- ჯანდაცვა
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
- სხვა



საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა


სავალუტო ფონდის პროგნოზით, რეგიონისა და ევროპის ქვეყნებს შორის, საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა საშუალოვადიან პერიოდში - 2025-2030 წლებში.

დიაგრამა 5. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი (%), IMF, 2025-2030




ბოლო წლებში საქართველოს შრომის ბაზარზე შეინიშნება პოზიტიური სტრუქტურული ცვლილებები, რაც ხელს უწყობს შიდა მოთხოვნისა და მომსახურების სექტორის განვითარებისთვის მყარ საფუძვლის შექმნას. 2016–2025 წლების პერიოდში დასაქმების დონე 43%-დან 46.4%-მდე გაიზარდა, ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა და 21.7%-დან 14.3%-მდე დაეცა. აღნიშნული ტენდენცია ასახავს ეკონომიკური აქტივობის ზრდას და მოსახლეობის უფრო ფართო ჩართულობას ოფიციალურ ეკონომიკურ საქმიანობაში.

დიაგრამა 6. დასაქმება



დიაგრამა 7. დაქირავებით დასაქმებულთა ნომინალური ხელფასი



დიაგრამა 5 - წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
 დიაგრამა 6 - წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
 დიაგრამა 7 - წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა

საქართველოში შრომის ბაზარი ბოლო წლებში მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ავლენს, რაც ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებისა და შიდა მოთხოვნის ზრდისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის. 2010 წლიდან დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 2025 წლის პირველ კვარტალში 2,170 ლარს გადააჭარბა. შემოსავლების ზრდა ზრდის მოსახლეობის გადახდისუნარიანობას და აძლიერებს კერძო მოხმარების შესაძლებლობებს, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით დანახარჯების ნაწილში. შრომის ბაზრის პოზიტიური დინამიკა ჯანდაცვის სექტორისთვის რამდენიმე მიმართულებით ქმნის დამატებით სტრუქტურულ მხარდაჭერას. დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა ზრდის გეგმურ და პრევენციულ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას, ხოლო ფორმალური დასაქმების გაფართოება ხელს უწყობს კერძო სამედიცინო დაზღვევის გავრცელებას. ამასთანავე, შემოსავლების ზრდა აძლიერებს მოსახლეობის მზადყოფნას უფრო ხარისხიან და მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე დანახარჯების გასაწევად.

საბოლოო ჯამში, შრომის ბაზარზე დაფიქსირებული დადებითი ტენდენციები წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ფაქტორს, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში მხარს უჭერს ჯანდაცვის სექტორში მოთხოვნის ზრდას და ქმნის მდგრად საფუძველს კერძო ჯანდაცვის პროვაიდერების შემდგომი გაფართოებისთვის.

საქართველო წარმოადგენს ღია და რეფორმებზე ორიენტირებულ ეკონომიკას, რომელიც თანმიმდევრულად ავითარებს რეგიონული ეკონომიკური ჰაბის როლს და ინარჩუნებს მდგრად მაკროეკონომიკურ საფუძველს. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ფოკუსირებულია ფისკალური სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასა და ევროპულ ეკონომიკურ სივრცესთან ინტეგრაციის გაღრმავებაზე. აღნიშნული მიმართულებები ხელს უწყობს ეკონომიკური სტრუქტურის დივერსიფიკაციას, პროდუქტიულობის ზრდას და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის მნიშვნელოვან წინაპირობებს ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ 2023–2024 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გარკვეულწილად შემცირდა და 2024 წელს დაახლოებით 1.6 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ აღემატება ჰანდემის პერიოდის დონეს. ეს გარემოება მიუთითებს საქართველოს საინვესტიციო გარემოს მდგრადობაზე და ქვეყნის უნარზე შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანი პოზიცია რეგიონულ ეკონომიკურ სივრცეში.

დიაგრამა 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება სხვადასხვა სექტორში მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიკირებულ სტრუქტურაზე. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია საფინანსო სექტორში (17.2%), ტრანსპორტსა და ლოგისტიკაში (15.0%), უძრავ ქონებაში (13.9%) და დამამუშავებელ მრეწველობაში (13.4%). ასევე მნიშვნელოვან წილს იკავებს ენერჯეტიკისა და კომუნიკაციების სფეროები, რაც ასახავს ინფრასტრუქტურულ და კაპიტალში სექტორებში საინვესტიციო აქტივობის მაღალ დონეს. საინვესტიციო ნაკადების მსგავსი დივერსიფიკაცია ქმნის ხელსაყრელ პირობებს მომსახურების სექტორის, მათ შორის ჯანდაცვის სფეროს განვითარებისთვის. საფინანსო სექტორში კაპიტალის ზრდა აუმჯობესებს ფინანსური სერვისებისა და კერძო დაზღვევის ხელმისაწვდომობას, რაც ზრდის მოსახლეობის შესაძლებლობას ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, უძრავ ქონებასა და ინფრასტრუქტურულ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ხელს უწყობს რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებას და ზრდის სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაფართოების პოტენციალს.

საქართველოს ეკონომიკური მიმოხილვა


ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარება კი აუმჯობესებს რეგიონულ დაკავშირებადობას და ზრდის სამედიცინო სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობას. საერთო ჯამში, ეკონომიკის დივერსიფიცირებული საინვესტიციო სტრუქტურა ამცირებს სექტორულ რისკებს და ქმნის სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს ჯანდაცვის სექტორში მოთხოვნის ზრდასა და კერძო სამედიცინო პროვაიდერების განვითარების შესაძლებლობებს.

დიაგრამა 9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი სექტორების მიხედვით




პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯანდაცვის სექტორში, ზოგადად, დაბალია და მთლიანი პირდაპირი ინვესტიციების დაახლოებით 1-1.2%-ს შეადგენს. გაერთიანებული სამეფო ერთ-ერთი წამყვანი ინვესტორია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში - 2016-2023 წლებში მასზე მოდიოდა სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალოდ 30%. 2024 წელს ჯანდაცვის სექტორში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 13 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 21%-ით მეტია.

დიაგრამა 10. ჯანდაცვის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაში



დიაგრამა 11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯანდაცვის სექტორში ქვეყნების მიხედვით (2013-2022)





საქართველოს
ჯანდაცვის
აბრუნება

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა



სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

ჯანდაცვის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენს. მოთხოვნისა და მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების გავლენით, სექტორის საერთო გამოშვება ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2018–2024 წლებში ჯანდაცვის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 9.4% შეადგინა. ამავე პერიოდში ჯანდაცვის სექტორის წილი ეკონომიკის მთლიანი გამოშვებაში შემცირდა - 2018 წლის 3.8%-დან 2024 წლის 3.2%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში ჯანდაცვის სექტორი უფრო დაბალი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები.


2018 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს ჯანდაცვის სექტორი სტაბილურად, ხოლო შემდგომ დაჩქარებული ტემპით გაიზარდა - გამოშვების მაჩვენებელი გაიზარდა 2.7 მლრდ ლარიდან 2018 წელს, 4.6 მლრდ ლარამდე 2021 წელს. 2020 და 2021 წლების განმავლობაში ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო COVID19-ის პანდემიასთან, რამაც გამოიწვია სამედიცინო მომსახურებაზე, ჰოსპიტალიზაციასა და სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა. ჰოსპიტალიზაციის, ტესტირების და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაზრდილმა მოცულობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოშვების ზრდაში.

2022 წელს სექტორის გამოშვება შემცირდა და 4.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6%-იან კლებას წარმოადგენს. 2023 წელს დაფიქსირდა დამატებითი 5%-იანი შემცირება, რის შედეგადაც გამოშვება 4.1 მლრდ ლარამდე შემცირდა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების კლებით, ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის შემცირებითა და ჯანდაცვის მომსახურების გამოყენების ეტაპობრივი ნორმალიზებით. COVID-თან დაკავშირებული მასშტაბური სამკურნალო პროგრამების დასრულებამ და საგანგებო დაფინანსების შემცირებამ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ კლებაში.

მიუხედავად 2022 და 2023 წლებში დაფიქსირებული საერთო კლებისა, 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, ჯანდაცვის სექტორის გამოშვებამ 4.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 12%-ით მაღალია. აღნიშნული ზრდა მიუთითებს, რომ სექტორი პანდემიის შემდგომი დასტაბილურების ეტაპზე იმყოფება.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ხასიათდება ზომიერი კონცენტრაციით და მაღალი კონკურენციით ბაზრის მონაწილეებს შორის. ბაზრის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50%-ს ათი უმსხვილესი ჰოსპიტალი აგენერირებს, ხოლო დარჩენილი წილი ნაწილდება მცირე პროვაიდერებზე. აღნიშნული სტრუქტურა მიუთითებს როგორც დომინანტური კომპანიების არსებობაზე, ისე ბაზრის მცირე მონაწილეთა ფრაგმენტირებულ სეგმენტზე. მაღალი კონკურენციისა და ფრაგმენტაციის პირობებში, ასევე არსებული და მოსალოდნელი რეგულაციების ფონზე, ბაზრის კონსოლიდაციისათვის კეთილმოწყობილი გარემო იქმნება.

დიაგრამა 12. ჯანდაცვის სექტორის მთლიანი გამოშვება (მლრდ ლარი, მარცხნივ), მისი წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში (მარჯვნივ) და წლიური ზრდის მაჩვენებელი



სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის ინდუსტრიაში განხორციელდა არაერთი რეფორმა და ცვლილება. სახელმწიფომ ჯანდაცვის სექტორი პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა, შედეგად მნიშვნელოვნად გააქტიურდა კერძო ინვესტიციების მოზიდვა. რეფორმის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენდა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სექტორის ლიბერალიზაცია, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც რეფორმების მთავარ შედეგად ითვლება.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი ეფუძნება მოდელს, სადაც მომსახურებას უზრუნველყოფენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო პროვაიდერები. ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების მიმართულებით წამყვან პოზიციას იკავებს კერძო სექტორი - ჰოსპიტალებისა და კლინიკების უმეტესობას კერძო პროვაიდერები მართავენ. ამასთან, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჯანდაცვის სისტემის დაფინანსებაში, რაც ხორციელდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის და სხვადასხვა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. სექტორი ზომიერად კონცენტრირებულია - ბაზრის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 50%-ს ათი უმსხვილესი ჰოსპიტალი აგენერირებს, ხოლო დარჩენილი წილი ნაწილდება მცირე პროვაიდერებზე.

ჯანდაცვის ინდუსტრია ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად სექტორს წარმოადგენს. მოთხოვნისა და მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორების გავლენით, სექტორის საერთო მოცულობა ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. 2018–2024 წლებში ჯანდაცვის სექტორის საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 9.4% შეადგინა. ამავე პერიოდში ჯანდაცვის სექტორის წილი ეკონომიკის მთლიანი შემოსავალში შემცირდა - 2018 წლის 3.8%-დან 2024 წლის 3.2%-მდე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პერიოდში ჯანდაცვის სექტორი უფრო დაბალი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორები.

2018 წლიდან 2021 წლამდე საქართველოს ჯანდაცვის სექტორი სტაბილურად, ხოლო შემდგომ დაჩქარებული ტემპით გაიზარდა - მომშვეების მაჩვენებელი გაიზარდა 2.7 მლრდ ლარიდან 2018 წელს, 4.6 მლრდ ლარამდე 2021 წელს. 2020 და 2021 წლების განმავლობაში ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებული იყო COVID19-ის პანდემიასთან, რამაც გამოიწვია სამედიცინო მომსახურებაზე, ჰოსპიტალიზაციასა და სახელმწიფო ჯანდაცვის ხარჯებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა. ჰოსპიტალიზაციის, ტესტირების და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაზრდილმა მოცულობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მომშვეების ზრდაში.

2022 წელს სექტორის მომშვეება შემცირდა და 4.3 მლრდ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6%-იან კლებას წარმოადგენს. 2023 წელს დაფიქსირდა დამატებითი 5%-იანი შემცირება, რის შედეგადაც მომშვეება 4.1 მლრდ ლარამდე შემცირდა. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო პანდემიასთან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების კლებით, ჰოსპიტალიზაციის რაოდენობის შემცირებითა და ჯანდაცვის მომსახურების გამოყენების ეტაპობრივი ნორმალიზებით. COVID-თან დაკავშირებული მასშტაბური სამკურნალო პროგრამების დასრულებამ და საგანგებო დაფინანსების შემცირებამ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ კლებაში.


მიუხედავად 2022 და 2023 წლებში დაფიქსირებული საერთო კლებისა, 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, ჯანდაცვის სექტორის მომშვეებამ 4.7 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 12%-ით მაღალია. აღნიშნული ზრდა მიუთითებს, რომ სექტორი პანდემიის შემდგომი დასტაბილურების ეტაპზე იმყოფება



სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

ბოლო წლებში საქართველოს ჯანდაცვის სექტორი სტაბილურად ფართოვდება. სექტორის განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობა სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციამ და სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2013 წლიდან განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაზარდა და სექტორის ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად გააფართოვა. ამ პერიოდის განმავლობაში ჯანდაცვის სექტორის ეკონომიკური მასშტაბი საგრძნობლად გაიზარდა. 2022 წლის მდგომარეობით, სექტორის მთლიანი გამოშვება დაახლოებით 2.4 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც 2013 წლის მაჩვენებელზე დაახლოებით 2.6-ჯერ მეტია. აღნიშნული დინამიკა მიუთითებს სექტორის სწრაფ განვითარებაზე და საშუალოდ დაახლოებით 10%-იან წლიურ ზრდაზე. ამავე პერიოდში გაიზარდა ჯანდაცვის სექტორის მნიშვნელობა ეკონომიკაში.

დიაგრამა 13. ჯანდაცვის სექტორის მთლიანი გამოშვება, წილი მთლიან გამოშვებაში და წლიური ზრდა




2013 წელს სექტორის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში დაახლოებით 3.5%-ს შეადგენდა, 2022 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 4.0%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია ასახავს ჯანდაცვის სექტორის მზარდ როლს ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში და მომსახურების სექტორის გაძლიერებას. სექტორის განვითარების ტემპი ასევე აისახა ინვესტიციების ზრდაში.

2013–2021 წლებში ჯანდაცვის სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვანი მატება აჩვენა და 2021 წელს დაახლოებით 226 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 64%-ით მეტია. ინვესტიციების ზრდა ძირითადად დაკავშირებულია სამედიცინო ინფრასტრუქტურის განახლებასთან, ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესებასთან და მომსახურების ხარისხის სტანდარტების ამაღლებასთან.

საქართველოს ჯანდაცვის დაფინანსების სტრუქტურაში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს და სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯების საშუალოდ დაახლოებით 55%-ს მოიცავს. პროგრამის დაფინანსება ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა — თუ 2018 წელს იგი დაახლოებით 760 მილიონ ლარს შეადგენდა, 2023–2024 წლებში უკვე ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა. პანდემიის პერიოდში (2020–2021 წლებში) პროგრამის წილი დროებით შემცირდა, რადგან სახელმწიფო ფინანსური რესურსების ნაწილი პანდემიასთან დაკავშირებული საგანგებო ჯანდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა. ჯანდაცვის დაფინანსების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება გახდა დიაგნოზთან დაკავშირებული ჯგუფების (DRG) მოდელის დანერგვა, რომელიც 2022 წლის ნოემბრიდან ამოქმედდა და ჰოსპიტალური მომსახურების ანაზღაურებას დიაგნოზისა და ჩატარებული სამედიცინო პროცედურების მიხედვით განსაზღვრავს.

2023 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებამ 1.06 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯების 62.1%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს დაფინანსება 1.04 მილიარდ ლარზე შენარჩუნდა (დაახლოებით 51%). არსებული გეგმების მიხედვით, 2025 წელს პროგრამის ბიუჯეტი დამატებით დაახლოებით 18%-ით გაიზრდება.


დიაგრამა 14. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაზე სახელმწიფოს დანახარჯები (მლრდ ლარი)



დიაგრამა 13 - წყარო: თიბისი კაპიტალი
დიაგრამა 14 - წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

დიაგრამა 15. სახელმწიფო ჯანდაცვის დანახარჯების დინამიკა (მლნ ლარი)



- ქვეყნის ჯანდაცვის დანახარჯების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ 4.0%-მდე გაიზარდა.
- საქართველოს მთავრობის ჯანდაცვაზე დანახარჯი 2025 წელს მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 13%-ს შეადგენს.
- 2018-2024 წლებში ჯანდაცვის დანახარჯების საშუალო წლიური კომპაუნდირებული ზრდის მაჩვენებელი (CAGR) დაახლოებით 8%-ს შეადგენდა.

გასული ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაცია განიცადა, რაც მოიცავდა მასშტაბურ პრივატიზაციას, ინფრასტრუქტურის განახლებას, სექტორის ლიბერალიზაციას და 2013 წლიდან უნივერსალური ჯანდაცვის პროგრამის (UHC) დანერგვას, რომელმაც მოსახლეობის ფართო ფენებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა გაზარდა.


ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები მშპ-ს დაახლოებით 8%-ს შეადგენს, რაც განვითარებული ქვეყნების დონესთან შესაბამისია და ადემატება ბევრ ანალოგიურ განვითარებად ეკონომიკას, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე დანახარჯი კვლავ დაბალია (დაახლოებით 300 აშშ დოლარი), რაც სექტორში ზრდის მნიშვნელოვან პოტენციალს მიუთითებს.

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

2018–2023 წლებში საქართველოში ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები გარკვეულწილად არასტაბილურობით ხასიათდებოდა, თუმცა მთლიანობაში ზრდის ტენდენციას ინარჩუნებდა. აღნიშნული დინამიკა დიდწილად დაკავშირებული იყო COVID-19 პანდემიის გავლენასთან და სახელმწიფო და კერძო დანახარჯების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან. 2022 წელს, პანდემიის გავლენის ეტაპობრივ შემცირებასთან ერთად, COVID-19-თან დაკავშირებული დანახარჯებიც შემცირდა, რის შედეგადაც ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯები წინა წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა. 2023 წელს ეს ტენდენცია გაგრძელდა და ჯანდაცვაზე დანახარჯები დამატებით 12%-ით შემცირდა, შედეგად კი მთლიანმა მოცულობამ 3.4 მილიარდი ლარი შეადგინა. აღნიშნული ცვლილება ასახავდა პანდემიის პერიოდში გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსების ეტაპობრივ შემცირებას და ჯანდაცვის მოხმარების ნორმალიზებას. მიუხედავად ამ კორექტირებისა, 2023 წლის ჯანდაცვაზე დანახარჯები კვლავ 15%-ით აღემატებოდა პანდემიამდელ, 2019 წლის მაჩვენებელს.

ჯანდაცვის სისტემაში დანახარჯების სტრუქტურა სამი ძირითადი წყაროსგან შედგება: მოსახლეობის ჯიბიდან გაღებული გადახდები (40%), სახელმწიფო დანახარჯები (50%) და კერძო დაზღვევის ხარჯები (9%), 2023 წლის მონაცემებით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაფართოებასთან ერთად, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდების წილი თანდათან შემცირდა — 2018 წლის 53%-დან 2023 წელს 40%-მდე. იმავე პერიოდში კერძო ჯანმრთელობის დაზღვევის წილი მთლიან ჯანდაცვის დანახარჯებში გაიზარდა 6%-დან 9%-მდე, ხოლო სახელმწიფოს წილი 40%-დან 50%-მდე გაიზარდა, რაც სახელმწიფო დაფინანსების გაძლიერებულ როლზე მიუთითებს ჯანდაცვის სექტორში.

დიაგრამა 15. ჯანდაცვაზე დანახარჯები წყაროების მიხედვით, მლრდ. ლარი



2023 წელს ჯანდაცვაზე მოსახლეობის ჯიბიდან გაღებული დანახარჯების წილმა ჯანდაცვის საერთო ხარჯების 40% შეადგინა, რაც ევროპისა და ცენტრალური აზიის 49 ქვეყნიდან სიდიდით მეათე მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (21%) და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნების 101 საშუალო მაჩვენებელს (14%), რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მოსახლეობაზე შედარებით უფრო დიდი ფინანსური ტვირთი მოდის ჯანდაცვის ხარჯების დაფარვისას.

2023 წლისთვის მოსახლეობის პირდაპირი გადახდების აბსოლუტური მაჩვენებელი ხელმისაწვდომი არ არის და იგი შეფასებულია მისი წილის მიხედვით.


გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჯანდაცვაზე დანახარჯები წყაროების მიხედვით ასახავს შემდეგი წყაროების დანახარჯებს: სახელმწიფო, მოსახლეობის ჯიბიდან გადახდები და კერძო დაზღვევის დანახარჯები. ეს დანახარჯები არ მოიცავს დონორი ორგანიზაციების დახმარებებს და შესაძლოა, მოიცავდეს როგორც ჯანდაცვის სერვისებზე გაწეულ დანახარჯებს, ასევე, მედიკამენტებისა და სხვადასხვა აღჭურვილობაზე გაწეულ ხარჯებს.

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

საქართველოს ჯანდაცვის ბაზარი წარმოდგენილია მრავალფეროვანი სტრუქტურით, სადაც ერთდროულად შეინიშნება როგორც ბაზრის კონცენტრაციის, ისე ფრაგმენტაციის ელემენტები. სექტორში მოქმედებს რამდენიმე მსხვილი ჰოსპიტალური ქსელი, რომლებიც ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს აკონტროლებენ, ხოლო დანარჩენი ნაწილი შედგება მრავალი მცირე და საშუალო ზომის სამედიცინო დაწესებულებისგან. შედეგად ყალიბდება ისეთი გარემო, სადაც მასშტაბური ორგანიზაციები და შედარებით მცირე ოპერატორები პარალელურად ფუნქციონირებენ. ბაზარზე კონკურენციის მაღალი დონე, მომსახურების ხარისხის მიმართ მზარდი მოთხოვნები და რეგულაციური ჩარჩოს უტაპობრივი გამკაცრება სექტორის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

სრულიად ახალი და განახლებული რეგულაციები სამედიცინო ინფრასტრუქტურის, კლინიკური პროცესებისა და ოპერაციული მართვის უფრო მაღალ სტანდარტებს ადგენს, რაც ორგანიზაციებს დამატებითი ინვესტიციებისა და ეფექტიანი მართვის საჭიროებას უჩენს. ამ პირობებში სექტორში თანდათან ყალიბდება ბაზრის კონსოლიდაციის წინაპირობა. მასშტაბის ეკონომია, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ოპერაციული ეფექტიანობა კონკურენტულ უპირატესობად იქცევა. შესაბამისად, უფრო დიდი და ინტეგრირებული სამედიცინო ქსელები უკეთ არიან პოზიციონირებული ბაზრის ცვლილებებთან ადაპტაციისა და გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობების გამოყენებისთვის.

დიაგრამა 16. ჯანდაცვის ბაზრის განაწილება შემოსავლის მიხედვით



ფინანსური მაჩვენებლების თვალსაზრისით, საქართველოს ჯანდაცვის სექტორმა ბოლო წლებში ზრდის დინამიკა აჩვენა. სექტორის მთლიანი შემოსავალი 2018 წლის დაახლოებით 0.8 მილიარდი ლარიდან 2022 წელს 1.5 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, რაც ბაზრის გაფართოებასა და მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდას ასახავს. 2020 წელს COVID-19-ის პანდემიამ კლინიკების ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. გაზრდილი საოპერაციო ხარჯებისა და სექტორისთვის შექმნილი გაურკვევლობის ფონზე მოგების მარჟა 4%-მდე შემცირდა. 2021 წელს მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. პანდემიის მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო დაფინანსების ზრდამ და ლარის გამყარებით მიღებულმა არასაოპერაციო ფინანსურმა შემოსავლებმა სექტორის მომგებიანობაზე დადებითი გავლენა მოახდინა.


შედეგად, EBITDA მარჟამ 25%-ს მიაღწია, ხოლო წმინდა მოგების მარჟამ — 17%-ს. 2022 წელს სექტორის ფინანსური შედეგები შედარებით სტაბილურ ფაზაში გადავიდა. წმინდა მოგების მარჟა 8%-ზე დაფიქსირდა, ხოლო EBITDA მარჟა 15%-ს შეადგენდა, რაც პანდემიის პერიოდის პიკურ მაჩვენებლებთან შედარებით უფრო ნორმალურ დონეს ასახავს. 2023 წელს სექტორის მომგებიანობა შემცირდა. წმინდა მოგების მარჟა 0.2%-მდე დაეცა, რაც 2022 წლის 8%-თან შედარებით მნიშვნელოვანი კლებაა. EBITDA მარჟამ 12% შეადგინა, რაც ასევე ნაკლებია 2022 წლის 15%-სა და 2021 წლის 25%-თან შედარებით.

აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება პოსტპანდემიურ კორექტირებას, ასევე საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების ზრდას, რომელიც განპირობებულია აკრედიტაციასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო აღჭურვილობის გაუმჯობესებაში განხორციელებული ინვესტიციებით.

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული მომსახურების მოცულობა. 2023 წელს ექიმთან მიმართების რიცხვი მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 4.1-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც 2018 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3.3 იყო. ვიზიტების ზრდა მნიშვნელოვანწილად უკავშირდება კომპლექსური ჯანდაცვის პროგრამების განვითარებასა და ჯანდაცვის მომსახურებაზე გაზრდილ მოთხოვნას.

დიაგრამა 17 ექიმთან მიმართების რიცხვი ერთ სულ მოსახლეზე



ჯანდაცვის მომსახურების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ინფლაციის გავლენასა და ჯანდაცვის დანახარჯების ზრდას ასახავს - სავარაუდოდ, პანდემიით გამოწვეული პროცესების შედეგად. ამ ზრდის შემდეგ, 2023 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2022 წელთან შედარებით 6.5%-ით შემცირდა, ხოლო 2024 წელს 2023 წელთან შედარებით მცირედით – 1%-ით გაიზარდა, რაც შედარებით სტაბილიზაციაზე ან კორექციაზე მიუთითებს წინა წლების ფასების მკვეთრი ზრდის შემდეგ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018-2024 წლებში მოსახლეობის შემოსავლის ზრდამ ჯანდაცვის მომსახურების ფასების ზრდას გადაასწრო, რაც ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მიანიშნებს.

დიაგრამა 18. საშუალო თვიური შემოსავალი



შემოსავალი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას. როგორც წესი, მაღალი შემოსავლის მქონე პირებს უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვთ ჯანდაცვის ხარჯების დასაფარად, მათ შორის სადაზღვევო პრემიების, ჯიბიდან გაღებული დანახარჯებისა და მკურნალობისთვის. ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობის შემოსავლები ზრდის ტენდენციას აჩვენებს.

2024 წელს საშუალო შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 562 ლარს შეადგენდა, რაც 2023 წელთან შედარებით 16%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით კი თითქმის ორჯერ მეტია. ამავე დროს, 2024 წელს საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე 2023 წელთან შედარებით 13%-ით, ხოლო 2018 წელთან შედარებით 80%-ით გაიზარდა.

გარდა იმისა, რომ შემოსავლის მიმდებარა რაოდენობა გაიზარდა, ასევე შეინიშნება მნიშვნელოვანი გადაადგილება უფრო მაღალი სახელფასო სეგმენტებისკენ, რაც მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ზრდაზე მიუთითებს.

სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა


7 მრავალპროფილური ჰოსპიტალი, 27 რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტალი, 16 პოლიკლინიკა და თანამედროვე დიაგნოსტიკური ინფრასტრუქტურა ქმნის ეროვნულ მასშტაბზე მოქმედ, ვერტიკალურად ინტეგრირებულ ქსელს, რომელიც უზრუნველყოფს სტაციონარულ, ამბულატორიულ და რეფერალურ მომსახურებას.

საქართველოს ჯანდაცვის აგვის ინარჩუნებს წამყვან, სისტემურად მნიშვნელოვან პოზიციას. აგვის ემსახურება დაახლოებით c.775,000 რეგისტრირებულ პაციენტს და ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 75%-ს ფარავს გეოგრაფიული წვდომის თვალსაზრისით.


საქართველოში მოქმედი 16,062 საწოლიდან აგვის ქსელში გაერთიანებულია 2,462 საწოლი, რაც ქვეყნის საერთო საწოლფონდის დაახლოებით 15%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც მომდევნო უმსხვილესი კონკურენტის ბაზრის წილი მხოლოდ 5%-ია. საქართველოს ჯანდაცვის აგვის საწოლფონდი წარმოადგენს ყველაზე მაღალ კონსოლიდირებულ წილს კერძო სექტორში.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესი რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობით ბაზრის დაახლოებით 25%-ს (13% პოლიკლინიკების ბიზნესი, 12% რეგიონული და საზოგადოებრივი კლინიკები) აკონტროლებს და ლიდერ პოზიციას ინარჩუნებს.

დიაგრამა 19.. ჰოსპიტლების ბაზრის წილი
(ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობა)



დიაგრამა 20. კლინიკების ბაზრის წილი
(რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა)




სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა


COVID-19-ის პანდემიის პერიოდში, 2020–2021 წლებში, საქართველოში ჰოსპიტალური საწოლფონდის რაოდენობა გაიზარდა, რაც ჯანდაცვის სისტემის მხრიდან გაზრდილ მოთხოვნაზე რეაგირებასა და სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაფართოებას უკავშირდებოდა. თუმცა პანდემიის გავლენის შესუსტებასთან ერთად, 2022 და 2023 წლებში საწოლების რაოდენობა შემცირდა, რაც დამატებითი ჰოსპიტალური რესურსების საჭიროების შემცირებით იყო განპირობებული. 2023 წლისთვის საწოლფონდის მოცულობა უკვე ნაკლები იყო იმ დონესთან შედარებით, რაც პანდემიამდე, 2018 და 2019 წლებში დაფიქსირდა. აღნიშნული ცვლილება ნაწილობრივ აიხსნება საწოლების შედარებით დაბალი დატვირთვით, ასევე რეგულაციებით, რომლებიც ჰოსპიტლებში საწოლებს შორის სავალდებულო სივრცის დაცვას ითვალისწინებს. პანდემიის პერიოდში გაიზარდა ჰოსპიტალური რესურსების გამოყენების ინტენსივობაც. 2020 და 2021 წლებში პაციენტთა დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობამ შესაბამისად 5.6 და 6.2 დღე შეადგინა. ეს ზრდა ძირითადად უკავშირდებოდა COVID-19-ის შემთხვევათა მატებას, რომელმაც გამოიწვია ჰოსპიტალიზაციის ზრდა და პაციენტების უფრო ხანგრძლივი მკურნალობა სტაციონარში, დაავადების სიმძიმისა და გართულებების მართვის საჭიროების გამო. პანდემიის გავლენის შემცირებასთან ერთად, COVID-19-თან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციაც შემცირდა, რის შედეგადაც პაციენტთა საშუალო დაყოვნების ხანგრძლივობა 2022 წელს 5.1 დღემდე შემცირდა. 2023 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა და 5.3 დღე შეადგინა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ჰოსპიტალური მომსახურების მოთხოვნის თანდათანობით დაბრუნებას პანდემიამდელ დონესთან. ამ დინამიკაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორცაა მოსახლეობის დაბერება, ქრონიკული დაავადებების გავრცელება და ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში საწოლთა დატვირთულობის მაჩვენებელი 56.1%-ია, რაც ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი საავადმყოფოს საწოლფონდის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტი გამოიყენება. საქართველოს საწოლების დატვირთვის მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით დაბალია და მხოლოდ აზერბაიჯანის მაჩვენებელს აღემატება, რაც შესაძლოა მიუთითებდეს რესურსების გამოყენების არაეფექტიანობასა და რეგიონულ უთანასწორობაზე პაციენტების გადანაწილების კუთხით. ამ მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პოტენციალი, რაც დადებით გავლენას მოახდენდა ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე.

დიაგრამა 21. პაციენტის საავადმყოფოში დაყოვნების ხანგრძლივობა



დიაგრამა 22. პაციენტის საავადმყოფოში დაყოვნების ხანგრძლივობა ქვეყნების მაგალითზე



სექტორისა და ბაზრის მიმოხილვა

GHG-ის წამყვანი პოზიცია უკავია საქართველოს ჯანდაცვის ბაზარზე, რომელიც საკმაოდ ფრაგმენტირებულია. ჯგუფს საწოლების რაოდენობით 14%-იანი ბაზრის წილი აქვს, ხოლო მისი გაყიდვების წილი საყოველთაო ჯანდაცვაში 21%-ს უტოლდება 2024 წლის მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, ბაზრის ლიმიტირებული ზომა ზღუდავს GHG-ის გაფართოების შესაძლებლობას. თუმცა, მეორე მხრივ, მიმდინარე გაფართოების/მოდერნიზაციის პროგრამის შედეგად სამომავლოდ მოსალოდნელია ჯგუფის საწოლების უტილიზაციის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც აისახება ბაზრის წილის ზრდაშიც.

იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი მხოლოდ ერთ ქვეყანასა და ერთ ინდუსტრიაზეა ფოკუსირებული, იგი მულტინაციონალურ კონკურენტებთან შედარებით ბევრად ნაკლებად დივერსიფიცირებულია. სამომავლოდ ამის გაუმჯობესება შესაძლებელია სამედიცინო ტურიზმის განვითარებითა და მოსაზღვრე ქვეყნების პაციენტების მოზიდვით, ისევე როგორც დიაგნოსტიკურ ბიზნესის განვითარებით. ჯგუფის ჰოსპიტლები, კლინიკები და დიაგნოსტიკის ცენტრი ვერტიკალურად ინტეგრირებული მოდელით ხასიათდება და მომხმარებლებს მრავალფეროვან სამედიცინო სერვისებს სთავაზობს. სწორედ მრავალფეროვანი სერვისების გამო მას ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით დივერსიფიცირების უპირატესობა აქვს. მიმდინარე მდგომარეობით GHG საგრძნობლად არის დამოკიდებული სახელმწიფოზე, კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან მიღებული ამონაგები ჯგუფის ჯამური შემოსავლების 54%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, ეს განაპირობებს ძლიერ მოკლევადიან საკრედიტო მხარდაჭერას მთავრობის მხრიდან გადახდების სტაბილური ისტორიიდან გამომდინარე, ის ასევე კომპანიას აყენებს პოლიტიკური რისკის წინაშე, კერძოდ, პოტენციური ადგილობრივი ეკონომიკური და მარეგულირებელი ცვლილებები დიდ გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე. ამის საპასუხოდ მენეჯმენტი ცდილობს გაზარდოს კერძო გადახდელებისგან მიღებული შემოსავლების წილი ჯამურ შემოსავლებში, რაც დააჩქარებს ფულადი ნაკადების შემოდინებას და შეამცირებს დამოკიდებულებას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე, სადაც სახელმწიფოს დიდი ლევერიჯი აქვს ფასისა და გადახდის პირობების ნაწილში.

საქართველოს ჯანდაცვის სექტორი კვლავ მარეგულირებელი ზედამხედველობის ქვეშ რჩება, განსაკუთრებით UHC პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებადი მომსახურების შემთხვევაში, სადაც ფასებს სახელმწიფო ადგენს. მეორე მხრივ, ისეთი პროვაიდერები, როგორცაა GHG, კვლავ სარგებლობენ შედარებით მოქნილი ოპერაციული გარემოთი. UHC ჩარჩოს გარეთ GHG-ს უფრო მეტი თავისუფლება აქვს დაადგინოს ტარიფები კერძო დაფინანსებით და კერძო პირების მიერ გადახდილი მომსახურებისთვის, რაც აძლიერებს მის შესაძლებლობას, გააუმჯობესოს მოგება. მომგებიანობის შემდგომ ზრდას ხელს უწყობს კომპანიის შიდა ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც ამარტივებს სამედიცინო მომსახურებაზე წვდომას, ამცირებს ლოდინის დროს და ოპტიმიზაციას უკეთებს შიდა სამუშაო პროცესებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინვესტიციებმა მოკლევადიან პერსპექტივაში გაზარდა კაპიტალური ხარჯები, მოსალოდნელია, რომ ისინი გააუმჯობესებენ ოპერაციულ ეფექტურობას და პაციენტების გამტარუნარიანობას.



საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნძი

ვინ ვართ ჩვენ



ვინ ვართ ჩვენ

წლების მანძილზე საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი მნიშვნელოვნად გაიზარდა და ჩამოყალიბდა ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან ჯანდაცვის პროვაიდერად, რაც დიდწილად განპირობებულია ცენტრალიზებული მართვის მოდელის დანერგვითა და ოპერაციული ეფექტიანობის ზრდით. კომპანია საქართველოში ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელმაც რეგიონული კლასტერული მოდელი და რეფერალური იერარქიის სისტემა დანერგა, რაც სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების ერთიანი მართვის ფარგლებში ეფექტიან კოორდინაციას უზრუნველყოფს. დღეს „ჯგუფი“ ოპერირებს ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურით საქართველოს სწრაფად მზარდ, ძირითადად კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ჯანდაცვის ბაზარზე და პაციენტებს სთავაზობს სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას: დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები, რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები, ამბულატორიული კლინიკების ქსელი („ევექსი“) და დიაგნოსტიკური მომსახურება („მეგა ლაბორატორია“). ჯგუფის ოპერაციული მოდელი ეფუძნება რეგიონულ კლასტერულ სტრუქტურასა და რეფერალურ იერარქიას, რაც უზრუნველყოფს პაციენტების ეფექტიან გადამისამართებას პირველადი მომსახურებიდან სპეციალიზებულ ჰოსპიტლებამდე. ამ პროცესს დამატებით მხარს უჭერს სპეციალიზებული სასწრაფო დახმარების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფს პაციენტების დროულ და კოორდინირებულ ტრანსპორტირებას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, საქართველოს მასშტაბით მაღალხარისხიან და პაციენტზე ორიენტირებულ სამედიცინო მომსახურებას. ჯგუფი სისტემურად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაძლიერებაში. ასეთი მასშტაბი გვაძლევს შესაძლებლობას, ერთდროულად უზრუნველვყოთ როგორც ფართო გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ისე მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა.

ჩვენი საქმიანობა მხოლოდ სამედიცინო სერვისების მიწოდებით არ შემოიფარგლება. ჩვენი მისიაა საქართველოში ჯანდაცვის კულტურის ტრანსფორმაცია — მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და პრევენციული მედიცინის წახალისება პაციენტის სოციალური თუ ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად. როგორც პედაგოგიური ონკოლოგიური სერვისების ერთადერთი მიმწოდებელი ქვეყანაში და სახელმწიფო პროგრამების აქტიური პარტნიორი, ჯგუფი უშუალო გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გრძელვადიან გაუმჯობესებაზე.

მდგრადობა ჩვენი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. ჯგუფი ოპერირებს საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების სრული დაცვით და მუდმივად ახორციელებს ინვესტიციებს სამედიცინო განათლებაში, ციფრულ ტრანსფორმაციაში და კლინიკური ხარისხის გაუმჯობესებაში.

სოციალური ობლიგაციის ჩარჩოს დანერგვით, რომელიც შეესაბამება ICMA-ის სოციალური ობლიგაციების პრინციპებს, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას პასუხისმგებლიანი დაფინანსებისა და გაზომვადი სოციალური გავლენის მიმართ.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის საქმიანობა ეფუძნება ფინანსური მდგრადობის, სოციალური პასუხისმგებლობისა და გარემოზე ზრუნვის ინტეგრირებულ მიდგომას. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციით, ოპერაციული ეფექტიანობის ზრდითა და გარემოზე ზემოქმედების შემცირებით, ვქმნით გრძელვადიან ღირებულებას პაციენტებისთვის, თანამშრომლებისთვის, პარტნიორებისთვის და ქვეყნისთვის. როგორც წამყვანი ჯანდაცვის პლატფორმა, ჩვენ ვაგრძელებთ მდგრადი, ინოვაციური და ინკლუზიური ჯანდაცვის სისტემის განვითარებას, რომელიც ხელს უწყობს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას როგორც დღევანდელობაში, ისე მომავალი თაობებისთვის.

„GHG“ მუდმივად ორიენტირებულია საერთაშორისო ხარისხის სტანდარტებისა და აკრედიტაციების მიღებაზე, რაც მიზნად ისახავს ჯგუფის ყველა ბიზნეს მიმართულებაში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაციას. აღნიშნული მიდგომა ასახავს კომპანიის სტრატეგიულ ფოკუსს კლინიკური ხარისხის გაუმჯობესებასა და პაციენტზე ორიენტირებული მომსახურების განვითარებაზე. 2024 წლის ივლისში „კავკასიის მედიცინის ცენტრმა“ მოიპოვა „Joint Commission International“ (JCI)-ის აკრედიტაცია და გახდა პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი საქართველოში, რომელსაც აღნიშნული საერთაშორისო აღიარება მიენიჭა. „მეგალაბმა“ 2022 წლის ივლისში მიიღო „JCI“-ის აკრედიტაცია და გახდა სამხრეთ კავკასიაში პირველი სამედიცინო ლაბორატორია, რომელმაც აღნიშნული საერთაშორისო ხარისხის სტანდარტის შესაბამისობა დაადასტურა.


ვინ ვართ ჩვენ

2023 წლის აგვისტოში იაშვილის საავადმყოფომ მოიპოვა „American Accreditation Commission International“ (AACI)-ის აკრედიტაცია და გახდა რეგიონში პირველი პედიატრიული ცენტრი საერთაშორისო ხარისხის სერტიფიცირებით. ამასთანავე, ჯგუფის ქსელში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებები ასევე აკმაყოფილებენ საერთაშორისო ხარისხის მართვის სხვადასხვა სტანდარტს. „საქართველოს კლინიკების“ ქსელის ყველა 27 დაწესებულება სერტიფიცირებულია „KTQ“-ს სტანდარტის შესაბამისად, რაც ხაზს უსვამს პაციენტზე ორიენტირებულ მიდგომასა და მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას. „ევექსის“ პოლიკლინიკების ქსელი სრულად შეესაბამება ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტს და სერტიფიცირებულია „TÜV AUSTRIA“-ს მიერ.

„ჯგუფის“ შემოსავლების სტრუქტურა დივერსიფიცირებულია და მოიცავს სამ ძირითად წყაროს: მოსახლეობის პირდაპირ გადახდებს, სახელმწიფო პროგრამებიდან მიღებულ დაფინანსებას და კერძო სადაზღვევო კომპანიების გადახდებს. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ინდივიდუალური კლიენტი ან სადაზღვევო კომპანია დამოუკიდებლად არ წარმოადგენს ჯგუფის შემოსავლის 10%-ზე მეტს, რაც მიუთითებს შემოსავლების ბაზის ფართო დივერსიფიკაციასა და კონცენტრაციის დაბალ დონეზე.



ვინ ვართ ჩვენ



ვინ ვართ ჩვენ

ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1990	<ul style="list-style-type: none"> დაარსდა როგორც „ალდაგი“ - დამოუკიდებელი სადაზღვევო კომპანია
2006	<ul style="list-style-type: none"> თბილისში პირველი ამბულატორიული კლინიკის გახსნა
2008-2011	<ul style="list-style-type: none"> ჯამში შექმნილ იქნა 13 ჰოსპიტალი, მათ შორის 11 დასავლეთ საქართველოში.
2013	<ul style="list-style-type: none"> გაიხსნა 4 ახალი ჰოსპიტალი და ერთი ამბულატორიული კლინიკა; 60 საწოლიანი სპეციალიზებული კლინიკის - „კარაპს მედლაინის“ შექმნა.
2014	<ul style="list-style-type: none"> საქართველოში სიდიდით მეორე ჯანდაცვის მომსახურების პროვაიდერის – „Avante Hospital Management Group“-ის – შექმნა. „Sunstone Medical LLC“-ის შექმნა და თბილისის რეფერალური ჰოსპიტლის (332 საწოლი) განახლება. 60 საწოლიანი რეფერალური ჰოსპიტლის - ტრავმატოლოგიის ცენტრის - შექმნა თბილისში.
2015	გამოცხადდა „მევა ლაბორატორიის“ მშენებლობის დასრულება – კავკასიის რეგიონში ყველაზე დიდი დიაგნოსტიკური ლაბორატორია.
2015-2016	<ul style="list-style-type: none"> გაიხსნა 5 ახალი ამბულატორიული კლასტერი და დაემატა 2 ამბულატორიული კლინიკა.
2017	<ul style="list-style-type: none"> „Sunstone“-ის რეფერალური ჰოსპიტლის რეკონსტრუქციის დასრულება. ხაშურისა და ქარელის საზოგადოებრივი ჰოსპიტლების შექმნა. „ატირანის“, ნატურალური კოსმეტიკური ბრენდის, შექმნა. სამი ახალი პოლიკლინიკის გახსნა
2019	<ul style="list-style-type: none"> სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“ რეორგანიზდა „ევექს ჰოსპიტლებად“ და „ევექს კლინიკებად“.
2020	<ul style="list-style-type: none"> ციფრული ჯანდაცვის სერვისები გაძლიერდა EKIMO აპლიკაციის დანერგვით.
2023	<ul style="list-style-type: none"> განხორციელდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები: შეიქმნა „Vian“ ბრენდი 7 მსხვილი და სპეციალიზებული ჰოსპიტლისთვის; რეგიონული ჰოსპიტლები და საზოგადოებრივი კლინიკები გაერთიანდა „Georgia Clinics“-ში; 18 პოლიკლინიკა და „Mega Lab“ გაერთიანდა პოლიკლინიკებისა და დიაგნოსტიკის სეგმენტში.
2024	<ul style="list-style-type: none"> კომპანიას დაქვემდებარებულმა ყველა შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებამ წარმატებით დააკმაყოფილა სავალდებულო რეგულაციები და მიიღო საერთაშორისო აკრედიტაციები. აღსანიშნავია, რომ ერთმა დაწესებულებამ (CMC) მიიღო პრესტიჟული JCI აკრედიტაცია.

ვინ ვართ ჩვენ

გეოგრაფიული დაფარვა რეგიონების მიხედვით



დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები



რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები



პოლიკლინიკები



მეგა ლაბორატორია

75%

მოსახლეობის
დაფარვა

7

დიდი და
სპეციალიზებული
ჰოსპიტალი

27

რეგიონული და
საზოგადოებრივი
ჰოსპიტალი

16

პოლიკლინიკა

1

მეგა ლაბორატორია



საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნვა




ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები



ფინანსური მაჩვენებლები

2025 წელი კომპანიისთვის ძლიერი შედეგებით გამოირჩეოდა. ამბულატორიული მიმართულება მნიშვნელოვნად გაიზარდა (შემოსავალი +23%, წილი 43.3%), ხოლო ახალი სამედიცინო სერვისების დანერგვამ ხელი შეუწყო ორნიშნა შემოსავლების ზრდას. EBITDA მარჯამ მიაღწია 19.5%-ს, ხოლო წლიურმა EBITDA-მ გადააჭარბა 93 მლნ ლარს (+35%).

ჯამში, კომპანიამ გააუმჯობესა ფინანსური მაჩვენებლები და შეამცირა ვალი (Net debt/EBITDA 4.4x-დან 3.7x-მდე), პარალელურად აგრძელებს ინვესტირებას მედიცინასა და კადრებში.



¹ შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) ჯგუფისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც ჯგუფის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი

საოპერაციო მაჩვენებლები



ქვეყნის უმსხვილესი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელი საწოლების რაოდენობითა და რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობით

34

ჰოსპიტალი

16

პოლიკლინიკა

1

ლაბორატორია

2,257

საწოლი

4,461

ექიმი

c.775,536

რეგისტრირებული პაციენტი

c.2,732,000

მეგალაბში ჩატარებული
კვლევების რაოდენობა

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი არის ბაზრის ლიდერი, რომელიც სთავაზობს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებების ყველაზე სრულყოფილ სპექტრს და ემსახურება მთელი ქვეყნის მოსახლეობას



საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნვა

ჩვენი ბიზნეს მოდელი




ჩვენი ბიზნეს მოდელი

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიაში შემავალი ბიზნეს მიმართულებებისა და მათი შესაბამისი მომსახურებების მიმოხილვა.

ბიზნეს მიმართულება	მოკლე აღწერა
დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები	<p>ჰოსპიტლების ბიზნესი წარმოადგენს მრავალფეროვანი სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებელს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ონკოლოგია • პედიატრიული ონკოლოგია • ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია • სქესის შეცვლის ოპერაცია ექსტრაკორპორალური განაყოფიერება (სუროგაცია), და სხვა.
რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები	<ul style="list-style-type: none"> • ნეიროქირურგია – თავის ტვინისა და ხერხემლის ოპერაციები, მათ შორის ტრავმებისა და სიმსივნეების მკურნალობა • ენდოსკოპიური დიაგნოსტიკა • კომპიუტერული ტომოგრაფია (კტ) – 160 შრიანი კტ მაღალი სიზუსტის დიაგნოსტიკისთვის ქირურგია და ინტენსიური თერაპია და სხვ.
კლინიკები	<p>საქართველოში ყველაზე დიდი პოლიკლინიკების ქსელი, რომელიც მოიცავს 16 სამედიცინო დაწესებულებას და მომხმარებლებს სთავაზობს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ამბულატორიულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას • სპეციალიზებულ მომსახურებას ტრანსპლანტოლოგიის, ჰემატოლოგიის, რადიოლოგიის, ოფთალმოლოგიისა და 38- ზე მეტი სამედიცინო მიმართულების ფარგლებში
დიაგნოსტიკა	<p>მომხმარებლებს სთავაზობს როგორც საბაზისო, ისე გაფართოებულ ანალიზებს ონკოლოგიასა და მოლეკულურ დიაგნოსტიკაში - მომსახურებებს, რომლებიც მანამდე საქართველოში ხელმისაწვდომი არ იყო. ფუნქციონირებს როგორც ლაბორატორიული ჰიპერმარკეტი, რომელიც იყენებს მაღალი გამტარუნარიანობის ავტომატიზებულ სისტემებს.</p>


შემოსავლის სტრუქტურა, 2025



ჩვენი ბიზნეს მოდელი

ჩვენ ვმოქმედებთ პაციენტების მოზიდვაზე ორიენტირებული, მაღალი ინტეგრაციის მქონე ბიზნესმოდელით. ჰოსპიტლები და პოლიკლინიკები ორგანიზებულია კონკრეტულ გეოგრაფიულ კლასტერებში, რათა მომსახურება მიეწოდოს პაციენტების მაქსიმალურად ფართო სპექტრს შემდეგი სტრუქტურის ფარგლებში:

- **სპეციალიზებული საავადმყოფო:** მომხმარებელს სთავაზობს კომპლექსური და სპეციალური სერვისების ფართო სპექტრს, სტაციონარულ და ამბულატორიულ სერვისებს.
- **რეგიონული საავადმყოფო:** მომხმარებელს სთავაზობს გაფართოვებულ ამბულატორიულ სერვისებს, ასევე რიგ მულტიპროფილურ სტაციონარულ სერვისებს.
- **პოლიკლინიკა:** მომხმარებელს სთავაზობს მხოლოდ ამბულატორიულ სერვისებს.
- **დიაგნოსტიკური ცენტრი:** მომხმარებელს სთავაზობს როგორც საბაზისო ლაბორატორიულ ტესტებს, ასევე ონკოლოგიურ და მოლეკულურ კვლევებს მაღალი სიმძლავრის ავტომატიზებული სისტემების დახმარებით.



დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები

- **კავკასიის მედიცინის ცენტრი** - კავკასიის მედიცინის ცენტრი („CMC“) არის საქართველოში პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი, რომელსაც მინიჭებული აქვს „JCI“-ის აკრედიტაცია - ჯანდაცვის სფეროში პაციენტზე ორიენტირებული ზრუნვის ოქროს სტანდარტი. როგორც წამყვანი სამედიცინო დაწესებულება, CMC სთავაზობს მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მომსახურებებს, მათ შორის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციას, რქოვანის გადანერგვას, კარდიოლოგიასა და გულსისხლძარღვთა ქირურგიას, ნევროლოგიასა და თერაპიას, ზოგად ქირურგიას, თორაკალურ ქირურგიას, გინეკოლოგიურ ჩარევებს, ონკოპემატოლოგიასა და ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ ოპერაციებს.
- **კარაპს მედლაინი (დიღმის ფილიალი)** - კარაპს მედლაინის დიღმის ფილიალი არის თანამედროვე, მაღალი სტანდარტების მრავალპროფილური კლინიკა. საწყის ეტაპზე, კლინიკის მთავარ მიმართულებას პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია წარმოადგენდა, დღეისათვის სთავაზობს სრულყოფილ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებებს. მათ შორისაა ინ ვიტრო განაყოფიერება, გინეკოლოგია, საოფისე გინეკოლოგია, ზოგადი ქირურგია, მამოლოგია და ორთოპედი-ტრავმატოლოგია. ჰოლისტურ და პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით სამედიცინო ცენტრი თითოეულ შემთხვევას კონსილიუმის მეთოდით განიხილავს, რაც უზრუნველყოფს მულტიდისციპლინურ შეფასებასა და მკურნალობას.
- **კარაპს მედლაინი (ვაკის ფილიალი)** - კარაპს მედლაინის ვაკის ფილიალი საერთაშორისო სამედიცინო სტანდარტებით შექმნილი ესთეტიკური კლინიკაა, რომელიც პაციენტებს სილამაზუზე ზრუნვას კლინიკური გამოცდილების ბაზაზე სთავაზობს. ხელმისაწვდომია დერმატო-კოსმეტოლოგია (სამკურნალო და მოვლის აპარატურული, ინექციური და არაინექციური პროცედურები), პლასტიკური ქირურგია, ესთეტიკური გინეკოლოგია (კონსულტაცია, კოლპოსკოპია Dysis, MonaLisa Touch) და სხეულის გაჯანსაღებაზე ორიენტირებული თერაპია. გამორჩეული სერვისია პერსონალური მოვლა, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაგეგმვა-კონსულტირებას გულისხმობს. კარაპს მედლაინის ვაკის ფილიალი აღჭურვილია თავის მოვლის პროცედურებისთვის განკუთვნილი უახლესი თაობის, ინოვაციური აპარატურით, რომელიც აღიარებულია FDA-ის (აშშ-ის საკვებისა და წამლის მარეგულირებელი სააგენტოს) მიერ.
- **მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო** - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო მე-3 დონის ერთადერთი მულტიპროფილური, რეფერალური პედატრიული კლინიკაა საქართველოში. იაშვილის კლინიკა, რომელიც 260 საწოლზეა გათვლილი, უზრუნველყოფს ყველა სახის ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას. ხელმისაწვდომია ისეთი მაღალტექნოლოგიური და უნიკალური

ჩვენი ბიზნეს მოდელი

სერვისები, როგორცაა - ონკოლოგია, ჰემატოლოგია, ტოქსიკოლოგია, ჰემოდიალიზი, ნეიროქირურგია, თორაკალური ქირურგია, რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგია. ოპერაციების უდიდესი ნაწილი ენდოსკოპიური მეთოდით ხორციელდება. იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოში ფუნქციონირებს ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება.

ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი - ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური მედიკოსებით არის დაკომპლექტებული. კლინიკის მისიადირებულებები პაციენტებზეა ორიენტირებული, მათთვის 75 სრულყოფილი, უსაფრთხო და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად. ჰოსპიტალი ყველა ასაკისა და საჭიროების მქონე პაციენტს ემსახურება და უზრუნველყოფს სრულ ამბულატორიულ და სტაციონარულ სერვისს. მათ შორის, ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევებზე.

დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი - დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი ვიანის ქსელში შემავალი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალია, სადაც ნებისმიერი ასაკის პაციენტისთვის (ნეონატალური, პედიატრიული და მოზრდილთა) სრული ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებაა ხელმისაწვდომი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურების მიღება რეგიონიდან გაუსვლელად შეუძლია. ჰოსპიტალმა, სხვა სამედიცინო სერვისებთან ერთად, წარმატებით და სრულად განავითარა კარდიოქირურგიული, ანგიოქირურგიული და ნეიროვასკულური სერვისები. ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინსულტის მართვის ცენტრი. ასევე, კლინიკა უზრუნველყოფს მესამე დონის პერინატალურ სამსახურს, რომელიც მაღალი რისკის ორსულობის მართვასა და დაბალი წონის ახალშობილთა ინტენსიურ თერაპიას გულისხმობს. ჰოსპიტალში ხელმისაწვდომია ასევე გადაუდებელი დახმარების განყოფილება.

კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი - კრისტინა კილის სახელობის ონკოლოგიის ცენტრი დასავლეთ საქართველოს რეგიონში მოქმედი ერთადერთი სპეციალიზებული ჰოსპიტალია, სადაც ერთ სივრცეშია ხელმისაწვდომი სხივური და მედიკამენტური თერაპიის სამსახური. კლინიკა აღჭურვილია ულტრა-თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურით, მათ შორის, დამონტაჟებულია უახლესი ხაზოვანი ამაჩქარებლები, რაც რთულად მისაღწევი სიმსივნურად დაზიანებულ უბნებში მიზნობრივ დასხივებას უზრუნველყოფს და გართულებებს მინიმუმამდე ამცირებს. რთული კლინიკური შემთხვევების განხილვაში, მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად, ჩართულნი არიან ევროპასა და ამერიკაში მოღვაწე ქართველი და უცხოელი ექიმები.



რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები

„საქართველოს კლინიკები“ 27 რეგიონულ და საზოგადოებრივ ჰოსპიტალს აერთიანებს დედაქალაქსა და რეგიონებში. ჯგუფი აქტიურად წერგავს და ავითარებს სამედიცინო მომსახურებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც უზრუნველყოფს როგორც საბაზისო, ისე ინოვაციური ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ცენტრალურ ქალაქებსა და მთიან რეგიონებში.

ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში ნეიროქირურგიის დეპარტამენტი თანამედროვე მეთოდებით ახორციელებს თავის ტვინისა და ხერხემლის პათოლოგიების ქირურგიულ მკურნალობას. პროცედურები მოიცავს თავის ტვინისა და ხერხემლის სიმსივნეების ოპერაციებს, ხერხემლის დეგენერაციული დაავადებების ქირურგიულ მკურნალობას, ასევე თავის ტვინის, თავის ქალის ფუძის, თავის ქალის რკალის, ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმული დაზიანებების ქირურგიულ მკურნალობას.

საერთაშორისო აკრედიტაციის წარმატებით მიღების შემდეგ, ქარელის კლინიკამ მიიღო ქირურგიული და ინტენსიური თერაპიის სერვისების გაწევის ავტორიზაცია და დანერგა მრავალმრიანი კომპიუტერული ტომოგრაფიის მომსახურება. აღნიშნული ბიზნეს მიმართულება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სამედიცინო დაწესებულებებით:

- თელავის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ქობულეთის ჰოსპიტალი;
- ფოთის ჰოსპიტალი;
- ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი;

ჩვენი ბიზნეს მოდელი

- ახალციხის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ახალქალაქის ჰოსპიტალი;
- ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალი;
- ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკა



პოლიკლინიკები

„ევექსი“ მართავს საქართველოში ყველაზე დიდ სამედიცინო კლინიკების ქსელს, რომელიც მოიცავს 15 კლინიკასა და ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრს „კარავს“. აღნიშნული მასშტაბური ქსელი უზრუნველყოფს მრავალპროფილურ ამბულატორიულ მომსახურებებს სხვადასხვა სპეციალიზაციის მიმართულებით და მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას ქვეყნის მასშტაბით.

„ევექსის“ მიერ შეთავაზებული სამედიცინო მომსახურებები (სულ 42 მომსახურება) მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ალერგოლოგია
- ანგიოლოგია
- გასტროენტეროლოგია
- დერმატოლოგია
- ენდოკრინოლოგია
- კარდიოლოგია
- ნევროლოგია
- ულტრასონოგრაფია
- ოფთალმოლოგია
- ოტორინოლარინგოლოგია (ENT)
- ორთოპედია/ტრავმატოლოგია
- პედიატრია
- ქირურგია
- თერაპია
- ჰემატოლოგია და სხვა

ყოველი კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელიც გამოირჩევა პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით. თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების ინტეგრაცია და მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა წარმოადგენს „ევექსის“ მისიის საფუძველს - უზრუნველყოს ჯანმრთელი მომავალი თითოეული პაციენტისთვის მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზებით.



დიაგნოსტიკა

„მეგალაბი“ წარმოადგენს კავკასიის რეგიონში უმსხვილეს დიაგნოსტიკურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინოვაციურ ცენტრს, რომელიც ორიენტირებულია საუკეთესო შედეგებზე და მუდმივად ზრუნავს პაციენტის კმაყოფილებაზე. როგორც ქვეყნის წამყვანი ლაბორატორია, „მეგალაბი“ გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ინოვაციებს, უსაფრთხოებას და იმ შესაძლებლობების შექმნას, რომლებიც პასუხობს პაციენტების მუდმივად ცვალებად საჭიროებებს. „მეგალაბი“ ყოველდღიურად 2,000-ზე მეტ პაციენტს ემსახურება და ატარებს 7,000-ზე მეტ კვლევას, რაც წლიურად 2,700,000-ზე მეტ ანალიზს შეადგენს. ლაბორატორია აღჭურვილია 50-ზე მეტი თანამედროვე სამედიცინო აპარატურით და უზრუნველყოფს 800-ზე მეტ კვლევის ტიპს. ის თანამშრომლობს 150-ზე მეტ პარტნიორთან, მათ შორის საქართველოს წამყვან კლინიკებსა და სადაზღვევო კომპანიებთან. „მეგალაბი“ კვლავ ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას დიაგნოსტიკისა და ინოვაციების სფეროში, ასევე მუშაობს 24/7 რეჟიმში და მომხმარებლებს სთავაზობს დიაგნოსტიკური ტესტების სრულ სპექტრს.


ჰოსპიტალური რესურსის უფრო ეფექტურად ათვისების მიზნით, გვსურს, ხელი შევუწყოთ პაციენტებისა და დასაქმებულების კმაყოფილების დონის ზრდას მთლიანი ქსელის მასშტაბით და გავზარდოთ ეფექტურობის მაჩვენებელი კლინიკური პროცესების დიჯიტალიზაციის გზით.

ჩვენი ბიზნეს მოდელი

კლინიკური თვალსაზრისით, ჩვენ ვზრდით ექიმების და ექთნების ახალ თაობას და ვაუმჯობესებთ სამედიცინო პროცესების მართვის ხარისხს. საშუალოვადიან პერსპექტივაში, ჩვენი მიზანი მედპერსონალის ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების მიღების ხელშეწყობაა განათლების გაღრმავებისა და პროფესიული განვითარების წახალისებით. უმთავრეს პრიორიტეტს კი სხვადასხვა დონის ცოდნის და პროცესის დანერგვით კლინიკებში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება წარმოადგენს.

საქართველოს სამედიცინო სექტორში საწოლფონდის დეფიციტის პრობლემის გადაჭრის მიზნით, 2023 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა ახალი სახელმწიფო რეგულაცია, რომელმაც სამედიცინო დაწესებულებებს ბევრად მაღალი სტანდარტები დაუწესა და ჰოსპიტლებში თითოეულ საწოლზე გამოყოფილ ფართობთან დაკავშირებით მოთხოვნები წაუყენა. ახალ რეგულაციებთან შესაბამისობის მიზნით, ჩვენს ჰოსპიტლებში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. კლინიკების ბიზნესი მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც მოსახლეობაში ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებამ გამოიწვია. ასევე, ზრდის პოტენციური განპირობებული გახლდათ ბაზრის კონსოლიდაციით, რაც, თავის მხრივ, განაპირობა ქსელის გაფართოებამ, ახალი სერვისების დამატებამ და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდამ. 2023 წელს კომპანიამ დაამატა სისხლის ჩაბარების ორი ახალი პუნქტი და ინვესტიცია ბრენდის მარკეტინგსა და იმიჯში ჩადო. შედეგად, კოვიდ 19-ის პანდემიის დროს ბრენდის ცნობადობა კიდევ უფრო გაიზარდა.

ბიზნეს სტრატეგია ახალი პაციენტების მოზიდვისა და უკვე არსებული რესურსის სრულად ათვისებისკენ არის ორიენტირებული. მომავალში ჩვენ განვაგრძობთ რეგისტრირებული პაციენტების ბაზის გაფართოებას, გავზრდით წვდომას სამედიცინო და პირად მომსახურებებზე და განვახორციელებთ ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ცხელი ხაზი. გარდა ამისა, მეტი კომფორტისთვის მუდმივად უმჯობესდება უკვე არსებული ციფრული პლატფორმები და ონლაინ-აპლიკაცია. დიაგნოსტიკური მიმართულება უფრო მეტად ორიენტირებული იქნება დატვირთვის ზრდაზე (ამჟამად დიაგნოსტიკური მომსახურებები შეადგენს მთლიანი მომსახურების მხოლოდ 60%-ს) ქსელის გაფართოების, B2B კლიენტების მოზიდვის და ახალი სერვისებისა და ტექნოლოგიების დამატებით. კლინიკური თვალსაზრისით, გავაგრძელებთ უმაღლესი სტანდარტის კლინიკური პროცესების ზედამხედველობას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - აკრედიტირებული სასწავლო ცენტრის მეშვეობით გავაერთიანებთ სასწავლო პლატფორმას, ორდინატურასა და სამეცნიერო კვლევების ცენტრს.



ჩვენი ბიზნეს მოდელი

ლიცენზიები და პატენტები

ხარისხის კონტროლის პროცესების უზრუნველსაყოფად, „კომპანია“ თანამშრომლობს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ორგანიზაციებთან, რათა მიიღოს აკრედიტაცია. რეაკრედიტაცია ხორციელდება ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ (მიმწოდებლის მიხედვით). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემდგომი აკრედიტაციის პროცესი გაცილებით მარტივია, ვიდრე საწყისი აკრედიტაციის მიღება. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა აუცილებელი კაპიტალის ინვესტიცია უკვე განხორციელებულია, დეპარტამენტები სათანადოდ ორგანიზებულია, პერსონალი გადამზადებულია და გუნდი კარგად იცნობს საჭირო სტანდარტებს, რაც პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს.

შესაბამისი აკრედიტაციები ბიზნესის სხვადასხვა მიმართულებით წარმოდგენილია ქვემოთ:

დიდი და სპეციალიზებული ჰოსპიტლები

კავკასიის მედიცინის ცენტრი (CMC) არის პირველი მრავალპროფილური რეფერალური ჰოსპიტალი საქართველოში, რომელიც JCI-ის აკრედიტაციას ფლობს. Caraps Medline გახდა მრავალპროფილური კლინიკა, რომელსაც მინიჭებული აქვს ამერიკული აკრედიტაციის კომისიის (AACI) აკრედიტაცია. დასავლეთ საქართველოს სამედიცინო ცენტრი არის პირველი და ერთადერთი მრავალპროფილური ჰოსპიტალი დასავლეთ საქართველოში, რომელიც AACI-ის მიერ აღიარებულია. მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედაბისა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალს მინიჭებული აქვს დასავლეთ საქართველოს პირველი საერთაშორისო აკრედიტაციის სტატუსი, როგორც პედიატრიულ სამედიცინო ცენტრს - AACI-ის მიერ მინიჭებული უმაღლესი ხარისხის და პაციენტის უსაფრთხოების შეფასებით. ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ფლობს AACI-ის აკრედიტაციას პაციენტის უსაფრთხოებისა და სამედიცინო ხარისხის მიმართულებით, მინიჭებული აქვს უმაღლესი შეფასება.

რეგიონული და საზოგადოებრივი ჰოსპიტლები

„საქართველოს კლინიკების“ ქსელში შემავალ ყველა 27 სამედიცინო დაწესებულებას მინიჭებული აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია. KTQ-ს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ აღნიშნული დაწესებულებები უზრუნველყოფენ პაციენტზე ორიენტირებულ გარემოს და აკმაყოფილებენ სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს.

კლინიკები

ვექსის კლინიკების ქსელი შესაბამება ISO 9001:2015 ხარისხის მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებს. მას მინიჭებული აქვს TÜV AUSTRIA-ს სერტიფიკატი.

დიაგნოსტიკა

2022 წლის 24 ივლისს, მეგალაბი გახდა პირველი სამედიცინო ლაბორატორია სამხრეთ კავკასიაში, რომელმაც მიიღო JCI-ის აკრედიტაცია. 2024 წლის 11 ივლისს, სახელმწიფო აკრედიტაციის სააგენტომ, აკრედიტაციის ცენტრმა, მეგალაბს მიანიჭა აკრედიტაციის სერტიფიკატი. აღნიშნული სერტიფიკატი ადასტურებს, რომ Megalab აკრედიტებულია SS ISO 15189:2012/2015-ის მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრული მოთხოვნების ფარგლებში.



ჩვენი ბიზნეს მოდელი

ბიზნეს პროცესებისა და ხარისხის კონტროლის აღწერა

ქსელში შემავალ ჯანდაცვის პროვაიდერებს მოეთხოვებათ სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტების დაცვა, რაც შეესაბამება „ჯანმოსა“ (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია) და შერჩეულ ევროკავშირის რეგულაციებს. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს მედიკოსებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის მინიმალური კვალიფიკაციების საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ მოთხოვნებს, ასევე მონაცემების შეგროვების, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესების დანერგვას. „ემიტენტი“ პერიოდულად ზომავს ჯანდაცვის ხარისხის ძირითად ინდიკატორებს, მათ შორის: პრევენციული ხარისხის ინდიკატორებს (PQI), სტაციონარული ხარისხის ინდიკატორებს (IQI), პაციენტის უსაფრთხოების ინდიკატორებს (PSI) და პედიატრიული ხარისხის ინდიკატორებს (PQ). „კომპანია“ შეიმუშავა კლინიკური სტანდარტების ძირითადი სისტემა, რომელიც ვრცელდება ყველა სამედიცინო დაწესებულებაზე. ხარისხის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად, „ემიტენტმა“ შექმნა შიდა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩო, Evex ის ხარისხის სტანდარტები (EQS), რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო დონეს და ეფუძნება JCI, AACI და ევროკავშირის მითითებებს. EQS წარმოადგენს სტრუქტურირებულ მიდგომას კლინიკური შედეგების ანალიზისა და გაუმჯობესებისათვის, ხელს უწყობს ფუნქციური ეფექტიანობის გაძლიერებას და უწყვეტი ხარისხისა და კლინიკური გაუმჯობესების ხელშეწყობას, ამავდროულად ამცირებს მომსახურების ხარისხში არსებულ ცვალებადობას. EQS ჩარჩო დაფუძნებულია ოთხ ძირითად საყრდენზე - PQI, IQI, PSI და PQ, რომლებიც რეგულარულად ფასდება. EQS აკრედიტაცია მიუთითებს საერთაშორისო ჯანდაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაზე და ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრაციას. ყოველწლიური აკრედიტაციის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჯანდაცვის ხარისხსა და პაციენტის უსაფრთხოებას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფექციების კონტროლს, მედიკამენტების უსაფრთხოებას, ობიექტების უსაფრთხოებასა და მომსახურების საერთო ხარისხს. ამ პროცესის ფარგლებში, „ჯგუფის“ საავადმყოფოებში კლინიკური პრაქტიკები სტანდარტიზებულია 91 საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და ექვემდებარება რეგულარულ აუდიტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს დასახულ მიზნებთან შესაბამისობა. რესურსების განაწილებისა და ოპერაციული ეფექტიანობის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, „ემიტენტი“ ემსახურება სხვადასხვა პროცესისთვის შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) განვითარების საქმეს, რომლებიც რეგულარულად მონიტორინგდება. EQS სტანდარტების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია შიდა აუდიტის სისტემა, რომელიც ყოველ კვარტალში აფასებს და აკვირდება პაციენტის უსაფრთხოებისა და ხარისხის ინდიკატორებს.

ყველა საავადმყოფოში უფრო მაღალი ხარისხისა და პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხარისხის კომიტეტი მონიტორინგს უწევს შემდეგ შესრულების ძირითად ინდიკატორებს (KPIs):

- ქირურგიული უსაფრთხოების შემოწმების სია
- ხელების ჰიგიენის ხუთ ნაბიჯიან დაცვასთან შესაბამისობა
- საავადმყოფოში შეძენილი ინფექციების (HAI) მონიტორინგი (მაჩვენებელი < 9 ყოველ 1000 პაციენტის დღეზე)
- ქირურგიული ჭრილობის ინფექციების (SSI) მონიტორინგის სისტემა
- ცენტრალურ ვენურ კათეტერთან ასოცირებული ინფექციების მაჩვენებელი (CLABSI) ყოველ 1000 კათეტერის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- კათეტერთან ასოცირებული შარდსასქესო გზების ინფექცია (CAUTI) ყოველ 1000 კათეტერის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- პერიოპერაციული ანტიბიოტიკოთერაპიის პროფილაქტიკა (მოზარდებისა და ბავშვებისთვის)
- ვენტილატორთან ასოცირებული პნევმონიის მაჩვენებელი (VAP) ყოველ 1000 ვენტილატორის დღეზე (მონიტორინგის სისტემა)
- პაციენტის დაცემის რისკის პრევენციის შესაბამისობის მაჩვენებელი
- KPI-ის გაციფრულების პროექტი Power BI პლატფორმაზე
- სამედიცინო ჩანაწერების მართვის საინფორმაციო დაფა
- ელექტრონული ISBAR სისტემის დანერგვა ექიმებისთვის
- ელექტრონული ISBAR სისტემის დანერგვა მედლებისთვის
- უწყვეტი სამედიცინო განათლების მონიტორინგის სისტემა

სპეციალურად შექმნილი ჰოსპიტალური კომიტეტები უზრუნველყოფენ პოლიტიკის განახლებას, პროცედურებთან შესაბამისობასა და უწყვეტი გაუმჯობესების ინიციატივების ზედამხედველობას. გარდა ამისა, ყველა საავადმყოფოში დანერგილია ინფექციების კონტროლის ზომები, რომლებიც შემუშავებულია წამყვან გარე კონსულტანტებთან თანამშრომლობით, მათ შორის: JCI Consultancy, AACI Consultancy, CDC Atlanta, CDC Georgia, ემორის უნივერსიტეტი და ჯანმოს ევროპის რეგიონული ოფისი.



საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნვა

ჩვენი სტრატეგია



ჩვენი სტრატეგია

საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი მიზნები (სამინისტროს სტრატეგია)

სამინისტრომ დაამტკიცა ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, რომელშიც ასახულია საქართველოში ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების ძირითადი პრიორიტეტები. სტრატეგია ფოკუსირებულია ჯანდაცვის მართვის, ფინანსური მდგრადობის, მომსახურების ხარისხისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის მზადყოფნის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს წვდომა მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომ ჯანდაცვაზე და ფინანსურად დაცული იყოს ჯანმრთელობის რისკებისგან.

ჯანდაცვის მართვითი გაძლიერება

სტრატეგია ხაზს უსვამს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებას, გაუმჯობესებულ სტრატეგიულ დაგეგმვას და გაძლიერებულ ზედამხედველობის მექანიზმებს. იგი ასევე ცდილობს გაზარდოს გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება სექტორში, ხელი შეუწყოს თანამშრომლობას საჯარო და კერძო ინსტიტუტებს შორის ჯანდაცვის მომსახურების ეფექტიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად.

ჯანდაცვის დაფინანსების გაძლიერება

სტრატეგიის მიზანია პირველადი და სპეციალიზებული მომსახურებების დაფინანსების მოდელის დახვეწა ისე, რომ არსებული რესურსები უფრო ეფექტიანად იქნეს გადანაწილებული. ამავდროულად, სტრატეგია მიმართულია იმაზე, რომ მოქალაქეებმა საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მიიღონ მინიმალური ფინანსური დატვირთვით.

ჯანდაცვის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარება

სტრატეგია ხაზს უსვამს ადამიანური რესურსების განვითარების მნიშვნელობას. ყურადღება გამახვილებულია სამუშაო ძალის სწორად დაგეგმვაზე, უწყვეტ პროფესიულ განათლებასა და ექთნების როლის გაძლიერებაზე. ადამიანურ რესურსებში ინვესტიციებით, სტრატეგია ცდილობს გააუმჯობესოს ჯანდაცვის სერვისის ხარისხი და ხელმისაწვდომობა.

მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

სტრატეგია ფოკუსირებულია ფარმაცევტული უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებაზე, წამლების ფასების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე და მედიკამენტების გონივრული გამოყენების რეგულირებაზე. ეს ზომები მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ყველა პაციენტმა სამართლიან ფასად მიიღოს ეფექტური და უსაფრთხო მკურნალობა.

ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარება

სტრატეგიაში პრიორიტეტულია ელექტრონული ჯანდაცვის (e-Health) სერვისების გაფართოება, ტელემედიცინის ინტეგრაცია და ციფრული ჯანდაცვის მართვის სისტემების გაუმჯობესება. მონაცემთა გაცვლის მექანიზმების გაძლიერება ხელს შეუწყობს სერვისების კოორდინაციას და პაციენტზე ზრუნვას

ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

სტრატეგია მოიცავს ზომებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაძლიერების, დედათა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადების ტვირთის შესამცირებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირველადი ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებას და კლიმატთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკების მოგვარებას.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და კრიზისებზე რეაგირების გაძლიერება

სტრატეგია მიზნად ისახავს გააძლიეროს ეპიდემიოლოგიის სისტემები, გააუმჯობესოს ლაბორატორიული შესაძლებლობები და ჯანმრთელობის რისკების შესახებ საზოგადოების ინფორმირების გაძლიერებას.

ჩვენი სტრატეგია

GHG-ის გაფართოების სტრატეგია

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის სტრატეგია მიმართულია პაციენტთა მოზიდვის გაზრდაზე, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად იქნას გამოყენებული არსებული ინფრასტრუქტურა. მომავალში „ჯგუფი“ გააგრძელებს რეგისტრირებული მომხმარებლების ბაზის ზრდას, სამედიცინო და პირადი მოვლის მომსახურების გაფართოებას, დისტანციური არსების - როგორც საკონტაქტო ცენტრი - განვითარებას და ციფრული პლატფორმის გაუმჯობესებას მომხმარებელთა კომფორტისა და გამოცდილების გასაუმჯობესებლად. დიაგნოსტიკის მიმართულება მიზნად ისახავს არსებული დატვირთვის (ამჟამად დაახლოებით 60%) გაზრდას საცალო ქსელის გაფართოების, B2B კონტრაქტების გაფორმებისა და მოწინავე ტექნოლოგიების, მათ შორის, მომდევნო თაობის გენეტიკური სკეკენირების დაწესების გზით. კლინიკური კუთხით, „ჯგუფი“ რჩება ერთგული უმაღლესი ხარისხის სტანდარტების მიმართ კლინიკურ პროცესებში და გეგმავს აკრედიტებული სასწავლო ცენტრის, რეზიდენტურის პროგრამისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვითარებას. სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი აქცენტი არჩევით და ამბულატორიულ მომსახურებაზე შემოსავლების ზრდა, რომლებიც არ ექვემდებარება სახელმწიფო დაფინანსებას. აღნიშნულ მომსახურებებს გააჩნიათ მაღალი მარჟა და მნიშვნელოვნად მოკლე შემოსავლის მიღების ციკლი, რაც ხელს უწყობს ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას. სპეციალიზებული მომსახურების - ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, პედიატრიული მომსახურების და მოწინავე დიაგნოსტიკის - გაფართოება კიდევ უფრო გააძლიერებს „ჯგუფის“ საბაზრო პოზიციას და შემოსავლების გენერირების შესაძლებლობას.

„ჯგუფი“ გეგმავს საავადმყოფოების ქსელის გაფართოებას, განსაკუთრებით თბილისში, არსებული მაღალი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სტრატეგია მოიცავს საბაზრო წილის გაზრდას ახალი ამბულატორიული კლინიკების გახსნითა და არსებული ობიექტების შესაძლებლობების მერჯევითად გაზრდით. „ჯგუფის“ მიზანია შემოსავლებში ამბულატორიული მომსახურების წილის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს პრევენციული მომსახურების მოსახლეობისთვის უფრო ხელმისაწვდომად ქცევას და ასევე მისცემს საშუალებას ისარგებლოს ოპერაციული და მომსახურების ხარჯების შედარებით დაბალი დონით სტაციონარულ მომსახურებასთან შედარებით. მიმდინარე სტრატეგიის ფარგლებში, „ჯგუფი“ ავითარებს ორ ძირითად პროექტს, რომლებიც ამჟამად განვითარების ფაზაშია: ონკოლოგიური პროექტი - „ჯგუფის“ ჰოსპიტლები თბილისში ამჟამად არ უზრუნველყოფენ ონკოლოგიურ მომსახურებებს, მაშინ როდესაც ქუთაისში არსებული კლინიკები სთავაზობენ სრულფასოვან ონკოლოგიურ მკურნალობას. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, „ჯგუფი“ გეგმავს 2025 წლისთვის თბილისში ონკოლოგიური ცენტრის გახსნას. მოსალოდნელია, რომ ეს ინიციატივები ბიზნესისთვის დამატებით შემოსავლის წყაროს შექმნის.

აღნიშნული ინვესტიცია: (i) მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს წვდომას თანამედროვე ონკოლოგიურ მკურნალობაზე ქვეყნის მასშტაბით, შეამცირებს მგზავრობის საჭიროებას და ხელს შეუწყობს დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოზსა და ჩარევას; (ii) მხარს დაუჭერს ადგილობრივ ჯანდაცვის სისტემას სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნის, სამედიცინო ექსპერტიზის განვითარებისა და საქართველოს საერთო შესაძლებლობების გაძლიერების გზით არაგადამდებ დაავადებებთან ბრძოლაში. „ჯგუფი“ უკვე ფლობს ჩამოყალიბებულ მომხმარებელთა ბაზას როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში. „კომპანიის“ მიზანია, ერთდროულად მოახდინოს მნიშვნელოვანი სოციალური გავლენა და გააძლიეროს თავისი საბაზრო პოზიცია. ამბულატორიული მომსახურების პროექტი - ამბულატორიული მომსახურება „ჯგუფის“ შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ხასიათდება უფრო მაღალი მარჟითა და შემოსავლის უფრო სწრაფი მიღების ციკლით. ამ მომსახურების გაფართოება მოსალოდნელია, რომ გაუმჯობესებს როგორც ფინანსურ შედეგებს, აგრეთვე, საოპერაციო ეფექტიანობას, რადგან ამბულატორიული მომსახურება, როგორც წესი, დაკავშირებულია შედარებით დაბალ საოპერაციო და მომსახურების ხარჯებთან სტაციონარულ მომსახურებასთან შედარებით. სტაციონარული მომსახურებისგან განსხვავებით, ამბულატორიულ მომსახურებებს ესაჭიროებათ ნაკლები რესურსი, როგორცაა დამისთვევა, ინტენსიური საექიმო მეთვალყურეობა ან დიდი რაოდენობით სამედიცინო მოხმარებადი მასალები. ამის წყალობით, საავადმყოფოებს შეუძლიათ ეფექტიანად მოემსახურონ მეტ პაციენტს, ოპტიმიზებული რესურსითა და გაზრდილი მომგებიანობით. „GHG“-ის კაპიტალური ინვესტიციების სტრატეგია მოიცავს მნიშვნელოვან ინვესტიციებს ამბულატორიულ მომსახურებაში, რაც გულისხმობს როგორც ამბულატორიული განყოფილებების განახლებასა და ახლის მშენებლობას, ასევე აუცილებელი სამედიცინო აპარატურის შეძენას. დაგეგმილია MRI და ულტრაბერითი აპარატურის შეძენა. აღნიშნული ინიციატივები, გარდა იმისა, რომ მაღალმომგებიანია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ჯანდაცვის მომსახურების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში, შეამცირებს პაციენტთა მგზავრობის დროსა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რაც ხელს შეუწყობს დაავადებების უფრო ადრეულ დიაგნოსტიკასა და ეფექტიან მკურნალობას. მომსახურების დეცენტრალიზაციისა და რეგიონული ინფრასტრუქტურის გაძლიერების გზით, ინიციატივა ხელს უწყობს ჯანდაცვის თანასწორობას, პრევენციული მომსახურების განვითარებას და ამცირებს დატვირთვას ქალაქებში არსებულ სტაციონარულ დაწესებულებებზე.

ჩვენი სტრატეგია

კლინიკურ მიმართულებაში ყურადღება ეთმობა მაღალი ხარისხის სტანდარტებსა და სამედიცინო განათლების განვითარებას. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არჩევით და ამბულატორიულ მომსახურებებზე, ასევე სპეციალიზებული მიმართულებების — ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, პედიატრიისა და მოწინავე ღიაგნოსტიკის — გაფართოებაზე, რაც ხელს უწყობს შემოსავლების ზრდასა და ბაზრის პოზიციების გაძლიერებას.

<p>ქსელის გაფართოება და რეგიონული ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>სტრატეგია მოიცავს საბაზრო წილის გაზრდას ახალი ამბულატორიული კლინიკების გახსნითა და არსებული ობიექტების შესაძლებლობების შერჩევითად გაზრდით. ასევე, იგეგმება ონკოლოგიური ცენტრის გახსნა თბილისში. მათ შორის, დაგეგმილია ტრანსპლანტოლოგიის მომსახურების დაწყება და მოწინავე კლინიკური კვლევის პროგრამების განვითარება.</p>	<p>ოპერაციული ეფექტიანობა და ხარჯების ოპტიმიზაცია</p> <p>ჯგუფი“ მიზნად ისახავს ოპერაციული ეფექტიანობის გაუმჯობესებას მარჯების გაზრდის მიზნით. „GHG“ ყურადღებას ამახვილებს დამატებით ეფექტიანობაზე რესურსების უკეთესი გამოყენების, შესრულების ძირითადი ინდიკატორების (KPIs) გაფართოებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან შედარების გზით. მომსახურებების დამატებითი კონსოლიდაცია, მათ შორის, სისხლის ბანკები, თეთრულის მომსახურება, ნარჩენების მართვა, არქივები, საკონტაქტო ცენტრები და კლინიკური ინჟინერია.</p>	<p>ჯანდაცვის ოპერაციების გაციფრულების ეფექტიანობის გაზრდა</p> <p>ინიციატივები მოიცავს კლინიკური პროცესების ავტომატიზაციას, შესრულების ძირითადი ინდიკატორის (KPIs) გაციფრულებას და მოწინავე სტატისტიკური მეთოდების ინტეგრაციას ღიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაგეგმვის ხარისხის გასაუმჯობესებლად</p>
<p>2027-2030</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>მიმდინარე</p>

5 წლის ფინანსური მიზნობრივი მაჩვენებელი

- EBITDA CAGR 10%+
- EBITDA to operating cash c.85%+
- ROIC c.13%+



საქართველოს
ჯანდაცვის
აბრუნება

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები



ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფი ოპერირებს ისეთ ბიზნესგარემოში, სადაც სხვადასხვა რისკები და გაურკვევლობები არსებობს, რომელთა უგულობელიყოფამ შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს ბიზნესზე. ჩვენ ვაცნობიერებთ რომ რისკების ეფექტური მართვა და ძლიერი შიდა კონტროლების სისტემა საკვანძო რგოლია სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის და ჩვენი მომხმარებლებისა და უბრალოდ სთეიქჰოლდელების ინტერესების დასაცავად. ჩვენ გვაქვს რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა, რომელიც დეტალურად გაწერს პროცედურებს, ადგენს ავტორიზაციების სხვადასხვა დონეებს და თავის თავში მოიაზრებს რეპორტირებას. სამეთვალყურეო საბჭო და ჯგუფის მენეჯმენტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკების მართვასა და მითიგაციაზე. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც გამოვლენილი იყო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, გამოიყურება შემდეგნაირად:

- ჯგუფი ოპერირებს ბიზნესგარემოში, რომელიც საკმაოდ მკაცრად რეგულირდება სხვადასხვა სახის რეგულაციებითა და კანონებით. ამ რეგულაციების დარღვევა ან კანონებთან შეუსაბამობაში ყოფნა გამოიწვევს მნიშვნელოვან ფინანსურ ზარალს ჯარიმების სახით და უარყოფითი ეფექტი ექნება ჯგუფის რეპუტაციაზე. ამ რისკის შემცირების მიზნით ჩვენ ვცდილობთ კონსტრუქციულ დიალოგში შევიდეთ სახელმწიფო ორგანოებთან და სადაც შესაძლებელია ვცდილობთ გარე რჩევებისა და რეკომენდაციების მიღებას მოსალოდნელ ცვლილებაზე საკანონმდებლო სისტემაში. ჯგუფში გაწერილია სხვადასხვა პროცედურები და კონტროლები, რათა ჯგუფმა კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები და რეგულაციებთან შესაბამისობაში იყოს. ჯგუფის იურიდიული დეპარტამენტი მონაწილეობს ყველა მატერიალური ხელშეკრულებისა თუ კონტრაქტის გაფორმების პროცესში, ფინანსურ დეპარტამენტთან არსებული საგადასახადო აღრიცხვის განყოფილება კი მუდმივად თვალს ადევნებს ცვლილებებს საგადასახადო კანონმდებლობაში. ჯგუფში რეგულარულად ტარდება შიდა აუდიტი, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდის მიერ კეთდება. შედეგები განიხილება კლინიკური უსაფრთხოებისა და ხარისხის მიმართულების მიერ ყოველკვარტალურად.

- ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ექიმები და სხვა პროფესიონალები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, შემდგომი განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. რისკს ზრდის ისიც, რომ ქვეყანაში მაღალკვალიფიციური ექიმების, მედლებისა და სხვა პროფესიონალების ნაკლებობაა. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და ჯგუფი ბევრ რესურსსა და ენერჯის ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება მაღალ ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.

- ჯგუფი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოსაგან მიღებულ შემოსავალზე. სახელმწიფომ შესაძლოა დააგვიანოს თანხების ჩარიცხვა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. შემცირებულმა ტარიფებმა და გადახდის ვადის გაზრდამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შემოსავალსა და მომგებიანობაზე. ჯგუფი ამ რისკის შემცირებას ცდილობს და დაწყებული აქვს მუშაობა შემოსავლების დივერსიფიკაციაზე და ამბულატორიული სერვისების რაოდენობის გაზრდაზე.


- ჯგუფს აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საოპერაციო რისკი. კიბერ-თავდასხმებმა და თავდაცვის სისტემების დარღვევამ შესაძლოა მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური მონაცემების დაკარგვა გამოიწვიოს და/ან ეს ინფორმაცია მესამე პირის ხელში მოხვდეს. ამ რისკების მინიმიზაციის მიზნით, 2017 წელს, ჯგუფმა დააარსა კორპორატიული უსაფრთხოების დეპარტამენტი და ის მაღალკვალიფიციური კადრებით დააკომპლექტა. 2025 წლის ბოლომდე გაწერილია სტრატეგია და სამოქმედო გეგმაც. ჯგუფი ასევე თანამშრომლობს კონტრაქტორ კომპანიასთან კიბერ-უსაფრთხოების საკითხებში.

კომპანიის რისკის პროფილი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი შვილობილი კომპანიების შედეგებზე, რადგან მათი ფინანსური მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის სტაბილურობასთან.



ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

GHG-ის რისკების მართვის სტრუქტურები



ჩვენ ვადგენთ, ვაფასებთ, ვმართავთ და ვაკვირდებით რისკებს, რომლებსაც ვხვდებით, გამოყენებული ერთიანი კონტროლის ჩარჩოს საშუალებით, რომელიც მოიცავს ოფიციალურ პოლიტიკებსა და პროცედურებს, განსაზღვრულ უფლებამოსილებების დონეებს და სრული ანგარიშგების მექანიზმებს. ჩვენი დირექტორთა საბჭო, რომელსაც მხარს უჭერს აუდიტის კომიტეტი, კლინიკური ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი და უმაღლესი მენეჯმენტი, საბოლოოდ პასუხისმგებელია ჯგუფის რისკების მართვასა და შიდა კონტროლზე და უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციაში დაინერგოს რისკებზე ცნობიერებისა და მართვის შესაბამისი კულტურა. ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ რისკების მართვა გახდეს ჩვენი ყოველდღიური ბიზნეს საქმიანობის განუყოფელი ნაწილი. ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ გარემო, სადაც გადაწყვეტილებების მიღება და რისკების მართვა ხორციელდება ღიად და გამჭვირვალედ, ხოლო ბიზნეს-მენეჯერები არიან პასუხისმგებელი თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პროცესებზე. ოპერაციულ დონეზე, მენეჯმენტი ასევე უზრუნველყოფს, რომ რისკების მართვა იყოს სწრაფი, წინმსწრები და თანმიმდევრული.

ყოველი ბიზნეს ერთეული მონაწილეობს რისკების მართვის პროცესში, იდენტიფიცირებს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებულ მთავარ რისკებს. ჩვენ ვმუშაობთ მნიშვნელოვანი რისკების წინააღმდეგ პირველი ხაზის დაცვის გაძლიერებაზე (ახლახან განხორციელებული Delegation Project ასახავს სტრატეგიის ყველა ასპექტს) და მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა მართვის დონისთან, რათა გავაძლიეროთ რისკებზე ცნობიერება და რისკებზე დაფუძნებული ფასების პოლიტიკის აზროვნება ყველა თანამშრომელში, რომელიც ჩართულია ყოველდღიურ ოპერაციებში და ბიზნეს პროცესებში.

აუდიტის კომიტეტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება პრინციპების, ჩარჩოების, პოლიტიკებისა და შეზღუდვების განხორციელებაზე ჯგუფის შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სტრატეგიის შესაბამისად, რაც მოიცავს კონტროლის ხარვეზებს, თაღლითობას ან დაუდევრობას, IT-ს, კიბერუსაფრთხოებას, შესაბამისობას, კორპორატიულ უსაფრთხოებას და მსგავს ოპერაციულ, ფინანსურ და რეგულატორულ რისკებს. აუდიტის კომიტეტი უწყობს ხელს ჯგუფის შიდა და საგარეო აუდიტორების საქმიანობას. აუდიტის კომიტეტი ირჩევა და უშუალოდ კონტროლდება დამოუკიდებელი დირექტორების მიერ. კლინიკური ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი გადახედავს ჯგუფის კლინიკურ შედეგებს, ზედამხედველობს კლინიკურ და სამედიცინო ხარისხსა და ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ასევე უზრუნველყოფს კლინიკური რისკების სათანადო მონიტორინგსა და მართვას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კლინიკური ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი აკონტროლებს ჯგუფის კლინიკურ შედეგებს, ზედამხედველობს კლინიკურ და სამედიცინო ხარისხსა და ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, ასევე უზრუნველყოფს, რომ კლინიკური რისკები სათანადოდ მონიტორინგდებოდეს და მართვადი იყოს. ხარისხისა და უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემა მოქმედებს კლინიკურ დეპარტამენტში.

კლინიკური დეპარტამენტი ამზადებს ანგარიშებსა და ანალიზებს კლინიკური ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტისთვის და მონაწილეობს შედეგების და რისკის სფეროების განხილვაში შემდგომი პრევენციისა და გაუმჯობესებისთვის. კომიტეტისთვის ანგარიშგება ხდება კვარტალურად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა უფრო ხშირი იყოს, რისკებისა და ანგარიშგების ღირსი პირობების გამოვლენასთან დაკავშირებით.

კლინიკური ხარისხისა და უსაფრთხოების კომიტეტი განსაზღვრავს და ამტკიცებს კლინიკური დეპარტამენტის მთავარ პოლიტიკებსა და მიზნებს წლის განმავლობაში.

შიდა აუდიტის დეპარტამენტი აფასებს ფინანსური რისკების სფეროებს აუდიტის კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად. შიდა აუდიტის ანგარიშის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი პრობლემა ან რისკი განიხილება აუდიტის კომიტეტის მიერ, მიღებულია შესაბამისი ღონისძიებები მათი სათანადო გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად. შიდა აუდიტის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი ანგარიშგების პირდაპირი ხაზი აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარესთან.



საქართველოს
ჯანდაცვის
ბრუნვა

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა



გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კასუხისმგებლობა

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის საქმიანობას ზეგავლენა აქვს გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ზუსტად ამ მიზნით კომპანიაში არის შექმნილი გარემოს დაცვის მიმართულება რომელიც კონკრეტულად გარემოს დაცვის საკითხებზე არის ორიენტირებული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სამედიცინო ნარჩენებია, რომელიც ყველაზე მსხვილი ნარჩენი პროდუქტია ჩვენს საქმიანობაში. სამედიცინო ნარჩენების უტალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია საკითხია. ნარჩენების გარემოზე მავნედ ზემოქმედების რისკის მნიშვნელოვნად შემცირებაა შესაძლებელი პროცესების სწორად მართვით. ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის მიხედვით აღიარებულ ნორმებს, რომელიც ჩვენს ვებსაიტზეა გამოქვეყნებული: [Environmental and Social Policy.pdf \(ghg.com.ge\)](http://ghg.com.ge) სამედიცინო მარაგების მართვის პროცედურები, რომელიც კომპანიაშია დანერგილი, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს რისკის კატეგორიებს და ადგენს შესაბამის პროცედურებს ამ რისკებთან განსამკლავებლად. ჩვენ დავნერგეთ სამედიცინო ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა. პერსონალი ყოველდღიურად და ყოველკვირეულად ავსებს სპეციალიზებულ ფორმებს, სადაც კონკრეტულად არის მითითებული ნარჩენის სახეობა, წონა და ტრანსპორტირების ფორმა. კომპანიაში ჩატარდა შიდა ტრენინგები ამ თემაზე, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში თანამშრომლებს შესაბამისი სერტიფიკატები დაურიგდათ. ლაბორატორიაში შექმნილია სპეციალიზებული ოთახი, სადაც სამედიცინო ნარჩენები ინახება (არაუმეტეს 24 საათისა), სანამ მათი შენობიდან გატანა მოხდება. ზიანის შემცირების მიზნით კომპანია სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციისთვის იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც ამ საკითხში არის სპეციალიზებული. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე შევამციროთ გარემოზე მავნე ზემოქმედება, რომელიც ჩვენი საქმიანობის შედეგად შესაძლოა გამოვლინდეს.

სოციალური და დასაქმების საკითხები

კომპანიის თითოეული წევრი საკუთარ როლს თამაშობს კომპანიის წარმატებასა და მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაში. თანამშრომელთა რიცხვი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11,152-ს შეადგენდა. კომპანია სტანდარტულ რეჟიმში განიხილავს ყველა დასაქმების აპლიკაციას, რომელიც შშმ პირების მიერ არის გამოგზავნილი და უზრუნველყოფს რომ მათ ჰქონდეთ კარიერული განვითარების საჭირო ყველა ბერკეტი და თანასწორ, სამართლიან გარემოში უწყვედ მუშაობა.

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე. ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/uploads/files/GHG%20Code%20of%20Conduct%20and%20Ethics%202017%20pdf.pdf>

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე. ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება. კომპანიის კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/uploads/files/antibribery-and-anticorruption-policy-20.pdf>

დივერსიფიკაციის პოლიტიკა

კომპანიის მიერ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის დეტალური აღწერა მოცემულია შემდეგ მისამართზე: <http://ghg.com.ge/uploads/files/Diversity%20policy.pdf>

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

კოდექსის პრაქტიკის მიმოხილვა

კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის (იგულისხმება სს“საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭო, შემდგომში „დირექტორთა საბჭო“) პრიორიტეტულია კორპორაციული მართვის სტანდარტების მაღალ დონეზე შენარჩუნება. ჩვენი მიზანია, რომ სრულ შესაბამისობაში ვიყოთ 2016 წლის გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის წესდებასთან (“2016 UK Corporate Governance Code”), რომელიც გამოიცა ფინანსური რეპორტირების საბჭოს მიერ (FRC- Financial Reporting Council). კომპანია მაღალ დონეზე ინარჩუნებს კორპორაციული მართვის სტანდარტებს, დირექტორთა საბჭოში შემავალი პირები კარგად იცნობენ ზემოთ ნახსენები წესდების სტანდარტებს. ნახსენები კოდექსი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.frc.org.uk

მმართველობითი ორგანო


კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. ის ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ მართვაზე, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციებში შედის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის გრძელვადიანი მიზნების განსაზღვრასა და სწორი პრიორიტეტების დასახვაში. საბჭო ასევე პასუხისმგებელია რისკების მართვასა და მიტიგაციაზე. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი არაადმინისტრაციული წევრისაგან. ჩვენ გვჯერა, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა საუკეთესოა დადგენილი მიზნების მისაღწევად. საბჭოს აქვს გამჭვირვალე პროცესები წევრების შერჩევისა და დანიშვნის პროცესში. მიზანი არის, რომ საბჭო კარგად იყოს დაბალანსებული და იდეალურად მოერგოს ბიზნესის ინტერესებს. კომპანია მუდმივად ცდილობს, რომ აღმოფხვრას უკანონო და უსამართლო დისკრიმინაცია. საბჭო მიესალმება დივერსიფიკაციას ყველა ფორმით, რომელიც ასახულია მის დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. დივერსიფიცირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგია და სხვა ფაქტორები მხვედველობაში იქნება მიღებული ახალი დირექტორის დანიშვნის პროცესში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის დანიშვნის დროს, გადაწყვეტილება ყოველთვის კანდიდატის დამსახურების მიხედვით იქნება მიღებული. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკები (მათ შორის, დივერსიფიკაციის პოლიტიკა) მიმოხილულია ამ დოკუმენტის არაფინანსური ანგარიშგების ნაწილში.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

GHG-ის მდგრადი განვითარების სტრატეგია

GHG, როგორც ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებელი, ერთგულია პაციენტების კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიმართ. ბიზნესის თვალსაზრისით, კომპანია წარმოადგენს ქვეყანაში უმსხვილეს მომსახურების პროვაიდერს, რომელიც ფარავს საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით სამ მეოთხედს და ჰოსპიტალური საწოლების რაოდენობით ბაზრის 14%-იან წილს ფლობს. კომპანიას აქვს ამბიციური საშუალო და გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც მიმართულია ძირითადი ოპერაციების გაუმჯობესებაზე, პროექტების ხარისხის ამაღლებაზე, დიჯიტალიზაციის განვითარებასა და ახალი მომსახურებების დანერგვაზე. ამასთან, GHG-ის ბიზნესსტრატეგია, შესაძლებლობის ფარგლებში, მდგრადობისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პრინციპებს აერთიანებს თავის ძირითად ოპერაციებში, რაც გამყარებულია მდგრადობის სტრატეგიითა და ღირებულების საბჭოს მიერ დამტკიცებული გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკით.

GHG-მ ახლახან ოფიციალურად ჩამოაყალიბა მდგრადობის სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან გავლენაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის, გარემოსდაცვითი მაჩვენებლებისა და ოპერაციული მდგრადობის გაუმჯობესებას. სტრატეგია მოიცავს ძირითად საკვანძო ეფექტიანობის მაჩვენებლებს (KPIs) ხუთ სტრატეგიულ მიმართულებაში, რომელთა მიღწევაც 2030 წლისთვის არის დაგეგმილი.



აღნიშნული KPIs ყოველთვიურად იქნება მონიტორინგის ქვეშ და ინტეგრირებული იქნება ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მდგრადობის სტრატეგიისგან დამოუკიდებლად, GHG გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის ფარგლებში აღიარებს თავისი საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის შესაძლო უარყოფით ზემოქმედებებს. აღნიშნული პოლიტიკა არა მხოლოდ განსაზღვრავს ჯგუფის მდგრადობის მიმართულებით აღებულ ვალდებულებებს, არამედ აღწერს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავს ამგვარი პოტენციური ზემოქმედებების შემცირებას. ეს პროცედურები მოიცავს ტრანზაქციების კატეგორიზაციასა და კვალიფიკაციას, შეფასებასა და კონტროლს, ასევე მონიტორინგსა და ანგარიშგებას. ამ პროცესს აკლავს სტრატეგიაში განსაზღვრული KPI-ზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმები, რომლებიც დეტალურად აღწერს განხორციელების მექანიზმებს ისეთ მიმართულებებში, როგორცაა პერსონალის ტრენინგი, დისტანციური კონსულტაციების განვითარება, ნარჩენების შემცირება და საავადმყოფოების რესურსების ოპტიმიზაცია. GHG სოციალური ასპექტების მიმართულებითაც მრავალ აქტივობას ახორციელებს. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მთავარი როლი ჯანდაცვის სფეროშია, სხვადასხვა საგანმანათლებლო კამპანიებისა და კეთილდღეობის ინიციატივების მეშვეობით იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და დაავადებების შესახებ ცნობიერების ზრდას საქართველოში.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

იმ მოსახლეობისთვის, რომელიც ქვეყნის სამი მთავარი ქალაქის გარეთ, მათ შორის ხშირად მთიან და შედარებით მიუწვდომელ რეგიონებში ცხოვრობს (დაახლოებით მოსახლეობის 60%), GHG უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო შემოწმებებსა და სკრინინგებს სპეციალისტთა რეგულარული ვიზიტების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს ჯანდაცვაზე რეგიონული უთანასწორობის შემცირებას.

გარემოსდაცვითი მიმართულებით, GHG იცავს ეროვნულ საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ყველა საავადმყოფოზე, კლინიკაზე, ლაბორატორიაზე, ინფრასტრუქტურასა და პერსონალზე. ამასთან, კომპანია ახორციელებს გარემოზე ორიენტირებულ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საავადმყოფოების უფრო ეკოლოგიურად მდგრადად ფუნქციონირებას. ასეთ ინიციატივებს შორისაა დიჯიტალიზაციის პროცესი ქალაქის ნარჩენების შემცირების მიზნით, ასევე ნარჩენების მართვის დამატებითი პრაქტიკები სამედიცინო და ბიოლოგიური ნარჩენების შესამცირებლად. აღნიშნულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სამედიცინო ნარჩენების მოცულობის შემცირებას 2023 წლის 762 ტონიდან 2024 წელს 250 ტონამდე. ეს არსებული ქმედებები დამატებით გამყარებულია მდგრადობის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნით, რომელიც ითვალისწინებს 2030 წლისთვის ერთ პაციენტზე წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების 10%-ით შემცირებას, ასევე ემისიებისა და ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი KPI-ების უმეტესობა დაკავშირებულია ჩარჩოს ფარგლებში განხორციელებული გავლენის ანგარიშგებასთან, ისინი მაინც ასახავს, თუ როგორ აკონტროლებს ჯგუფი საკუთარ პროგრესსა და საერთო მდგრად გავლენას.

	2024	2025	ცვლილება (წლიდან წლამდე)
პირდაპირი ემისიები (Scope 1)			
ბუნებრივი აირი, კუბური მეტრი	2,121,840	2,173,842	2.5%
ბენზინი (100% მინერალური ბენზინი), ლიტრი	329,216	391,572	18.9%
დიზელი (100% მინერალური დიზელი), ლიტრი	507,811	440,097	-13.3%
ენერჯიდან შექმნილი არაპირდაპირი ემისიები (Scope 2)			
ელექტროენერჯია, კვტ/სთ (kWh)	26,379,145	28,163,836	6.8%
აღივსებელი წარმოებული ენერჯია, კვტ/სთ	-	5,970	NMF
სხვა არაპირდაპირი ემისიები (Scope 3)			
თანამშრომლების მიერ გავლილი კილომეტრები მოკლე დისტანციის ავიარეისებით (ერთ რეისზე 3700 კმ-მდე)	66,062	183,770	178.2%
თანამშრომლების მიერ გავლილი კილომეტრები შორ მანძილზე ავიარეისებით (ერთ რეისზე 3700 კმ-ზე მეტი)	58,242	31,418	-46.1%
თანამშრომლების მიერ საქმიანი მიზნებისთვის ტაქსით გავლილი კილომეტრები	59,243	49,881	-15.8%
თანამშრომლების მიერ საქმიანი მიზნებისთვის ავტობუსით/ქუჩით გავლილი კილომეტრები	4,370	30,643	601.2%
კურიერის ან სხვა მესამე მხარის სატრანსპორტო კომპანიის სატრანსპორტო საშუალებების მიერ გავლილი კილომეტრები კომპანიის ბიზნეს საქმიანობებისთვის დოკუმენტების, ფულის და სხვა მასალების მიწოდების მიზნით.	34,168	45,384	32.8%

საანგარიშო პერიოდში კომპანიის ემისიების გარკვეული ზრდა ძირითადად უკავშირდება ოპერაციული საქმიანობის გაფართოებას და ჯანდაცვის სერვისებზე გაზრდილ მოთხოვნას. როგორც მრავალპროფილური ჯანდაცვის პროვაიდერი, კომპანია მართავს საავადმყოფოების, კლინიკებისა და ლაბორატორიების ფართო ქსელს, რის გამოც ენერჯის მოხმარება და დაკავშირებული ემისიები გარკვეულწილად კორელაციაშია მომსახურების მოცულობასთან, ახალი სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვასთან. ამასთან, მიუხედავად ოპერაციული აქტივობის ზრდისა, რამდენიმე მიმართულებით დაფიქსირდა ემისიების შემცირება, მათ შორის დიზელის მოხმარება (-13.3%), თანამშრომლების მიერ შორ მანძილზე ავიარეისებით გავლილი კილომეტრები (-46.1%) და საქმიანი მიზნებისთვის ტაქსით გადაადგილება (-15.8%). აღნიშნული ტენდენცია ასახავს კომპანიის ძალისხმევას ოპერაციული პროცესების ოპტიმიზაციისა და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

კომპანია აგრძელებს ენერგოეფექტურობის, ციფრული პროცესების და ოპერაციული მართვის გაუმჯობესებაზე მუშაობას, რათა მომავალში შეამციროს გარემოზე ზემოქმედება, პარალელურად კი უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულის ფარგლებში, რამდენიმე კლინიკა მუშაობს მზის ელექტროსადგურების ენერჯით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს განახლებადი ენერჯის გამოყენების ზრდისა და ენერჯის მოხმარების უფრო მდგრადი მართვისკენ.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კასუხისმგებლობა

2025 წელს ჩვენი ჯანდაცვის ბიზნესი კვლავ პრიორიტეტად მიიჩნევდა ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას და მნიშვნელოვანი რესურსები მიმართა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინიციატივებისკენ.

წლის განმავლობაში განხორციელდა 10 უფასო სკრინინგ-პროგრამა ქვეყნის მასშტაბით, რომლებმაც დაახლოებით 13,679 ბენეფიციარი მოიცვა. პროგრამები ფარავდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან მიმართულებებს, მათ შორის ტუბერკულოზის მართვას, ონკოლოგიურ და C ჰეპატიტის სკრინინგს, ასევე ანტენატალურ მომსახურებას.



აღნიშნული ინიციატივების პარალელურად, ჩვენი სპეციალისტები სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველ ჯგუფებს უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ, რისთვისაც 1.2 მილიონი ლარის რესურსი იქნა მიმართული. ასევე უზრუნველყოფილი იყო სტაციონარულ პაციენტებისთვის უფასო სისხლის გადასხმის სერვისი და სამედიცინო შემოწმებები ჩაუტარდა საქართველოს სოლიდარობის ფონდის 92 ბენეფიციარს.

კლინიკების მიმართულებამ გააგრძელა აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოება სტრატეგიული პარტნიორობების მეშვეობით. Liberty Bank-თან თანამშრომლობით გაგრძელდა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველი პირებისთვის შეღავათიანი მომსახურების მიწოდება. 2020 წლის იანვრიდან ინიციატივამ უკვე 83,000-ზე მეტ პაციენტს მიაწოდა დაახლოებით 596,000 შეღავათიანი სერვისი.

ამასთან, Bank of Georgia-სთან პარტნიორობით გაფართოვდა „Healthy Club“-ის პროექტი, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და სამედიცინო მომსახურებაზე 40%-მდე ფასდაკლებას გულისხმობს. 2022 წლის იანვრიდან პროგრამის ფარგლებში კლინიკებმა დაახლოებით 1,020,000 მომსახურება გაუწიეს 233,000-ზე მეტ „Healthy Club“-ის წევრს.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

„GHG“ სოციალური პასუხისმგებლობისადმი ერთგულების ფარგლებში არის ერთადერთი პროვადერი პედაგოგიული ონკოლოგიაში საქართველოში და უზრუნველყოფს უფასო მკურნალობას სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში. 2025 წელს „ჯგუფმა“ ონკოლოგიური დაავადებების მქონე 451 ბავშვს უმკურნალა და ონომატოლოგიური მკურნალობა გაუწია 78 პაციენტს. „ჯგუფი“ ასევე განაგრძობს ინვესტირებას ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. „კომპანია“ მხარს უჭერს საქართველოს სოლიდარობის ფონდს და თანამშრომლობს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, რათა შეთავაზოს შეღავათიანი მომსახურება ლეიკემიითა და სიმსივნეებით დაავადებულ ბავშვებს. ლეიკემიითა და ონკოლოგიური დაავადებებით დიაგნოზირებული ბავშვების მხარდამჭერ საქველმოქმედო ორგანიზაციას ჯგუფმა ყველა სამედიცინო სერვისზე 20%-იანი ფასდაკლება შესთავაზა.



2025 წელს მეგალაბმა წამოიწყო ექსპერტებზე დაფუძნებული ციფრული ცნობიერების ამაღლების ინიციატივა სახელწოდებით — „Doctors’ Chronicles with Megalab“. კამპანიამ გააერთიანა სხვადასხვა სპეციალობის წამყვანი ექიმები, რათა ფართო საზოგადოებისთვის გაეზიარებინათ სანდო და მარტივად გასაგები ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მოკლე საგანმანათლებლო ვიდეოებისა და ინტერვიუების სერიის საშუალებით — რომლებიც შეიქმნა მეგალაბთან თანამშრომლობით და გავრცელდა მეგალაბის ციფრულ პლატფორმებზე — კამპანიამ გააშუქა ჯანმრთელობის აქტუალური საკითხების ფართო სპექტრი. თითოეული ეპიზოდი მიზნად ისახავდა რთული სამედიცინო თემების გამარტივებას და მკაფიო, სამეცნიერო საფუძველზე დამყარებული რეკომენდაციების მიწოდებას, რომელთა გამოყენებაც ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მარტივად შეეძლოთ.



„Doctors’ Chronicles with Megalab“-ის მთავარი მიზანი იყო საზოგადოების ჯანმრთელობის განათლების დონის ამაღლება, პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ხელშეწყობა, ასევე დროული ლაბორატორიული კვლევების მნიშვნელოვანი როლის წარმოჩენა კეთილდღეობის შენარჩუნებაში.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

2025 წელს ჩვენი ჯანდაცვის ბიზნესმა წარმატებით დაასრულა ექვსთვიანი ინიციატივა — „კეთილდღეობის მარათონი“, რომლის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ჰოლისტიკური კეთილდღეობის შესახებ ცნობიერების გაღრმავება და თანამშრომლების წახალისება, რომ აქტიურად იზრუნონ საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

პროგრამის განმავლობაში თანამშრომლები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სპეციალურად დანიშნულ ჯანმრთელობის ქოუჩებთან და ნუტრიციოლოგებთან, ისახავდნენ ინდივიდუალურ კეთილდღეობის მიზნებს და ეტაპობრივად აღწევდნენ მათ. მონაწილეებს სრულად უფინანსდებოდათ სამედიცინო შემოწმებები, კეთილდღეობის მონიტორინგის ინსტრუმენტები და ფიზიკური აქტივობის პროგრამები, რაც მათ საშუალებას აძლევდა თვალყურს უდევდნენ პროგრესისთვის და შეენარჩუნებინათ მოტივაცია.

ჩართულობის გასაძლიერებლად, მარათონი ასევე მოიცავდა პროფესიულ ვორქშოპებსა და სემინარებს — მათ შორის სტრესის მართვის შესახებ ფსიქოლოგის მონაწილეობით, კვების თემატიკის სემინარებს, მოძრაობის ვორქშოპებს და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სხვა აქტივობებს. აღნიშნულმა აქტივობებმა თანამშრომლებს მისცა პრაქტიკული ცოდნა და უნარები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება.

შედეგები მნიშვნელოვნად დადებითი აღმოჩნდა — მონაწილეებმა აღნიშნეს ცხოვრების წესის გაუმჯობესება, სტრესისადმი გამძლეობის ზრდა და ჯანსაღი ჩვევების დამკვიდრება. პროგრამამ, რომელიც თანაბრად უსვამდა ხაზს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ კეთილდღეობას, კიდევ ერთხელ გაამყარა ჩვენი ერთგულება ისეთი მხარდაჭერის, ჯანმრთელობაზე ორიენტირებული და ინკლუზიური სამუშაო გარემოს შექმნისადმი, სადაც თანამშრომლები თავს გაძლიერებულად გრძნობენ და სრულყოფილად ვითარდებიან.



2025 წელს „ევექსის“ ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრმა — „ქარავმა“ — გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (MoU) ორგანიზაციასთან MAC Georgia, რითაც საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან პარტნიორობას, რომელიც მიზნად ისახავს ნეიროდევლუპმენტული ბავშვების მშობლების გაძლიერებას და ოჯახების საერთო კეთილდღეობის მხარდაჭერას.

აღნიშნული თანამშრომლობა ასახავს საერთო ხედვას — საქართველოში ხელმისაწვდომი, მდგრადი და მშობელზე ორიენტირებული განვითარების სერვისების გაძლიერებას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

ნეიროღვივრისული ბავშვების მშობლები ხშირად აწყდებიან მუდმივი თერაპიული მხარდაჭერისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ემოციური და ქცევითი სირთულეების მართვის პრაქტიკული ინსტრუმენტების ნაკლებობას. ამ გამოწვევებზე პასუხად, მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული პირველი ინიციატივა — McLain Association for Children-ის მხარდაჭერით — არის პროგრამა „QST: მასაჟთერაპია აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის“. QST პროგრამა მშობლებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად დაენმარონ შვილებს სენსორული და ემოციური რეგულაციის პროცესში, თერაპევტის მუდმივი ჩართულობის გარეშე.

თანამშრომლობის შედეგად, საქართველოში სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი [ხუთი] ოჯახი სრულად დაფინანსდა და მიიღო წვდომა მაღალი ხარისხის თერაპიულ ტრენინგზე, რაც სხვა შემთხვევაში მათთვის მიუწვდომელი იქნებოდა. 2025 წელს „ქარავმა“ ასევე წამოიწყო „Green Light“ — ერთობლივი საპილოტე პროგრამა ორგანიზაციასთან Speak Up, რომელიც მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მარტოხელა დედეების მხარდაჭერას. სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით, „Green Light“ პროგრამა 25 მშობელს შესთავაზებს თერაპიულ და საგანმანათლებლო სესიებს, ხოლო 60 მშობელს — ჯგუფურ საგანმანათლებლო მოდულებს.

პროგრამა მოიცავს ინტენსიურ ფსიქოთერაპიას, კოგნიტურ-ქცევით თერაპიას, ნეიროლინგვისტურ პროგრამირებას, ონლაინ ფსიქოსაგანმანათლებლო სესიებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ ტრენინგებს, პერსონალურ ქოუჩინგსა და ურთიერთმხარდაჭერის ვორქშოპებს.

ამასთან, 2025 წელს წარმატებით დასრულდა ბავშვთა განვითარების საერთაშორისო პროგრამის მეორე ციკლიც. მონაწილეებმა გაიარეს ათი ვორქშოპი, რომლებიც მიზნად ისახავდა ბავშვებსა და მათ მზრუნველებს შორის მგრძობიარე და მხარდამჭერი ურთიერთობის გაძლიერებას, რაც ხელს უწყობს ემოციური კეთილდღეობისა და მდგრადობის განვითარებას როგორც ოჯახებში, ისე საგანმანათლებლო გარემოში.



გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პასუხისმგებლობა

პროფესიული უნარების გაღრმავება და კომპეტენციის ამაღლება

გრძელვადიანი ვალდებულების ფარგლებში — ღირსეული შრომის ხელშეწყობისა და საქართველოში ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალების პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად — 2025 წელს ჩვენმა ჯანდაცვის სერვისების ბიზნესმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სწავლებისა და განათლების პროგრამები. სპეციალიზებული სასწავლო ცენტრების, საერთაშორისო პარტნიორობებისა და თანამედროვე ციფრული პლატფორმების მეშვეობით, გავაგრძელეთ ინვესტირება მაღალკვალიფიციური და მომავლისთვის მზად სამუშაო ძალის განვითარებაში.

ჩვენი ჰოსპიტალური ბიზნესი სპეციალური სასწავლო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყოფს როგორც სავალდებულო, ასევე ოპტიმალურ სამედიცინო და არასამედიცინო ტრენინგ პროგრამებს. წლის განმავლობაში ტრენინგი წარმატებით დაასრულა ჯამში 5,050-მა თანამშრომელმა, მათ შორის 2,766 ონლაინ კურსის, ხოლო 2,284 საკლასო სესიის ფარგლებში, რაც ორგანიზაციაში უწყვეტი პროფესიული განვითარების გაძლიერებას ემსახურება. 2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საექთნო განათლების პროგრამას, რომელიც განხორციელდა USAID-თან

პარტნიორობით. პროგრამა მოიცავს სავალდებულო სამედიცინო ტრენინგებს ექიმებისა და ექთნებისთვის, ასევე დამატებით საბაზისო კურსებს მედიკამენტების დოზირებაში, ანატომიასა და ფიზიოლოგიაში და საექთნო ძირითადი პროცედურებში. USAID-მა ასევე განხორციელა სპეციალიზებული მოდულები, მათ შორის: ინტენსიური თერაპიის საექთნო საფუძვლები, ტრავმის მართვა (Trauma Life Support) და ქირურგიული და თერაპიული პათოლოგიების საექთნო მართვა. კლინიკური პერსონალის გაძლიერება დამატებით განხორციელდა რესპირატორული თერაპიის ექთნების გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა European Bank for Reconstruction and Development (EBRD)-თან, Vian Training Centre-თან და AIMS Association-თან თანამშრომლობით.



პროგრამა წარმატებით დაასრულა საქართველოს ხუთი რეგიონიდან 90-მა ექთანმა, რომლებმაც გაიარეს 32-ზე მეტი ონლაინ ლექცია. საუკეთესო შედეგის მქონე 10 ექთანმა პრაქტიკული უნარების გაღრმავების მიზნით იმოგზაურა იტალიაში და ეწვია ისეთ წამყვან დაწესებულებებს, როგორებიცაა University of Padua, Padua Clinic, ასევე Cittadella-სა და Mestre-ს ჰოსპიტლები. აღნიშნულმა ინიციატივამ მნიშვნელოვნად გააძლიერა რესპირატორული თერაპიის ეროვნული შესაძლებლობები — მიმართულება, რომელსაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მზარდი მნიშვნელობა აქვს.

USAID-თან და Vian Training Centre-თან თანამშრომლობით ასევე დასრულდა მასშტაბური საექთნო პროფესიული განათლების პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 275 ექთანი გადაუდებელი მედიცინის, ინტენსიური თერაპიისა და ქირურგიული მიმართულებებიდან. პროექტის ფარგლებში დაინერგა ინოვაციური ელექტრონული სასწავლო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ვიდეოლექციებს, სასწავლო მასალებსა და თვითშეფასების ტესტებს, უახლესი კლინიკური გაიდლაინების შესაბამისად. ინიციატივის ფარგლებში ასევე შეიქმნა რამდენიმე ახალი რეგიონული სასწავლო ცენტრი, მათ შორის ორი OSCE-ით აღჭურვილი სიმულაციური ცენტრი, რაც ექთნებს საშუალებას აძლევს პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ რეალისტურ, პრაქტიკაზე ორიენტირებულ გარემოში. ამასთან, Evex Learning Centre კვლავ ინარჩუნებს წამყვანი უწყვეტი სამედიცინო განათლების პროვაიდერის პოზიციას საქართველოში. 2025 წელს ცენტრმა გადაამზადა 843 ექთანი (როგორც თანამშრომლები, ასევე კანდიდატები), 2,769 ექიმი და 1,391 აღმინისტრაციული პერსონალი და მენეჯერი.

ქვეყნის ყველაზე დიდი ციფრული ჯანდაცვის პლატფორმა

EKIMO წარმოადგენს ინოვაციურ, დამოუკიდებელ და სრულად ინტეგრირებულ ციფრულ ჯანდაცვის პლატფორმას, რომელიც აერთიანებს პირველადი ჯანდაცვის ყველა ძირითად სერვისს — მათ შორის ექიმებს, კლინიკებს, ლაბორატორიებს, რადიოლოგიურ ცენტრებს, საცალო აფთიაქებსა და სამედიცინო დაზღვევას. პლატფორმა 2020 წლის მარტში ამოქმედდა და ის ღიაა ქვეყანაში მოქმედი ყველა ჯანდაცვის პროვაიდერისა და სამედიცინო პროდუქციის მომწოდებლისთვის. EKIMO მომხმარებლებისთვის სრულიად უფასოა და უზრუნველყოფს ჯანდაცვის ეკოსისტემაზე მარტივ და უწყვეტ წვდომას — მათ შორის ვიზიტების დაჯავშნას, ონლაინ კონსულტაციებს, გადახდის სერვისებსა და აფთიაქიდან წამლების მიტანის მომსახურებას. დაარსებიდან დღემდე, EKIMO მნიშვნელოვნად გაიზარდა და აერთიანებს 1,037,787 ექიმის ქსელს 17,516 კლინიკიდან, რომელთა ნახევარი დამოუკიდებელი, მესამე მხარის პროვაიდერია. 2021 წელს EKIMO-მ მიიღო ოქროს ჯილდო გარემოსდაცვითი და სოციალური ინოვაციის კატეგორიაში European Bank for Reconstruction and Development-ის Sustainability Awards-ზე.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კასუხისმგებლობა

350 მლნ ლარის ოდენობის სოციალური ობლიგაციები

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა 2025 წელს ქართული კაპიტალის ბაზრის ისტორიაში ლარში დენომინირებული ყველაზე მსხვილი ადგილობრივი ემისია განახორციელა და 350 მილიონი ლარის ოდენობის უზრუნველყოფილი სოციალური ობლიგაციები განათავსა, რომელიც Scope Ratings-ის მიერ BB რეიტინგით შეფასდა. ემისიაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა კომერციულმა ბანკებმა და საპენსიო ფონდმა, ასევე, საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა: საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (IFC) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკმა (AIIB). ობლიგაციების განთავსების აგენტები არიან Galt & Taggart და TBC Capital.

ემისიას სოციალური ობლიგაციების სტატუსი აქვს მინიჭებული - მოზიდულ თანხებს GHG სოციალური პროექტების დაფინანსებისა და არსებული სესხების რეფინანსირებისთვის იყენებს. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ობლიგაციების მიმართ ქვეყანაში ინტერესი სულ უფრო იზრდება, შესაბამისად კომპანიისთვის პრიორიტეტულია თანხების ისეთი პროექტებისკენ მიმართვა, რაც არამხოლოდ ინვესტორებისთვისაა საინტერესო, არამედ ეკონომიკის მდგრად ზრდაზეც აისახება. (ESG) სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული სოციალური ობლიგაციის გამოშვება შეესაბამება „GHG“-ის მიზანს - გააუმჯობესოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და მოახდინოს დადებითი სოციალური გავლენა. ობლიგაციებიდან მიღებული თანხა მიმართული იქნება მიზნობრივ სოციალურ ინიციატივებზე, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას და ამავდროულად აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას ნაკლებად უზრუნველყოფილი თემებისთვის.

2025 წელს GHG-მ შეიმუშავა სოციალური ობლიგაციის ჩარჩო თავისი პირველი სოციალური ობლიგაციის გამოშვებისთვის მოსამზადებლად. ჩარჩოს შესახებ გაიცა დამოუკიდებელი შეფასება Scope ESG Analysis-ის მიერ, რომელმაც დაადასტურა მისი სრული შესაბამისობა 2023 წლის ICMA-ის სოციალური ობლიგაციების პრინციპებთან. Scope-მა ჩარჩოს მიანიჭა ტრანსფორმაციული ქულა (Transformative Human Score), რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელოვან სოციალურ გავლენას და შესაბამისობას საქართველოს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიასთან.

ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება 2030 წლის 17 სექტემბერს.

საქართველოს
ჯანდაცვის ჯგუფი

350მ. ლარის სოციალური ბონდი

ლარში დენომინირებული უმსხვილესი ადგილობრივი ბონდი





საქართველოს
ჯანდაცვის
ბიურო

კორპორაციული მმართველობა



სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

გიორგი ალფაიძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი

გიორგი ალფაიძე BGEO Group-ს 2016 წელს ფინანსების, დაფინანსებისა და ინვესტირებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის პოზიციაზე შეუერთდა. მოგვიანებით, დაიკავა ამავე ჯგუფის ფინანსური დირექტორის თანამდებობა. აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საბანკო, ბუღალტრულ და ფინანსურ სექტორში. ასევე, იყო აუდიტის პრაქტიკის უფროსი მენეჯერი კომპანია Ernst & Young-ში ნიუ-იორკში. გიორგი ალფაიძე ფლობს ESM-ის ბაკალავრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირებაში. ასევე, არის აშშ-ს სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი.

გიორგი ჭილაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი

გიორგი ჭილაძე ფლობს ფართო საერთაშორისო გამოცდილებას ფინანსური რისკების მართვისა და სტრატეგიული ლიდერობის მიმართულებით. მან კარიერა ნიუ-იორკში, საინვესტიციო ბანკ Bear Stearns-ში დაიწყო, რის შემდეგაც საქმიანობა საქართველოში განაგრძო, სადაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადგილობრივი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებაში.

მისი პროფესიული გზა მოიცავს წამყვან მენეჯერულ პოზიციებს მსხვილ ფინანსურ ინსტიტუტებში; იგი გახლდათ „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და რისკების მართვის დირექტორი (CRO), მანამდე კი, 2008-2012 წლებში, ამავე ბანკში ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. გარდა ამისა, იგი იკავებდა გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიციას „საპარტნიორო ფონდში“ და ხელმძღვანელობდა „ბტა ბანკს“ (საქართველო). კორპორაციული სექტორის მიღმა, გიორგი ჭილაძეს აქვს მყარი სამწარმოო გამოცდილება — იგი არის საკონსულტაციო კომპანია Altergroup Ltd-ის დამფუძნებელი პარტნიორი. იგი ფლობს ფიზიკის დოქტორის ხარისხს (PhD) ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან (აშშ), რაც განაპირობებს მის გამორჩეულ ანალიტიკურ მიდგომას რთული ბიზნესპროცესებისა და სტრატეგიული გამოწვევების მართვისადმი.

ეფრემ ურუმაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ეფრემ ურუმაშვილი ფინანსური სამართლის, საგადასახადო სისტემებისა და სტრატეგიული კორპორაციული მენეჯმენტის აღიარებული ექსპერტია. როგორც იურიდიული ფირმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი, იგი აღიარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო დაბეგვრის, საგადასახადო დავებისა და ტრანსფერული ფასწარმოების წამყვან სპეციალისტად — რასაც მოწმობს მისი აღიარება საერთაშორისო სარეიტინგო პლატფორმა Legal 500-ის მიერ.

ეფრემ ურუმაშვილს მენეჯერული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს ქვეყნის წამყვან ფინანსურ ორგანიზაციებში, სადაც იგი საკვანძო მიმართულებებს ხელმძღვანელობდა. მათ შორის აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა „საქართველოს ბანკში“, სადაც იგი საგადასახადო, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსების დეპარტამენტებს ედგა სათავეში. იგი ასევე იკავებდა „გალტ ენდ თაგარტის“ გენერალური დირექტორის პოზიციას. მისი პრაქტიკა ასევე მოიცავს გლობალურ ტექნოლოგიურ ლიდერ Bitfury Group-თან თანამშრომლობას, სადაც იგი საქართველოში ორგანიზაციის ოფიციალური წარმომადგენლისა და საქმიანობის ხელმძღვანელის ფუნქციას ითავსებდა.

იგი ფლობს მაგისტრის ხარისხს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მისი პროფესიული ხელვა კიდევ უფრო განამტკიცა სპეციალიზებულმა საერთაშორისო ტრენინგებმა IBFD-ის საერთაშორისო საგადასახადო აკადემიასა და OECD-ში.

ხელმძღვანელი პირები

ირაკლი გოგია

აღმასრულებელი დირექტორი

ირაკლი გოგია საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის დირექტორად 2022 წლის 12 აგვისტოს დაინიშნა. მანამდე ფინანსური დირექტორის პოსტს იკავებდა, ხოლო 2014-დან 2017 წლამდე ჯგუფის საოპერაციო დირექტორი იყო. ფინანსურ დირექტორად დანიშვნამდე „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ და სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის ზედამხედველობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. მას ფინანსურ სექტორში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება აქვს. 2009-2014 წლებში სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე იყო და მის პასუხისმგებლობაში ფინანსური, ოპერაციული, პერსონალური დაზღვევის, IT სისტემებისა და ოპერაციული რისკების საკითხები შედიოდა. კომპანია „ალდაგამდე“ მას Liberty Consumer-ის ფინანსური დირექტორის პოზიცია ეკავა. მანამდე კი მუშაობდა Ernst&Young-სა და Deloitte-ში უფროს აუდიტორად. ის თბილისის ევროპის მენეჯმენტის სკოლის ბიზნეს-ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს ფლობს. საქართველოს პრეზიდენტმა მას ღირსების ორდენი მიანიჭა, ხოლო გაერთიანებული სამეფოს განათლების მინისტრმა აკადემიური წარმატებისთვის დააჯილდოვა.

ნიკა წიკლაური

დირექტორის მოადგილე, ფინანსები

ნიკა წიკლაური 2024 წლის აპრილიდან იკავებს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას ფინანსური მიმართულებით. ჯგუფს 2015 წლის მაისში, ფინანსური დირექტორის მოადგილის პოსტზე შეუერთდა. 2023 წლის აპრილიდან „ევექსის“, ხოლო იმავე წლის დეკემბრიდან სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის ზედამხედველობის საბჭოს წევრია. მისი სამუშაო გამოცდილება ფინანსურ სექტორში 15-ზე მეტ წელს ითვლის. 2009-2015 წლებში Ernst & Young-ში პროექტების უფროსი აუდიტორი იყო, სადაც ხელმძღვანელობდა პროექტს ლონდონის საფონდო ბირჟაზე აღიარებული საქართველოს ბანკისთვის. მან მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხი თავისუფალი უნივერსიტეტის (თბილისის ევროპის მენეჯმენტის სკოლა) ბაზაზე მიიღო. 2017 წლიდან არის CFA სერტიფიცირებული ფინანსური ანალიტიკოსი, 2020 წლიდან - პროექტის მენეჯმენტის სერტიფიცირებული პროფესიონალი (PMP). ის 2018 წლიდან ფლობს ფინანსური რისკების მენეჯერის (FRM) სერტიფიკატს, 2014 წლიდან კი გახლავთ გამოცდილი დიპლომირებული ბუღალტრების ასოციაციის (ACCA) წევრი. ასევე, 2019 წელს ალტერნატიული ინვესტიციების სერტიფიცირებული ანალიტიკოსის (CAIA) კვალიფიკაცია მიიღო.

ნოდარ გელოვანი

დირექტორის მოადგილე

ნოდარ გელოვანი საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფს 2025 წელს შეუერთდა და იკავებს დირექტორის მოადგილის პოზიციას. მანამდე ის იყო „იმედი L“ ის გენერალური დირექტორი. იმედი L - ში მას სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება აქვს მიღებული, მათ შორის ის იყო რეპორტირების, ბიუჯეტირებისა და ანალიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, შემდეგ კი გენერალური დირექტორის მოადგილე. 2012-2014 წლებში ნოდარ გელოვანი მუშაობდა ალდაგში, ხოლო პროფესიული კარიერა 2010 წელს ენერგო-პრო ჯორჯიაში დაიწყო.

ირაკლი გოგია

გენერალური დირექტორი

